ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
18 ოქტომბერი **სამშაბათი** 2011
№ 245 (13 542) ფასი 80 თეთრი



ეროვნული ბიბლიოთეკა
16

# კავანი ნოიერს ემუქრება!

## ბაიერნს და მანუს ნეაპოლში ჯოჯოხეთი ელით. შეწყდება 12-მატჩიანი მშრალი სერია?






## დღესვე ლიგაში: კლასიკად ქცეული დუელი მადრიდში

UEFA CHAMPIONS LEAGUE

### რეალი-ლიონი

III ტურის წინათქმა 9



## სირაძე სპარტაკიდან მიდის?

2

# კალაძე დასაჯეს!

## 4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია და ჯარიმა 5 000 ევრო

„ლეჩესთან“ მატჩში (0:0) ჩადენილი არასპორტული საქციელი კახი კალაძეს ძვირად დაუჯდა. გუშინ, „ლეგა კალჩოს“ სადისციპლინო კომისიამ მატჩის არბიტრის განცხადების საფუძველზე, საქართველოს ნაკრების კაპიტანს მძიმე ვერდიქტი გამოუტანა: ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია და ჯარიმა 5 000 ევრო. შეგახსენებთ, რომ კალაძე ხსენებული მატჩის მთავარმა არბიტრმა გაბრიელე გავამ 79-ე წუთზე მოედნიდან გააძევა. მის მიერ ჩაბარებულ ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ქართველმა მცველმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. „ჯენოას“ პრეზიდენტი ენრიკო პრეციოზი გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს, მაგრამ ჩვენი იტალიელი კოლეგების აზრით, გამორიცხულია, რომ ამას გენუელთათვის სასურველი შედეგი მოჰყვეს.




გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

● გაგრა



ანატოლი პისკოვეცი



ზვიად ჯელაძე

# პისკოვეცი ჯელაძემ შეცვალა

## სიძნელე ბევრი იქნება, მაგრამ არ მეშინია

**ანატოლი პისკოვეცი** "გაგრას" მთავარი მწვრთნელი აღარ არის – 63 წლის უკრაინელი სპეციალისტი თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა. გავრცელებული ინფორმაცია "ლელოს" გუშინ კლუბშიც დაუდასტურეს.

*"პირადი განცხადებისა და "გაგრას" პრეზიდენტ ბესო ჩიხრაძესთან შეთანხმების საფუძველზე ბატონ ანატოლის კონტრაქტი ვადაზე ადრე შეუწყდა"* – გვითხრა კლუბის იურიდიული და საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა **მიხეილ აფხაზავამ.**

"გაგრას" მთავარ მწვრთნელად პისკოვეცის ყოფილი ასისტენტი **ზვიად ჯელაძე** დაინიშნა, რომელიც სოხუმის "ცხუმში", "სამტრედიაში", თბილისის "დინამოსა" და სარატოვის "სოკოლში" თამაშობდა. უკრაინელი მწვრთნელი სამშობლოში ორი კვირის წინ გაემგზავრა, სწორედ ამის შემდეგ ჩააბარეს ჯელაძეს გუნდი – ჯერ დროებით, ახლა კი პოსტი იურიდიულად დაუკანონეს.

აფხაზავას თქმით, "გაგრას" პრეზიდენტმა უკრაინელ მწვრთნელს გაწეული სამუშაოსთვის მადლობა გადაუხადა - მისი ხელმძღვანელობით ხომ გუნდი უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა და საქართველოს თასს დაეუფლა.

გუშინვე ახალ მთავარ მწვრთნელ **ზვიად ჯელაძეს** მცირე კომენტარი ვთხოვეთ.

**- ძნელი ამოცანაა - ამბიციურ გუნდს დამოუკიდებლად პირველად გაუძღვებით...**

- რა თქმა უნდა, უამრავი სიძნელე მელის, მაგრამ პასუხისმგებლობა დავიკისრე და მისი არ მეშინია, შევეცდები, თასზეც და ჩემპიონატშიც წარმატებებს მივაღწიოთ.

**- თქვენი აზრით, "გაგრაში" რა არის შესაცვლელი?**

- ერთს ვერ დავასახელებ, თანდათანობით კი ბევრი რამის შეცვლაა სასურველი.

**- "გაგრამ" სეზონი კარგად დაიწყო, მაგრამ ცუდად გააგრძელა. რა იყო მიზეზი?**

- უიღბლობა, რომლიც გასაღებსაც ყველა ერთად ვეძებთ. თუმცა შემიძლია თამამად ვთქვა, რომ კლუბში თავის მოვალეობას ყველა კეთილსინდისიერად ასრულებს.

**- ვინ იქნება თქვენი ასისტენტი?**

- ჯერ ეს საკითხი ღიაა და უახლოეს დღეებში გადაწყდება.

**- ოვონიკოკო როდის დაგიბრუნდებათ?**

- ის რეაბილიტაციას გადის, მაგრამ იმედია, დასკვნითი ეტაპის დაწყებამდე დაგვიბრუნდება.

**- რამდენი ხანია, მწვრთნელად მუშაობთ – სად და რომელ გუნდებში?**

- მწვრთნელობა "გაგრაში" დავიწყე, მანამდე კი ვსწავლობდი და კობა ჟორჟიკაშვილთან 17-წლამდელების ნაკრებში გავიარე სტაჟირება, "გაგრაში" კი 2010 წელს მიმიწვიეს.

**მერაბ მამულაშვილი**

● ინტერვიუ

# დინამო დინამოელის შვილიშვილმა დაამარცხა

## ირაკლი მაისურაძე: ისეთმა გუნდებმა მითხრეს უარი...

**უდავოა,** ირაკლი მაისურაძე ტურის საუკეთესო ფეხბურთელია. თუ რატომ, დიდი ახსნა-განმარტება არ სჭირდება. რუსთავის "მეტალურგისა" და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა თბილისის "დინამოს" ძლევაში დიდი როლი ითამაშა, დუბლი შეასრულა და, საერთოდაც, შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა. ეგაა, მატჩის ბოლოს ლავიწის ძვალი დაიზიანა და მოედანი დატოვა.

მაისურაძეს, რომელსაც თემურ ქეცბაია ნაკრებში ხშირად იწვევს, საინტერესო ისტორია აქვს – საფეხბურთოც და პირადიც.

**- მოგება ტრავმის ფასად დაგიჯდა. სერიოზულად დაშავდი?**

- იმედია, მალე მოვმჯობინდები, თუმცა ჯერ ზუსტი დიაგნოზი არც ვიცი. ძალიან ცუდად დავეცი, ლავიწი ახლაც ძალიან მტკივა.

**- ეს ხომ მხოლოდ ფრაზებია... ჩვენ სამხრეთელები, ქართველები ვართ, მოგება ცაში აგვაფრენს და ღრუბლებში დიდხანს დავფრინავთ ხოლმე.**

- შეიძლება, მაგრამ მე ხომ მხოლოდ სანახევროდ ვარ ქართველი. თუმცა ფაქტია, რომ ქართული მენტალიტეტი თავს მაინც იჩენს, მაგრამ უნდა შევეცადოთ, ეს გამარჯვება დავივიწყოთ, სხვაგვარად შედეგი არ გვექნება. აბა, ერთი კვირა რომ ვიფიქროთ, არიქა, "დინამოს" მოვუგეთ და ამით შემდეგ ტურშიც გვეშველება-თქო, არაფერი გამოვა.

**- ნაკრებში რამდენჯერმე გამოგიძახეს, მაგრამ ჯერ არ გითამაშია.**

*(continued from the column above:)* მელიც "მეტალურგს" უფრო თავდაჯერებულს გახდის.

- გეთანხმებით, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს მატჩი უკვე წარსულია, ახლა შემდეგ ტურში გამარჯვებაზე უნდა ვიფიქროთ.



ირაკლი მაისურაძე (მარჯვნივ) ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**- მატჩზე რას იტყვი, განსაკუთრებული მოტივაციით ითამაშეთ.**

- "დინამოსთან" თავის გამოჩენა სასიამოვნოა. ურთულესი მატჩი იყო და მიხარია, კონკურენტი რომ დავამარცხეთ, რამაც მესამე ადგილზე დაწინაურების საშუალება მოგვცა.

**- შენც განსაკუთრებულად მონდომებული ჩანდი.**

- "დინამოს" ჯიბრი ნაღდად არ მაქვს, პირიქით, ამ კლუბთან ჩემს ოჯახს თბილი დამოკიდებულება აკავშირებს, რადგან ბაბუაჩემი, დედაჩემის მამა ვიქტორ ბერეჟნოი იყო, ერთ-ერთი პირველი თაობის დინამოელი, ბორის პაიჭაძისა და ბასა ღოღობერიძის თაობის მოთამაშე, ასე რომ, ჩვენს ოჯახში ეს გუნდი განსაკუთრებულად უყვართ.

თუმცა, მეტოქე მეტოქეა და, ცხადია, მონდომებული ვიყავი. კონკურენტის დამარცხება, მით უფრო, ასეთის, ძალიან სასიამოვნოა.

**- ლამაზი გოლები გაიტანე, მაგრამ ბედმაც გაგიღიმა.**

- რა თქმა უნდა, არავინ თქვას, რომ ასეთი გოლის გატანა სურდა და შეგნებულად დაუმიზნა. ასეთი რამ არ ხდება. "დინამოს" კარში გატანილი ჩემი მეორე გოლი ისეთი იყო, ათასიდან ერთხელ რომ გაიტან. ბურთი ფეხზე კარგად მომაჯდა და კარგადაც დავარტყი.

**- ეს იყო ექვსქულიანი მოგება, რო-**

- სამწუხაროდ, პოლონეთში სავიზო პრობლემის გამო ვერ წავედი. ნაკრების ფორმით დღემდე არ მითამაშია, მაგრამ ჩემთვის გამოძახებაც დიდი სტიმულია. რაც მთავარია, გუნდს შევეჩვიე და თუ შანსი მომეცემა, შევეცდები, მაქსიმალურად გამოვიყენო. იმედია, ადრე თუ გვიან იმ დონეს მივაღწევ, ნაკრებში თამაში რომ დავიმსახურო.

**- ახლა ნაკრებში გამოძახებაც გაკმაყოფილებს?**

- ასე ნამდვილად არ არის, თამაში მინდა, მაგრამ, იცით, ამას რატომ ვამბობ? ერთი წლის წინ მე ნაკრებზე კი არა, რიგით ქართულ გუნდში მოწყობაზე ვოცნებობდი და ამის შემდეგ უცებ ნაკრებში მოხვედრაც ბედნიერება არ არის?

**- დღეს ნაკრების კანდიდატი ხარ, მაგრამ, როგორც ვიცი, რუსთავის "მეტალურგამდე" ბევრ გუნდში გითხრეს გასინჯვაზე უარი.**

- ასე იყო და დღეს ამაზე მეცინება. უარი ისეთ გუნდებში მითხრეს, დღეს ხუთეულშიც რომ ვერ ხვდებიან. თანაც, ვითხოვდი არა ჩარიცხვას, არამედ მხოლოდ გასინჯვას, მაგრამ ყველგან მეუბნებოდნენ, დაკომპლექტებულები ვართო და თავაზიანი უარით მისტუმრებდნენ. კიდევ კარგი, ასე მოხდა, თორემ ნაკრებში ვერ მოვხვდებოდი.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერი

# სირაძე სპარტაკს ტოვებს?



დავით სირაძე

ნალჩიკის „სპარტაკი", შესაძლოა, ბოლო ქართველმა ლეგიონერმა **დავით სირაძემაც** დატოვოს.

"სპორტ-ექსპრესის" ცნობით, 29 წლის თავდამსხმელს კლუბთან კონტრაქტი დეკემბერში უმთავრდება, მაგრამ ნალჩიკელები დღემდე ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე არ დალაპარაკებიან.

ქართველი ფორვარდი ნალჩიკის "სპარტაკში" 2008 წლიდან თამაშობს და გუნდის ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე იყო, მაგრამ **იური კრასნოჟანის** წასვლის შემდეგ ვითარება უარესობისკენ შეიცვალა, მიმდინარე სეზონში სირაძემ 19 შეხვედრიდან 8 შეცვლაზე ჩაატარა და ორი გოლი გაიტანა.

**მერაბ მამულაშვილი**

● ქალთა ფეხბურთი

# 1:29!

**სწორედ** ამ ანგარიშით წააგო ორი მატჩი ჯამში საქართველოს 17-წლამდელ გოგონათა ნაკრებმა, რომელიც ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპზე ასპარეზობს შვეიცარიაში.

პირველ მატჩში **გერონტი ნაჭყებიას** გუნდი მასპინძლებთან 1:17 განადგურდა, გუშინ კი პოლონელებთან ოდნავ ნაკლები სხვაობით, 0:12 დამარცხდა.

რა გვეთქმის, მსგავს შედეგებს, საუბედუროდ, შეჩვეული ვართ. ჩვენი ქალები საერთაშორისო არენაზე მოვალეობის მოხდის მიზნით თამაშობენ, საქართველოში კი ქალთა ფეხბურთის განვითარების ნება-სურვილს საერთოდ ვერ ვხედავთ.

20 ოქტომბერს საქართველოს ნაკრები შედარებით სუსტ ლატვიას ეთამაშება, ორი ტურის შემდეგ კი ჩვენს ჯგუფში ასეთი სატურნირო მდგომარეობაა:

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 2 | 2 | 0 | 0 | 32-1 | 6 |
| 2. პოლონეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 18-0 | 6 |
| 3. ლატვია | 2 | 0 | 0 | 2 | 0-21 | 0 |
| 4. საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-29 | 0 |

**ლევან ჯანეზაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ინტერვიუ

# მოტივაცია ორმაგი იყო

## დინამო? რა თქმა უნდა! პრემია? ცხადია!

**რუსთავის "მეტალურგში" პატარა "მრეტები" ყალიბდება – გუნდის უფროსი ირაკლი (აკა) ქავთარაძე ქართველი ქომაგისთვის საყვარელი ამ თბილისური კლუბის ვიცე-პრეზიდენტი იყო, კობა ჟორჟიკაშვილი მოთამაშე-მწვრთნელი, ბუბა ტყავაძე კი – ერთ-ერთი მთავარი მრეტი. ახლა ისინი რუსთავული კლუბის საქმეებს განაგებენ და, როგორც შედეგებიდან ჩანს, არც ისე ურიგოდ.**
**თბილისის "დინამოსთან" გამარჯვებით რუსთავის "მეტალურგმა" დაამტკიცა, რომ ახალი ხელმძღვანელების ხელში არათუ დაკარგა ამბიცია, არამედ უფრო გაეზარდა და ეს "მიხეილ მესხზე" თბილისელებთან თამაშით დაადასტურა – ჩემპიონობისთვის მებრძოლი კიდევ ერთი კლუბი გამოჩნდა.**
**"დინამოსთან" გამარჯვების შემდეგ, ცხადია, "ლელომ" კობა ჟორჟიკაშვილი ტურის მწვრთნელად დაასახელა და ინტერვიუ ჩამოართვა.**

**- თბილისის "დინამოსთან" გამარჯვება ყოველთვის საპატიო და პრესტიჟულია. აშკარად ჩანდა, რომ „მეტალურგი" განსაკუთრებით მოტივირებული იყო.**

- "დინამოსთან" გამარჯვება მართლაც პრესტიჟულია და მატჩისთვის საგანგებოდაც ვემზადებოდით. ბიჭებიც კონცენტრირებულები ჩანდნენ. ვნახე "დინამოს" მატჩების ჩანაწერები და შევისწავლე, ალექს გარსია გუნდს რა სტრატეგიით ათამაშებდა.

სხვათა შორის, "დინამოსთან" მატჩისთვის სანაკრებო პაუზა კარგად გამოვიყენეთ და არა მხოლოდ საამისოდ – ეს დრო ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებას დავუთმეთ და პრაქტიკული მიმართულებითაც ვიმუშავეთ — თუ როგორ შეგვეზღუდა მეტოქისთვის სივრცეები. ცხადია, ამას კარგი ფიზიკური და ტაქტიკური მომზადება სჭირდებოდა და მიხარია, ეს რომ მოვახერხეთ.

თუმცა, "დინამოსთან" მატჩის გარკვეულ ეპიზოდებში ჩანაფიქრის განხორციელებას ყოველთვის ვერ ვახერხებდით. ასე რომ, სამუშაო კიდევ ბევრია და "დინამოსთან" მოგების გამო ცაში ფრენას არ ვაპირებთ. ჩვენ ვცდილობთ, წინ წავიდეთ და პროგრესმა შეუქცევადი ხასიათი მიიღოს.

**- "მეტალურგის" მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე და ფეხბურთელები - გივი კვარაცხელია, დიმიტრი ტატანაშვილი, გიორგი ქავთარაძე, გიორგი გავაშელიშვილი "დინამოდან" წასულები არიან, რაც წმინდა სპორტული ჯიბრის მომენტებსაც აძლიერებდა.**

- რა თქმა უნდა, ეს დამატებითი ინტრიგა იყო.

**- დამატებითი?! ჩემი აზრით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია.**

- არა, დამატებითი ფაქტორია. ფეხბურთელი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ განსაკუთრებული მოტივაციით კი თამაშობს, მაგრამ მოგება ყოფილ გუნდთანაც სასიამოვნოა და სხვებთანაც, მით უფრო, კონკურენტთან.

**- თქვენი გამარჯვების დაკნინება არ მსურს, გუნდმა ორგანიზებულად და გონივრულად წარმართა თამაში, მაგრამ იღბალიც გწყალობდათ.**

- ძალიან კარგი, თუ გვწყალობდა, ფეხბურთში უიღბლობა არავის ახარებს. თუმცა იღბალი შემთხვევით არავის სწყალობს. თუ დააკვირდით, ფეხბურთელები ხშირად ურტყამდნენ შორიდან, რადგან ეს დავალება იყო. წარმატება ამანაც მოგვიტანა.

**- წინასწარ მაინც ვერ წარმოიდგენდით, რომ ფეხბურთელები ასე კარგად დაარტყამდნენ.**

- რა თქმა უნდა, მაგრამ წვიმიან ამინდში შორეული დარტყმები ეფექტური იარაღია, მით უფრო, ახლანდელი ბურთებით, რომელთა ტრაექტორიაც ხშირად არაპროგნოზირებადია. რა თქმა უნდა, ამ იარაღის გამოყენება გადავწყვიტეთ და გაგვიმართლა.

**- ამინდი ხშირად გკარნახობთ სტრატეგიისა და ტაქტიკის შეცვლას?**

- მწვრთნელმა ყველაფერი უნდა გაითვალისწინოს, რადგან ფეხბურთი ნიუანსებისგან შედგება. მათ ყურადღებას თუ არა მიაქცევ, აუცილებლად დაისჯები.

**- თვალში საცემი იყო, რომ "მეტალურგის" მოთამაშეები კონტრშეტევებისას კარგად იშლებოდნენ.**

- ორჯერ იყო სანაკრებო პაუზა და ორჯერვე ამაზე ვიმუშავეთ, რადგან შეტევის ფაზა რაც უფრო სწორად განვითარდება, მით მეტია წარმატების შანსი. ფეხბურთში სივრცეების სწორად ათვისება ძალიან მნიშვნელოვანია, ისევე, როგორც დაცვაში შეკუმშვა და ზონების გადაკეტვა. კონტრშეტევისას ძალიან ბევრს ნიშნავს ფლანგების ეფექტური თამაში - ამ მიმართულებებით ბევრი ვიმუშავეთ.



ცხადია, ამას იდეალურად ვერ ვახერხებთ, მაგრამ მაქსიმალურად ვცდილობთ, ჩვენი ფიზიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სწორად და გონივრულად ვითამაშოთ.

**- "დინამოს" წინააღმდეგ ფეხბურთელი ისედაც მოტივირებულია, მით უფრო, თუ დიდი პრემიას შეჰპირდებიან.**

- ცხადია, ფინანსური მოტივაცია ბევრს ნიშნავს.

**- შევიტყვეთ, რომ "მეტალურგის" წევრებს მოგებისთვის 2500 ლარს შეჰპირდნენ. ამხელა პრემიების დაწესება კარგია, ეს ჩვენს რეალობაში სასიამოვნო სიურპრიზია, იქნებ სხვებმაც მოგბაძონ?**

- მატჩამდე გვითხრეს, რომ გამარჯვებისთვის ჩვეულებრივზე მეტ პრემიას მივიღებდით, მაგრამ ზუსტად რამდენს, ამაზე ევრაფერს გეტყვით.

მერაბ მამულაშვილი

რეკლამის მენეჯერის
ვაკანსია „ლელოში"
E-mail:hr@kvirispalitra.com

ლეგიონერები



ბაჩანა ცხადაძე

# გამარჯვება დერბიში ცხადაძის გოლით

ბაქოს "ინტერმა" ბაქოურ დერბიში "ნეფთჩი" 1:0 დაამარცხა და გამარჯვების გოლი მატჩის 33-ე წუთზე **ბაჩანა ცხადაძემ** გაიტანა. **კახა ცხადაძის** გუნდი ნომინალური სტუმარი იყო. ამ გამარჯვებით "ინტერმა" "ნეფთჩი" ჩამოიტოვა და მეორე საფეხურზე გადაინაცვლა, თუმცა აზერბაიჯანული პრემიერლიგის ერთპიროვნულ ლიდერს, ლენქორანის "ხაზარს" 5 ქულით ჩამორჩება.

სომხეთში "ულისმა" "შირაქს" უმასპინძლა და 2:2 ეთამაშა. ეს მატჩი კი ჩვენი ყურადღების არეალში იმიტომ მოხვდა, რომ "ულისის" ნახევარმცველმა **გიორგი კრასოვსკიმ** დუბლი შეასრულა. "ულისი" სომხეთის ჩემპიონატს ერთპიროვნულად ლიდერობს და უახლოეს მდევარ "განძასარს" 7 ქულით უსწრებს.

"ქაისერისფორის" გმირობის შესახებ გუშინ უკვე გამცნეთ, **აკაკი ხუბუტიას** "სამსუნსფორი" კი სტუმრად "ბუიუქშეჰირთან" 0:3 განადგურდა. "სამსუნის" შემადგენლობაში ხუბუტია 77-ე წუთზე გამოჩნდა. "ქაისერისა" არ იყოს, "სამსუნიც" არასახარბიელო მდგომარეობაშია – 18-გუნდიან სუპერლიგაში 5 ქულით მე-15 ადგილზეა, "ქაისერს" კი 7 ქულა აქვს და მე-13 პოზიციაზეა.

საბერძნეთში მოასპარეზე ორივე ქართველმა შეუცვლელად ითამაშა. **გიორგი შაშიაშვილის** "ერგოტელისი" საკუთარ მოედანზე "არისთან" 1:1-ს დასჯერდა, **დავით კვირკველიას** "პანიონიოსი" კი სტუმრად "იანინას" უგოლოდ გაეყარა. შაშიაშვილმაც და კვირკველიამაც გაფრთხილებები მიიღეს. "პანიონიოსი" ბერძნულ სუპერლიგაში 8 ქულით მეშვიდეა, ხოლო "ერგოტელისი" – 5 ქულით მე-10.

ავსტრიის მოქმედი ჩემპიონი „შტურმი" ამ სეზონში არასტაბილურად თამაშობს და ათგუნდიან ბუნდესლიგაში მხოლოდ მე-6 ადგილზეა. თუმცა სასიამოვნოა, რომ გრაცელთა ახალწვეულმა **გიორგი ფოფხაძემ** ახალი გუნდის ძირითად შემადგენლობაში უმალ დაიმკვიდრა ადგილი. ქართველმა მცველმა "მატერსბურგთან" გასვლით შეხვედრაში, რომელიც 3:3 დასრულდა, სრულად ითამაშა და ყვითელი ბარათი მიიღო.

ლევან ჯანეზაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი

### ა ზონა

**გადატანილი მატჩი**

**ლოკომოტივი–მეშახტე 2:2**

09. 10. საბურთალოს სპორტკომპლექსი. 50 მაყურებელი

0:1 ვ. ჭრელაშვილი (31), 0:2 ა. მეტონიძე (55), 1:2 დ. ბაქრაძე (90+1), 2:2 დ. ჯიქია (90+3).

ლოკომოტივი: ბ. საჯაია, გ. მჭედლიშვილი, ნ. ჭანტურია, გ. გაბაძე, გ. გურეშიძე (61. დ. მიქავა), ბ. მახარაძე (72. ლ. კვარაცხელია), გ. გოროზია, ა. გუგუშვილი (72. დ. ბაქრაძე), დ. ჯიქია, მ. ცინცაძე

სათადარიგოები: გ. ბაქრაძე, გ. შარანგია, ნ. შერაზადიშვილი, ი. ხომერიკი

მწვრთნელი: გ. ჩიტაური

მეშახტე: დ. ოდიშარია, თ. ხარებავა, გ. გვენეტაძე, ზ. ენდელაძე, ნ. ხარაბაძე, მ. კოპალიანი, ი. ლიბრაძე (72. გ. უგლავა), ა. მეტონიძე, ვ. ჭრელაშვილი (84. კ. ხუჯაძე), გ. ხეცურიანი (88. ჯ. ავალიშვილი), დ. კუტალია

სათადარიგოები: თ. ჭელიძე, თ. ჯოხაძე

მწვრთნელი: დ. რუხაძე

გაფრთხილება: გ. გოროზია; თ. ხარებავა, ზ. ენდელაძე, გ. უგლავა

არბიტრი: ბ. ნინუა

**IX ტური**

**კოლხეთი–დინამო 0:1**

13. 10. ხობი. „ცენტრალური". 300 მაყურებელი

კოლხეთი: დ. ხარძეიშვილი, გ. გოგენია, ო. ფიფია, ლ. გოგენია, ც. ბუკია, ლ. ჩაჩიბაია, მ. ბესარაშვილი, ი. გერგაია, ლ. მეფიშვილი, მ. ჭკადუა (75. ვ. ფირცხელავა), პ. ბაკარანძე

სათადარიგოები: ზ. გელაშვილი, გ. ლომაია, კ. ალანია, რ. ცობეხია, პ. გაბრავა, დ. ნარსია

მწვრთნელი: გ. სანაია

დინამო: ბ. მამინაშვილი, მ. ფარტენაძე, ნ. ხუხია, ლ. რამიშვილი, კ. მაკარიანი, ვ. თევდორაძე (26. ი. ცანავა), გ. გოგიტიძე, ზ. ლობჟანიძე, კ. თოდაძე (46. დ. სამსეიშვილი), მ. ჯორბენაძე (77. ვ. ქორიძე), თ. ბერიძე

სათადარიგოები: თ. კაკალაძე, ნ. ნასუაშვილი, ნ. დიასამიძე, ა. ბაციკაძე

მწვრთნელი: ი. ნასუაშვილი

გაფრთხილება: თ. ბერიძე

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

**მესხეთი–სტუ 4:1**

13. 10. ახალციხე. „მიხეილიაძე". 200 მაყურებელი

1:0 კ. ხანიშვილი (5), 2:0 დ. ინასარიძე (32, პენალტით), 3:0 ზ. ბარძიმაძე (42), 4:0 ი. ცნობილაძე (64), 4:1 ჯ. კოლუა (89)

მესხეთი: გ. ძამუნაშვილი, ლ. სარალიძე, დ. ლეკიშვილი, ზ. ბარძიმაძე (81. ო. დარჩია), მ. მურმანიშვილი, დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი, დ. ინასარიძე (66. ზ. სუდაძე), გ. წინამძღვრიშვილი (70. გ. ქურდაძე), დ. ტლაშაძე, ი. ცნობილაძე

სათადარიგოები: გ. გევორქიანი, გ. მურადაშვილი, ლ. ოქრომელიძე, მ. ლეკიშვილი

მწვრთნელი: პ. გოგოლაძე

სტუ: დ. მეფარიძე, ნ. მაღრაძე, გ. კვახაძე, ნ. ბინკინაშვილი, გ. ბიბილეიშვილი, ლ. თვალავაძე (77. ზ. ჭავჭავაძე), ა. ლალაძე, ლ. საბაძე (65. ჯ. კოლუა), გ. ჯიშკარიანი, ა. ბაგაშვილი (46. გ. გოგატიშვილი), ლ. ჯიქიძე

სათადარიგოები: ა. აბულაძე, ა. ლეჟავა, ლ. ციკოლია, ლ. ჭყოიძე

მწვრთნელი: გ. ჟორჟოლიანი

გაფრთხილება: მ. მურმანიშვილი, ზ. ბარძიმაძე, დ. ტლაშაძე; ლ. თვალავაძე

არბიტრი: მ. ბეჟქლიშვილი

**მერცხალი–ჩხერიმელა 3:1**

13. 10. ოზურგეთი. „მეგობრობა". 200 მაყურებელი

0:1 დ. კოსტავა (16), 1:1 ს. გ. ჩიგოგიძე (38), 2:1 ს. გ. ჩიგოგიძე (43), 3:1 გ. ტყეშელაშვილი (58)

მერცხალი: გ. გოგუა, ზ. ვარდუაშვილი, თ. ვარდუაშვილი (87. თ. ჩხატარაშვილი), მ. ქობულაძე, ზ. ტულუში, ლ. კალანდაძე, ს. გ. ჩიგოგიძე, ს. ვ. ჩიგოგიძე, ლ. ათუაშვილი (46. ი. ტაკიძე), გ. ტყეშელაშვილი, ლ. კოტრიკაძე (56. ი. ბაჯელიძე)

სათადარიგოები: ი. მურუსიძე, ი. ხეცურიანი, ნ. მაჭავარიანი

მწვრთნელი: ხ. ჩხატარაშვილი

ჩხერიმელა: ი. კუჭუხიძე, დ. ბერუაშვილი, ი. გვეტაძე, გ. ჭაავა (46. ი. ჭანკვეტაძე), გ. გოგიჩაიშვილი (65. გ. ზაქარაშვილი), გ. თურმანიძე, ა. დოლონაძე, ო. გიორგობიანი, ა. ქაშაკაშვილი (78. ი. გვარჯილაძე), გ. ბოხუა, დ. კოსტავა

სათადარიგოები: ი. ორბელაძე, გ. ივანაშვილი, ჯ. არევაძე, ბ. ახალაია

მწვრთნელი: მ. ხუნდაძე

გაფრთხილება: გ. ტყეშელაშვილი, ლ. კალანდაძე; გ. ბოხუა, დ. კოსტავა

არბიტრი: თ. ხუჭუა

**მეშახტე–სამტრედია 5:0**

13. 10. ტყიბული. „ვ. ბოჭორიშვილი" 200 მაყურებელი

1:0, 2:0 გ. ხეცურიანი (9, 42), 3:0, 4:0, 5:0 ვ. ჭრელაშვილი (44, 52, 89)

მეშახტე: დ. ოდიშარია, თ. ხარებავა, ნ. ხარაბაძე, მ. კოპალიანი, კ. ხუჯაძე, ი. ლიბრაძე, ა. მეტონიძე (83. გ. უგლავა), ჯ. ავალიშვილი (75. ა. სახელაშვილი), დ. კუტალია (78. ბ. ჯიშიაშვილი), გ. ხეცურიანი, ვ. ჭრელაშვილი

სათადარიგოები: თ. ჯოხაძე, თ. ჭელიძე

მწვრთნელი: დ. რუხაძე

სამტრედია: ნ. ბანძავა, დ. ჩხიკვაძე, ლ. ხაჭაპურიძე, ზ. მიქელთაძე, შ. კერძევაძე, გ. რუხაძე (46. ბ. ახობაძე), ს. მიქაძე (56. ვ. ლეკვეიშვილი), ს. ლეჟავა, რ. ნინუა, ი. ხვადაგიანი (85. ა. თელია), პ. შათირიშვილი

სათადარიგოები: კ. ღლონიძე, ლ. სუთიძე, ტ. რუხაია, ი. შენგელია

მწვრთნელი: კ. მიქაძე

გაფრთხილება: ა. მეტონიძე, ი. ლიბრაძე

არბიტრი: ა. გუნთაძე

**ჭიათურა–ლოკომოტივი 4:1**

13. 10. ჭიათურა. „თემურ მაღრაძე". 200 მაყურებელი

1:0 გ. ქირია (26, პენალტით), 2:0 ზ. ხაჭიპერაძე (39), 3:0 გ. ქირია (74), 3:1 ნ. შერაზადაშვილი (79), 4:1 ნ. გაფრინდაშვილი (83)

*გ. ქირიამ („ჭიათურა") 66-ე წუთზე ვერ გამოიყენა პენალტი; ნ. შერაზადიშვილმა („ლოკომოტივი") 79-ე წუთზე ვერ გამოიყენა პენალტი*

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, ბ. ჭუმბურიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ო. გაგნიძე, ლ. ცუცქირიძე, ზ. ნოზაძე (77. ა. ბაბლიძე), გ. ბრეგვაძე, გ. ქირია, ლ. ბარათაშვილი (59. ლ. მაჩაიძე), დ. ქირია, ზ. ხაჭიპერაძე (87. თ. ფხალაძე)

სათადარიგოები: ლ. სარალიძე

მწვრთნელი: მ. კიპაროიძე

ლოკომოტივი: ბ. საჯაია, დ. საჯაია, ნ. ჭანტურია, გ. გაბაძე, გ. გურეშიძე (46. დ. მიქავა), ლ. კვარაცხელია, დ. ბაქრაძე (75. დ. დარციმელია), გ. გოროზია, ა. გუგუშვილი (46. ნ. შერაზადაშვილი), დ. ჯიქია, მ. ცინცაძე

სათადარიგოები: გ. შარანგია, გ. ბაქრაძე, დ. გუჯაბიძე, გ. ასლამაზიშვილი

მწვრთნელი: გ. ჩიტაური

გაფრთხილება: ლ. ცუცქირიძე, ო. გაგნიძე, ზ. ხაჭიპერაძე, გ. ქირია; ბ. საჯაია, დ. ჯიქია, დ. დარციმელია

გაძევება: ო. გაგნიძე; გ. გაბაძე, ლ. კვარაცხელია

არბიტრი: ზ. ასკარ-ოღლი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბათუმი | 9 | 7 | 1 | 1 | 14-5 | 22 |
| 2. მერცხალი | 8 | 5 | 2 | 1 | 13-9 | 17 |
| 3. ჩხერიმელა | 9 | 5 | 2 | 2 | 13-11 | 17 |
| 4. ჭიათურა | 8 | 4 | 2 | 2 | 13-7 | 14 |
| 5. სტუ | 8 | 4 | 2 | 2 | 18-15 | 14 |
| 6. მეშახტე | 9 | 2 | 2 | 5 | 10-11 | 8 |
| 7. კოლხეთი (ხ) | 9 | 2 | 2 | 5 | 8-12 | 8 |
| 8. მესხეთი | 8 | 2 | 1 | 5 | 7-10 | 7 |
| 9. ლოკომოტივი | 6 | 0 | 3 | 3 | 5-11 | 3 |
| 10. სამტრედია | 8 | 0 | 3 | 5 | 5-15 | 3 |

**მომდევნო ტური. 20 ოქტომბერი**

ბათუმი-ჩხერიმელა (ხარაგაული)
მერცხალი (ოზურგეთი)-სტუ (თბილისი)
მესხეთი-(ახალციხე)-სამტრედია
მეშახტე (ტყიბული)-ლოკომოტივი (თბ)
ჭიათურა-კოლხეთი (ხობი)

### ბ ზონა

**გურია–სამგურალი 3:0**

12. 10. ლანჩხუთი. „ევ. შევარდნაძე". 200 მაყურებელი

1:0 გ. ნათენაძე (34), 2:0 გ. მელქაძე (63), 3:0 იაგო დეისაძე (67)

გურია: დ. კეკელიძე, რ. კუკულაძე, ა. დვალიშვილი, გ. ნათენაძე (75. გ. შენირული), ზ. რაზმაძე (70. ჯ. გოგიბერიძე), გ. მელქაძე, ტ. კუკულაძე, ი. კილაძე (60. ს. ფირცხალაიშვილი), ლ. კობახიძე, იაგო დეისაძე, გ. კვერენჩხილაძე

სათადარიგოები: მ. გოგუაძე, ბ. წერეთელი, ლ. რუსიეშვილი, გ. კვიტაიშვილი

მწვრთნელი: გ. იმნაძე

სამგურალი: ლ. გორდეზიანი, ბ. ხაჭიპერაძე, კ. ძაგანია, ნ. უგრეხელიძე, ზ. ჩიხლაძე, ლ. ცხადაძე (70. ა. ფანცხავა), ხ. უგრეხელიძე, გ. გორგოძე, გ. უგულავა (46. ზ. კუხალეიშვილი), გ. ბუხაიძე, ლ. ნავერიანი (46. რ. ჩიხლაძე)

სათადარიგოები: ლ. მესხი, გ. გელენიძე, დ. მემარნიშვილი

მწვრთნელი: გ. გოგიაშვილი

გაფრთხილება: კ. ძაგანია

არბიტრი: შ. ქუხილავა

**ნორჩი დინამოელი–ჩიხურა 0:2**

12. 10. თბილისი. სპ. კომპლექსი „შატილი". 200 მაყურებელი

0:1 გ. სილაგავა (25), 0:2 ი. ზაბახიძე (61)

ნ. დინამოელი: ა. ნონოსი, გ. კვანტალიანი, ა. ჩუენსუ, გ. ლომიძე, ლ. ელიზბარაშვილი (61. ა. შენგელია), ზ. ძაგანია (61. ვ. ჭანტურიშვილი), თ. ჩარგეიშვილი, გ. ქვარაია, გ. ოქრუაშვილი, ი. ქავთარაძე, ლ. ლაბარტყავა (61. გ. თანიაშვილი)

სათადარიგოები: ა. ბილიხოძე, გ. ბერიშვილი, გ. ჩუბინიძე, ი. ხელაძე

მწვრთნელი: რ. ბარამიძე

ჩიხურა: რ. თევდორაძე, ლ. ჩიკვაიძე, ჯ. ბერიანიძე, ლ. ჭელიძე, ი. ზაბახიძე, ლ. ვაშაკიძე (66. ე. ზივზივაძე), ლ. ბაკურაძე, ლ. ნოზაძე (86. გ. ქიმაძე), გ. სილაგავა, ნ. კვასხვაძე, თ. მუმლაძე (66. გ. სალარიძე)

სათადარიგოები: გ. ცარციძე, ი. ლილუაშვილი, ა. ივანიშვილი, ზ. მწყერაშვილი

მწვრთნელი: ს. ფრუიძე

გაფრთხილება: ლ. ლაბარტყავა, ა. ჩუენსუ; თ. მუმლაძე

არბიტრი: ო. ხეცაძე

**სულორი–აეტი 1:1**

12. 10. ვანი. „გრ. ნიკოლაიშვილი". 200 მაყურებელი

0:1 ლ. არაყიშვილი (65), 1:1 ბ. სულაბერიძე (71, პენალტით)

სულორი: დ. ხურციძე, ვ. ნუცუბიძე, ა. ქებულაძე, პ. ბელთაძე (48. თ. ძაგნიძე), ნ. გიორგაძე, თ. მალლაკელიძე (74. კ. კვიმსაძე), ბ. დვალიშვილი, კ. გოგაძე (66. ბ. სულაბერიძე), გ. ნიკოლეიშვილი, მ. ნაფეტვარიძე, ბ. ბელქანია

სათადარიგოები: ლ. გაბუნია, ნ. ბრეგვაძე, გ. ბრეგვაძე, ი. დვალიშვილი

მწვრთნელი: მ. კორძაძე

აეტი: ლ. ეზიეშვილი, ლ. ბიწაძე, თ. მეტრეველი, გ. სოსელია (76. გ. ბაკურაძე), გ. ბაგალიშვილი, დ. ლობჟანიძე, პ. კვიკვინია, გ. ჯაჭვლიანი, ლ. არაყიშვილი, ნ. ზაქარიაძე, გ. მარგიანი

მწვრთნელი: ო. სოხაძე

გაფრთხილება: თ. ძაგნიძე; გ. სოსელია, გ. ბაკურაძე

არბიტრი: ზ. ანიაშვილი

**ზოოვეტი–სქური 1:1**

12. 10. თბილისი. „სპორტის აკადემია". 100 მაყურებელი

0:1 გ. შელია (12), 1:1 ი. სვანიძე (43)

ზოოვეტი: ნ. გვარამაძე, შ. გალეგაშვილი, თ. ჯიმშელეიშვილი, მ. მახათაძე, მ. პატარქალიშვილი, შ. ფარულავა, თ. მოსიაშვილი, ი. ჯოჯიშვილი (76. ბ. მამარდაშვილი), ბ. ბარბაქაძე, ი. სვანიძე, გ. ჯოხაძე (19. ლ. ლობჟანიძე, 65. ი. ალასანია)

სათადარიგოები: მ. ბაბაიანი, ს. ლორთქიფანიძე, უ. მამულაშვილი, გ. ჭოველიძე

მწვრთნელი: ე. გუგუშვილი

სქური: ნ. ჯოლოგუა, ი. ფაცაცია, ა. მიქენაია, გ. შელია (65. ზ. ღარიბაშვილი), შ. გაბუნია, ლ. გაბუნია (60. ზ. მოლაშხია), ბ. სვანიძე, გ. სართანია (72. დ. რაფავა), ა. სოხინი, გ. ჭკუასელი, გ. კვირკვია

სათადარიგოები: გ. წურწუმია, ზ. გახარია, ჯ. ყურუა, ტ. ხარჩილავა

მწვრთნელი: ნ. ბოჯგუა

გაფრთხილება: გ. კვირკვია

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

**ადელი–იმერეთი 1:1**

12. 10. ბათუმი. „ადელი". 100 მაყურებელი

0:1 ნ. ჩიხლაძე (15), 1:1 ა. აბუსელიძე (45), 1:2 გ. გოდერიძე (56)

ადელი: თ. ცინცაბაძე, მ. ფუტკარაძე, ს. კახიძე, გ. ზოიძე, ნ. წულუკიძე, გ. ფალავანდიშვილი, ა. ლორია (88. თ. გიორგაძე), ა. აბუსელიძე, დ. ჯალაღანია (88. ი. ლოლობერიძე), ნ. დავითაძე (46. დ. უნგიაძე), გ. სირაბიძე

სათადარიგოები: გ. რომანაძე, ს. მამისეიშვილი, ლ. კვანტალიანი, ზ. მჟავანაძე

მწვრთნელი: გ. ჯორბენაძე

იმერეთი: გ. ნიქაბაძე, ვ. ბრეგაძე, ლ. გაჩეჩილაძე, რ. კაშია, გ. ცაგარეიშვილი, გ. გოდერიძე, ბ. ჩხეტიანი, დ. კუხალაშვილი, დ. სულაბერიძე (79. გ. გენძეხაძე), ნ. ჩიხლაძე, იაკობ დეისაძე (90. დ. გოდერიძე)

სათადარიგოები: ე. რუხაძე, ნ. ჩაჩიბაია, გ. ხელაძე, დ. ხაბურძანია, ს. მეძველია.

მწვრთნელი: დ. ჭელიძე

გაფრთხილება: გ. ფალავანდიშვილი, დ. უნგიაძე; ლ. გაჩეჩილაძე, რ. კაშია

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 9 | 8 | 1 | 0 | 21-2 | 25 |
| 2. გურია | 9 | 6 | 2 | 1 | 25-8 | 20 |
| 3. ნ/დინამოელი | 9 | 5 | 1 | 3 | 19-8 | 16 |
| 4. იმერეთი | 9 | 5 | 1 | 3 | 14-11 | 16 |
| 5. ზოოვეტი | 9 | 4 | 1 | 4 | 11-17 | 13 |
| 6. სქური | 9 | 3 | 2 | 4 | 10-14 | 11 |
| 7. სამგურალი | 9 | 2 | 4 | 3 | 10-10 | 10 |
| 8. ადელი | 9 | 2 | 1 | 6 | 10-17 | 7 |
| 9. სულორი | 9 | 1 | 2 | 6 | 3-22 | 5 |
| 10. აეტი | 9 | 1 | 1 | 7 | 5-19 | 4 |

**მომდევნო ტური. 19 ოქტომბერი**

გურია (ლანჩხუთი)-ადელი (ბათუმი)
სულორი (ვანი)-ჩიხურა (საჩხერე)
იმერეთი (ხონი)-სქური (წალენჯიხა)
ზოოვეტი (თბილისი)-აეტი (სოხუმი)
ნ/დინამოელი (თბ.)-სამგურალი (წყალტუბო)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეძღვნება რუსთავქალაქობას!



დიმიტრი ტატანაშვილი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ

**სანაკრებო** მატჩებით გამოწვეული ორკვირიანი შესვენება ჩვენი ჩემპიონატის მონაწილე გუნდებს მართლაც ნაყოფიერად გამოუყენებიათ: უმაღლესი ლიგის გათამაშება ერთიმეორეზე უკომპრომისო და უხვგოლიანი მატჩებით განახლდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სწორედ IX ტურში ვნახეთ ამ სეზონის, უდავოდ, გამორჩეული და ჩემპიონატის სტარტიდან მოყოლებული, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრაც; „დინამო“-„მეტალურგის“ დაპირისპირებას ვგულისხმობთ, — სტუმართა ლოგიკური და დამსახურებული გამარჯვებით რომ დამთავრდა. ამ სანახაობრივ შეხვედრას კვლავაც დავუბრუნდებით, მანამდე კი ერთობ სასიამოვნო ტენდენციაზე გვსურს ყურადღების გამახვილება: ზედიზედ მეორე შემთხვევაა, ტურის არც ერთი მატჩი ფრედ რომ არ მთავრდება, ალარაფერს ვამბობთ გაზრდილ შედეგიანობაზეც. თავად განსაჯეთ: ექვს მატჩში გატანილი 20 ბურთი ურიგო კი არა, მართლაც მშვენიერი შედეგია და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ სეზონის დაწყებიდან მოყოლებული, ჯერჯერობით საუკეთესო მაჩვენებელია. ეგ კი არა, წინა სეზონში ამდენი გოლი არც ერთ ტურში არ გასულა, თუმცა ნუ დაგვავიწყდება, რომ XXII ჩემპიონატში 10 გუნდი მონაწილეობდა. ახლა კი — 12. ამის მიუხედავად, ალბათ, ბევრი დაგვეთანხმება, რომ ერთ მატჩში საშუალოდ სამ გოლზე მეტი რომ გადის, ჩემპიონატის სანახაობრივ მხარეზეც დადებითად მოქმედებს. მაგრამ, ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ტრიბუნებზე გულშემატკივართა რაოდენობა ტურიდან ტურამდე კლებულობს: „ვიტ ჯორჯია“-„კოლხეთის“ მატჩს, ყველაზე ბევრი... 50 კაცი ესწრებოდა, ტურის ცენტრალურმა დაპირისპირებამ და მართლაც სანახაობრივმა შეხვედრამ კი, ფაქტობრივად, ცარიელი ტრიბუნების წინ ჩაიარა. ისე, „დინამოსა“ და „მეტალურგის“ (იგივე, „ოლიმპის“) ხუთწლიანი ურთიერთდაპირისპირების ისტორიაში ასე ცოტა მაყურებელი არასდროს ყოფილა...

## ჩემპიონის დაბრუნება

ახალგაზრდა მწვრთნელის, **გია ჭიაბრიშვილის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ზესტაფონმა“ ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო და ცხრილის სათავეშიც მოექცა. საქართველოს მოქმედმა ჩემპიონმა თავისი მატჩი შაბათს ჩაატარა და ერთი დღით გახდა ლიდერი — „დინამო“ კვირას თამაშობდა და ცხრილის პირველი საფეხურის შესანარჩუნებლად **ალექს გარსიას** გუნდს ფრეც ჰყოფნიდა. თუმცა, ტურის ცენტრალურ მატჩში მოვლენები ისე განვითარდა, „ზესტაფონის“ ქომაგებისათვის იდეალურზე მეტიც რომ ეთქმოდა — „დინამო“ უქულოდ დარჩა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ერთი კვირის განმავლობაში სატურნირო ცხრილის სათავეში მოქმედი ჩემპიონი იქნება! ისიც ნიშანდობლივია, რომ უკვე აშკარა კრიზისში მყოფი „გაგრას“ კარში ოთხივე ბურთი „ზესტაფონის“ ლიდერებმა გაიტანეს - ანუ იმ ფეხბურთელებმა, რომლებმაც ლომის წილი დაიდეს „ზესტაფონის“ საჩემპიონო ტრიუმფში: 26 წლის **ჯაბა დვალმა**, 25 წლის **შოთა გრიგალაშვილმა** და 26 წლის **ნიკოლოზ გელაშვილმა.** ამ უკანასკნელმა სულაც „დუბლი“ შეასრულა და ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობისათვის ალბათ, ამ სეზონშიც იბრძოლებს.

საერთოდ კი, საქართველოს ჩემპიონატებში გელაშვილს უკვე 84 გოლი აქვს გატანილი და დიდი შანსია, რომ ამ სეზონშივე შეძლოს მეასე ბურთის გატანა. აქვე, იმასაც დავძენთ, რომ XXIII ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელთაგან გელაშვილს მეორე შედეგი აქვს და მხოლოდ **გიორგი მეგრელაძეს** („ტორპედო“) ჩამორჩება. ცნობისათვის: ქუთაისელთა 33 წლის ცენტრფორვარდს მეტოქეთა კარში 125 გოლი აქვს გატანილი!

## სამწვრთნელო თემა

ამ სეზონში პირველად მოხდა, „ტორპედომ“ ზედიზედ 2 მატჩი რომ მოიგო: ისე როგორც წინა ტურში, ქუთათურებმა ამ წარმატებას ახალი მწვრთნელის, **გია გეგუჩაძის** ხელმძღვანელობით მიაღწიეს. ზედიზედ ორი გამარჯვებით „ტორპედომ“ სატურნირო მდგომარეობაც მკვეთრად გაიუმჯობესა და გუნდი ამ სეზონშივე შეეცდება მაღალი ადგილებისათვის ბრძოლას. ეგ კი არა, „ტორპედოს“ რეალურად შესწევს იმის ძალა, რომ „საჩემპიონო რბოლაშიც“ ჩაებას — ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გია გეგუჩაძე რომ თავის ახალ გუნდს კიდევ უფრო გააძლიერებს, ამაში ეჭვი არავის ეპარება. აი, რაც შეეხება კიდევ ერთ ახალ მწვრთნელს, სამწუხაროდ, **ზვიად ჯელაძის** დებიუტი მარცხიანი აღმოჩნდა — „გაგრას“ წარუმატებელი სერია კვლავაც გრძელდება და მართლაც საწყენია, ეს ახალგაზრდული გუნდი კატასტროფული ტემპით რომ ეშვება ცხრილის ფსკერისკენ. არადა, შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატის სტარტზე სწორედ „გაგრა“ იყო ერთადერთი გუნდი, სამიდან სამი მატჩი რომ ჰქონდა მოგებული, იმის შემდეგ კი მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა. „სამწვრთნელო თემაზე“ საუბარი კი მართლაც დამაფიქრებელი სტატისტიკით გვინდა დავამთავროთ: ჩემპიონატის დაწყებიდან ცხრა ტურია გასული და ჯერჯერობით ექვსი გუნდია, სადაც მწვრთნელი არ შეცვლილა. თუმცა, მწვრთნელების მოხსნა-დანიშვნაში ისეთი „ტემპია“ აღებული, რომ უახლოეს პერიოდში მოსალოდნელი რამდენიმე საკადრო გადაადგილებაც არავის გაუკვირდეს...

## მეტალურგი: საჩუქარი და ამბიცია

შაბათ-კვირას „რუსთავქალაქობა“ იყო და „მეტალურგმაც“ მშვენიერი საჩუქარი გაუკეთა თავის ერთგულ ქომაგს: ლამაზ სტილში დაამარცხა თბილისის „დინამო“ და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდს ამ სეზონში რეალურად ხელეწიფება ჩემპიონობისათვის ბრძოლა. საერთოდ, დამკვიდრებულ-მიღებულია, რომ გუნდის ნებისმიერი წარმატება მუდამ ფეხბურთელების დამსახურებად მიიჩნევა, მწვრთნელის როლი კი რატომღაც „მეორეხარისხოვანია“ ხოლმე. რა თქმა უნდა, „მეტალურგის“ ყველა ფეხბურთელი ქების ღირსია, მაგრამ რუსთაველთა მწვრთნელსაც არ უნდა დავუკარგოთ გარჯა, მით უფრო, რომ კობა ჟორჟიკაშვილმა თავის ესპანელ კოლეგას **ალექს გარსიას** „სამწვრთნელო დუელი“ პირწმინდად მოუგო! მიმოხილვის დასაწყისშივე აღვნიშნეთ, რომ „დინამო“-„მეტალურგი“ ამ სეზონის ერთ-ერთი გამორჩეული შეხვედრა იყო და მართლაც საწყენია, ასეთი მცირე აუდიტორიის წინ რომ ჩატარდა; ალარაფერს ვამბობთ რუსთაველთა გუნდის 23 წლის ნახევარმცველის **ირაკლი მაისურაძის** ერთიმეორეზე ეფექტურ გოლებზე - ტურის კი არა, სეზონის მშვენება რომ იყო! შეგახსენებთ, მაისურაძე რუსთაველთა გუნდში წინა სეზონში, კონკრეტულად კი ამა წლის დასაწყისში გამოჩნდა, როცა ბელარუსის ჩემპიონატში ნათამაშებ ყველასათვის უცნობ ფეხბურთელს „ოლიმპის“ იმდროინდელმა თავკაცმა **თორნიკე მაისურაძემ** უდიდესი ნდობა გამოუცხადა და ძირითადში ანდო ადგილი. საინტერესო დეტალი: საქართველოს ჩემპიონატში სადებიუტო გოლი მაისურაძემ 2011 წლის 23 თებერვალს გაიტანა და სწორედ მისი ერთადერთი ბურთის წყალობით შეძლო „ოლიმპმა“... „დინამოს“ დამარცხება! ისე, „დინამოსა“ და „მეტალურგის“ („ოლიმპის“) ურთიერთდაპირისპირებებში ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბის უპირატესობა უცბად გაჰქრა და ამჟამად აბსოლუტური თანაფარდობაა (მეტოქეებმა ექვს-ექვსი მატჩი მოიგეს, ოთხი შეხვედრა კი ფრედ დამთავრდა). ამ ტურის ცენტრალური მატჩის შედეგი სხვა მხრივაც იყო „განსაკუთრებული“: საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში მესამედ მოხდა, თბილისის „დინამომ“ საშინაო მატჩი რომ წააგო რუსთაულ გუნდთან! პირველად ასეთი შემთხვევა 1990 წელს იყო, როცა **გივი ნოდიას** დამოძღვრილმა „გორდამ“ ეროვნულ სტადიონზე 1:0 მოიგო, მეორე წარმატებას რუსთაველებმა 2008 წლის გაზაფხულზე მიაღწიეს, როცა **ანატოლი პისკოვეცის** თავკაცობით მოასპარეზე „ოლიმპმა“ **დავით დევდარიანის** ჩინებული თამაშის წყალობით „დინამოს“ სტუმრად 2:1 მოუგო და აი, მესამე გამარჯვებაც...

## IX ტურის სიმბოლური ნაკრები




## ორგოლიანები და უილბლონი

ამ ჩემპიონატის დაწყებიდან ცხრა ტურია გასული და ჯერჯერობით არც ერთი „ჰეთ თრიქი“ არ გვინახავს; სამაგიეროდ, უკვე 12 შემთხვევაა, როცა კონკრეტულმა ფეხბურთელმა ერთ მატჩში ორი გოლის გატანა შეძლო. აი, ის ფეხბურთელებიც, XXIII ჩემპიონატში „დუბლი“ რომ შეასრულეს: **ნოდარ ნოზაძე** („დილა“)-I ტური, **შალვა კვანტალიანი** („გაგრა“)-II ტური, **ჩისკო** („დინამო“)-IV ტური, **დიმიტრი ტატანაშვილი** („მეტალურგი“), **ლუკა გუგუჩია** („ბაია“)-V ტური, დიმიტრი ტატანაშვილი („მეტალურგი“), **გიორგი მანწკავა** („მერანი“)-VI ტური, დიმიტრი ტატანაშვილი („მეტალურგი“), ჩისკო („დინამო“), **ზვიად მეტრეველი** („სპარტაკი“)-VIII ტური, **ირაკლი მაისურაძე** („მეტალურგი“), **ნიკოლოზ გელაშვილი** („ზესტაფონი“)-IX ტური.

დაბოლოს, ავტოგოლებზეც: ჩემპიონატის სტარტიდან მოყოლებული, სამ ფეხბურთელს ჰქონდა საკუთარ კარში ბურთი გატანილი და ამ ტურში ეს სია ერთით გაიზარდა. აი, უიღბლოთა სიაც: **გიორგი ტყეშელაშვილი** („გაგრა“), **გიორგი რეხვიაშვილი** („დინამო“), **ლევან შავგულიძე** („კოლხეთი“), **გიორგი ლემონჯავა** („კოლხეთი“)...

**გია ტუხაშვილი**



მე-9 ტურის მერე ცხრილის სათავეში ზესტაფონი მოექცა

დავით კობრიძის ფოტო

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ. | ბურთები გაშ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 9 | 6 | 2 | 1 | 18 | 12 | 20 |
| 2 | დინამო | 9 | 6 | 1 | 2 | 19 | 10 | 19 |
| 3 | მეტალურგი | 9 | 5 | 2 | 2 | 12 | 7 | 17 |
| 4 | ბაია | 9 | 5 | 1 | 3 | 13 | 6 | 16 |
| 5 | ტორპედო | 9 | 5 | 1 | 3 | 9 | 6 | 16 |
| 6 | მერანი | 9 | 4 | 2 | 3 | 11 | 10 | 14 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 9 | 4 | 2 | 3 | 10 | 11 | 14 |
| 8 | დილა | 9 | 3 | 1 | 5 | 13 | 14 | 10 |
| 9 | გაგრა | 9 | 3 | 1 | 5 | 10 | 12 | 10 |
| 10 | სპარტაკი | 9 | 1 | 4 | 4 | 5 | 10 | 7 |
| 11 | კოლხეთი | 9 | 1 | 3 | 5 | 5 | 12 | 6 |
| 12 | სიონი | 9 | 0 | 2 | 7 | 3 | 18 | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერია A. VII ტურის შეჯამება

# უგოლო ფრეები კლოზემ დაჩრდილა

## გლობალური სტატისტიკა, სერიები, ციფრები და ფაქტები

### ტურის სიმბოლური ნაკრები

**ჰანდანოვიჩი** (უდინეზე) - **აბატე** (მილანი), **ბარცალი** (იუვენტუსი), **ჰაინცე** (რომა), **პელუზო** (ატალანტა) - **ნოჩერინო** (მილანი), **ალმირონი** (კატანია), **ერნანესი** (ლაციო) - **ფლოკარი** (პარმა), **იბრაჰიმოვიჩი** (მილანი), **კლოზე** (ლაციო).

მიუხედავად იმისა, რომ ათი გამართული შეხვედრიდან ხუთი ნულოვანი ფრით დასრულდა, მაინც მოიძებნა სამი ფორვარდი, რომლებიც სიმბოლურ ნაკრებში მოხვდნენ. გასაკვირი ის გახლავთ, რომ ამ სამმა თავდამსხმელმა მთლიანობაში მხოლოდ ერთი კინკილა გოლი გაიტანა და ისიც, მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში. დიახ, **სერჯო ფლოკარიმ** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** უგოლოდ დატოვეს მოედანი, სამაგიეროდ, უდიდესი შრომა გასწიეს მინდორზე და საგოლე გადაცემებიც არიგეს. რაც შეეხება **მიროსლავ კლოზეს**, მასზე ქვემოთ მოგახსენებთ ვრცლად...

სამაგიეროდ, ნახევარმცველები გვყავს უხვგოლიანი - **ნოჩერინომ, ალმირონმა** და **ერნანესმა** თითო გოლი „მიართვეს" მეტოქეებს და დიდი წვლილი შეიტანეს თავ-თავიანთი გუნდების გამარჯვებაში; როგორც იცით, „მილანმა" „პალერმო" დაამარცხა, „კატანიამ" - „ინტერი", „ლაციომ" კი - „რომა".

დაცვით ფაზაში **ანდრეა ბარცალი** უნდა გამოვარჩიოთ, რომელიც მესამეჯერ ხვდება რჩეულ ფეხბურთელთა შორის, არადა, ჩემპიონატის დაწყებიდან მხოლოდ ექვსი ტურია გასული. მართლაც შესანიშნავი შედეგია და თუ ასე გააგრძელა ანდრეამ, უდავოდ სეზონის საუკეთესო მცველის სტატუსს მოიპოვებს.

### ტურის გმირი

რომაულ დერბიში მსაჯის მიერ კომპენსირებული დრო იწურებოდა, როდესაც მიროსლავ კლოზემ „ჯალოროსის" საჯარიმოში შეირბინა, თანაგუნდელისგან უზუსტესი გადაცემა მიიღო - ერთი შეხებით ბურთი დასარტყმელად გაისწორა და გამარჯვების გოლი გაიტანა. ამ გოლით 33 წლის გერმანელმა ფორვარდმა საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი „ლაციოს" ისტორიაში და შეუძლია ვალმოხდილადაც კი ჩათვალოს თავი. დიახ, მირომ მორიგი და ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა იტალიურ კარიერაში, მისი შედეგიანი დარტყმა VII ტურის ბოლო, ყველაზე ემოციური და შთამბეჭდავი აკორდი გახლდათ. ამ გოლით, კლოზემ ის უგოლო ფრეებიც კი დაჩრდილა, რომლებიც გასულ ტურში მრავლად დაფიქსირდა. ნამატჩევს, კლოზე ბედნიერი გახლდათ და შემდეგი განაცხადა:

*„ამდენი ხანია ფეხბურთს ვთამაშობ და ასეთი ემოციური მომენტი არც კი მახსენდება. საოცარია, როდესაც ხედავ, რომ ამდენი გულშემატკივარი გააბედნიერე. ეს იყო ნამდვილი დღესასწაული, რომელიც არასოდეს დამავიწყდება. მადლობა მთავარ მწვრთნელს, ბოლომდე მენდო, არ შემცვალა და საბედნიეროდ, ყველაფერი ძალიან კარგად, ფანტასტიკურად დამთავრდა".*

### ტურის ფიასკო

4 მარცხი 6 თამაშში მართლაც მეტისმეტია, მით უმეტეს, როდესაც საქმე ევროპული ფეხბურთის აღიარებულ გრანდს, „ინტერს" ეხება. **კლაუდიო რანიერიმ** თავიდან თითქოს გამოაცოცხლა გუნდი და მიჯრით ორი შეხვედრაც მოიგო, მაგრამ შემდეგ აირია ყველაფერი და „ინტერმა" ძველი, გასპერინის დროინდელი სახე დაიბრუნა.

გასულ ტურში, მილანელები სიცილიაში შერცხვნენ, სადაც ადგილობრივ „კატანიასთან" წააგეს და თანაც ისე, რომ უპირატესობას სწორედ მასპინძელთა გუნდი ფლობდა. დიახ, „კატანიამ" თამაშით დაჯაბნა მეტოქე და სრულიად დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა, მილანელებს კი ისღა დარჩენოდათ, მსაჯობაზე გაემახვილებინათ ყურადღება - მათ კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი ერთობ საეჭვო იყო, რაც ბევრმა ხელზე დაიხვია. თუმცა, ყველაზე კარგი პასუხი მათ ინტერელმავე **ხავიერ ძანეტიმ** გასცა, რის შესახებაც „კვირის ფრაზიდან" შეიტყობთ...

### ტურის მოულოდნელობა

ტურის მოულოდნელობა „სტადიო სან პაოლოზე" დაფიქსირდა, სადაც „ნაპოლიმ" „პარმას" უმასპინძლა და არათუ სამი, ერთი ქულაც კი ვერ მოიპოვა. პარმეზანელებმა მეორე ნომრად ითამაშეს - კონტრიერიშებით შეეცადნენ ფონს გასვლას და გამოუვიდათ კიდეც. შედეგი მართლაც რომ მოულოდნელია და ეს მიუხედავად ამისა, რომ შუა კვირაში ნეაპოლელებს ჩემპიონთა ლიგის პაექრობა უწევთ „ბაიერნთან" - **ვალტერ მაძარიმ** ძირითადი შემადგენლობა დაუპირისპირა „პარმას", რითაც დაგვანახვა, რომ ძალების დაზოგვას არ აპირებდა. ასეა თუ ისე, გამარჯვება სტუმრებს დარჩათ, მაძარის კი ჟურნალისტებთან თავის მართლებამ მოუწია.

### ტურის ფრაზა

**ხავიერ ძანეტი (ინტერის კაპიტანი):** *„არ შეიძლება წარუმატებლობა მსაჯს დააბრალო, როდესაც ეს მეოთხე მარცხია ექვს შეხვედრაში"*

### სერიები

მოგება: **ლაციო, პარმა - 2 თამაში**
წაგება: **ინტერი - 2**
წაუგებლად: **უდინეზე, იუვენტუსი - 6**
მოუგებლად: **ჩეზენა - 6**

### ციფრები და ფაქტები

- სერია A-ს ისტორიაში მეხუთედ მოხდა, რომ ტურის ერთბაშად ხუთი შეხვედრა ნულოვანი ფრით დასრულდა. ბოლოს, ასეთი შედეგი 1989 წელს დაფიქსირდა;



მიროსლავ კლოზე

■ ■ ■

- „ლაციომ" რომაულ დერბიში 5-მატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტა, ედუარდო რეიასთვის კი ეს პირველი გამარჯვება იყო „რომაზე";

■ ■ ■

- სიმონ კიაერი მეათე ფეხბურთელია ბოლო შვიდ რომაულ დერბიში, რომელიც მოედნიდან გააძევეს;

■ ■ ■

- მიროსლავ კლოზე პირველი გერმანელი ლეგიონერია, რომელმაც რომაულ დერბიში გოლი გაიტანა 1992 წლის შემდეგ, როდესაც თავი **თომას ჰესლერმა** გამოიჩინა;

■ ■ ■

- „რომას" თავდამსხმელ **პაბლო ოსვალდოს** მიჯრით მეოთხე თამაშია გოლი გააქვს;

■ ■ ■

- „კატანიას" საკუთარ მოედანზე აპრილის შუა რიცხვების შემდეგ არ წაუგია;

■ ■ ■

- 4 ქულა 6 თამაშში, ყველაზე ცუდი სტარტი „ინტერის" ისტორიაში;

■ ■ ■

- პირველ 6 თამაშში „ინტერმა" 13 გოლი გაუშვა, ასეთი ცუდი მაჩვენებელი გუნდს ბოლოს 1930/1931 წლების სეზონში ჰქონდა, როდესაც „ნერაძურიმ" 17 ბურთი მიიღო საკუთარ კარში;

■ ■ ■

- „ინტერის" კარში ოთხი თერთმეტმეტრიანი შესრულდა, რაც „საუკეთესო" მაჩვენებელია მთელ სერია A-ში;

■ ■ ■

- „მილანს" საკუთარ მოედანზე 2010 წლის 18 დეკემბრის შემდეგ არ წაუგია;

■ ■ ■

- „პალერმოს" გასვლით 3 პაექრობაში არც ერთი გოლი არ აქვს გატანილი, ასეთი რამ ბოლოს 1972/1973 წლების სეზონში მოხდა;

■ ■ ■

- „პარმამ" 5-მატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტა „ნაპოლისთან";

■ ■ ■

- „ჩეზენას" ჯერ კიდევ არ მოუგია არც ერთი შეხვედრა მიმდინარე სეზონში, 346 წუთია გოლი არ გაუტანია და შესაბამისად, ყველაზე ცუდი თავდამსხმა ჰყავს ჩემპიონატში;

■ ■ ■

- ადრიან მუტუმ პირველი წითელი ბარათი მიიღო იტალიურ კარიერაში;

■ ■ ■

- „უდინეზეს" დაცვა საუკეთესოა ჩემპიონატში, ფრიულელებს მხოლოდ 1 გოლი აქვთ გაშვებული;

■ ■ ■

- „უდინეზეს" ნახევარმცველმა ჯამპიერო პინციმ მე-12 წითელი ბარათი მიიღო კარიერაში, ასეთი მაჩვენებელი სერია A-ში მოასპარეზე სხვა არც ერთ ფეხბურთელს არ აქვს;

■ ■ ■

- „იუვენტუსი" „კიევოს" დამარცხებას უკვე მეოთხე მატჩია უშედეგოდ ლამობს;

■ ■ ■

- „ლეჩემ" პირველი შეხვედრა დაასრულა ფრედ მიმდინარე სეზონში;

■ ■ ■

- „ბოლონიამ" პირველი შეხვედრა მოიგო ჩემპიონატში, ერთზე მეტი გოლი კი „როსობლუმ" 15-ტურიანი პაუზის შემდეგ გაიტანა;

### გლობალური სტატისტიკა

**საუკეთესო დასწრება**

*VI ტური, ინტერი-ნაპოლი, 64 824 გულშემატკივარი*

**ყველაზე დაბალი დასწრება**

*II ტური, კიევო-ნოვარა, 7 000 გულშემატკივარი*

**ყველაზე დიდი საშინაო გამარჯვება**

*იუვენტუსი-პარმა 4:1 (II ტური), ფიორენტინა-პარმა 3:0 (IV), ჯენოა-კატანია 3:0 (IV), სიენა-ლეჩე 3:0 (V), მილანი-პალერმო 3:0 (VII).*

**ყველაზე დიდი საგარეო გამარჯვება**

*ინტერი-ნაპოლი 0:3 (VI ტური).*

**ყველაზე უხვგოლიანი თამაში**

*პალერმო-ინტერი 4:3 (II ტური).*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 6 | 3 | 3 | 0 | 9-3 | 12 |
| 2. უდინეზე | 6 | 3 | 3 | 0 | 7-1 | 12 |
| 3. კალიარი | 6 | 3 | 2 | 1 | 8-5 | 11 |
| 4. ლაციო | 6 | 3 | 2 | 1 | 9-7 | 11 |
| 5. ნაპოლი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-5 | 10 |
| 6. პალერმო | 6 | 3 | 1 | 2 | 9-9 | 10 |
| 7. კიევო | 6 | 2 | 3 | 1 | 6-5 | 9 |
| 8. კატანია | 6 | 2 | 3 | 1 | 7-8 | 9 |
| 9. პარმა | 6 | 3 | 0 | 3 | 8-11 | 9 |
| 10. რომა | 6 | 2 | 2 | 2 | 7-6 | 8 |
| 11. ფიორენტინა | 6 | 2 | 2 | 2 | 6-4 | 8 |
| 12. ჯენოა | 6 | 2 | 2 | 2 | 9-8 | 8 |
| 13. მილანი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-8 | 8 |
| 14. სიენა | 6 | 1 | 3 | 2 | 4-4 | 6 |
| 15. ატალანტა | 6 | 3 | 2 | 1 | 8-7 | 5 |
| 16. ნოვარა | 6 | 1 | 2 | 3 | 10-12 | 5 |
| 17. ინტერი | 6 | 1 | 1 | 4 | 8-13 | 4 |
| 18. ბოლონია | 6 | 1 | 1 | 4 | 4-10 | 4 |
| 19. ლეჩე | 6 | 1 | 1 | 4 | 3-9 | 4 |
| 20. ჩეზენა | 6 | 0 | 2 | 4 | 2-7 | 2 |

შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა

**მომდევნო ტური**

22 ოქტომბერი: ფიორენტინა-კატანია, იუვენტუსი-ჯენოა.

23 ოქტომბერი: ლეჩე-მილანი, კალიარი-ნაპოლი, ინტერი-კიევო, პარმა-ატალანტა, რომა-პალერმო, სიენა-ჩეზენა, უდინეზე-ნოვარა, ბოლონია-ლაციო.

**ბომბარდირები**

**5** - პალასიო (ჯენოა), ჯოვინკო (პარმა); **4** – კლოზე (ლაციო), ოსვალდო (რომა), დენისი (ატალანტა), დი ნატალე (უდინეზე); **3** - მიკოლი (პალერმო), მილიტო (ინტერი), რიგონი (ნოვარა), ჩერჩი (ფიორენტინა), კავანი (ნაპოლი).

**ასისტენტები**

**3** - ფაბრიციო მიკოლი (პალერმო), ანდრეა პირლო (იუვენტუსი), როდრიგო პალასიო (ჯენოა).

**ლაშა წიკლაური**






ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● სკანდალი

# რასიზმი ენფილდზე



შაბათს, „ენფილდ როუდზე" „ლივერპულმა" „მანჩესტერ იუნაიტედს" უმასპინძლა. შეხვედრა 1:1 დამთავრდა, მაგრამ, ამჯერად უშუალოდ ფეხბურთზე არ გვაქვს ლაპარაკი. ვინც თამაშის ტელეტრანსლაციას უყურა, მიაქცევდა ყურადღებას, რომ მასპინძელთა ურუგვაელი თავდამსხმელი, 24 წლის **ლუის სუარესი** და სტუმრების ფრანგი მცველი, 30 წლის **პატრის ევრა** სულ ჩხუბის პირას იყვნენ. მატჩის შემდეგ ევრამ განმარტა, რომ ამის მიზეზი რასიზმი გახლდათ - შეხვედრის მსვლელობისას სუარესმა ათჯერ მაინც დამიძახა „ნიგერიო". ბრალდება სუარესმა „ტვიტერით" გასცა პასუხი:

*„ძალიან მეწყინა, რასიზმში რომ დამდეს ბრალი. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ყველა რასისა და ეროვნების ადამიანს პატივს ვცემ. ჩვენ ყველანი ერთნი ვართ. მე მოედანზე ყოველ შეხვედრაში ბავშვური გატაცებით, ფეხბურთის სათამაშოდ გავდივარ და არა ვინმესთან საჩხუბრად".*

ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია საქმეს ამ კვირაში გაარჩევს. თუ დადგინდება, რომ ურუგვაელი დამნაშავეა, შესაძლოა მკაცრად დასაჯონ, თუმცა, ჯერჯერობით რამდენიმე საკითხი გამოიკვეთა:

სუარესი, როგორც ნახეთ, ბრალდებას უარყოფს;

ტელეკომპანია „სკაი სპორტმა" მატჩის ვიდეოჩანაწერი საგანგებოდ შეამოწმა და ვერც ის ადასტურებს, რომ სუარესმა რაიმე რასისტული იკადრა;

მსაჯი **ანდრე მარინერი** აცხადებს, რომ სავარაუდო ათი შეურაცხყოფიდან ერთისთვისაც კი არ მოუკრავს ყური;

„მანჩესტერ იუნაიტედი" თავის ფეხბურთელს, რასაკვირველია, მხარს უჭერს, მაგრამ ამ საქმეში ოფიციალურად ვერ ეხმარება. რატომ? იმიტომ, რომ თამაშის მსვლელობისას ევრას ხმამაღლა არაფერი დაუჩივლია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფრანგს გარეშე მოწმეების მოძებნა მოუწევს. „ლივერპულის" პრესმდივანმა კი განაცხადა: *„ლუისი დაჟინებით ამბობს, რომ მსგავსი არაფერი უთქვამს და კლუბიც გვერდში უდგას".*

ზემოთ ვთქვით, რომ საქმეს ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია გაარჩევს. კერძოდ, მისი კანონების თანახმად, უპირველეს ყოვლისა უნდა დაიკითხოს ევრა. თუ ფრანგი ბრალდებას გაიმეორებს და თანამიმდევრული იქნება, მაშინ კითხვებზე პასუხების გაცემა სუარესსაც მოუხდება. ასეთი საქმეებისთვის კანონი რაიმე ვადას არ ითვალისწინებს: მომხდარს ნათელი მოეფინება მაშინ, როდესაც ეს ბუნებრივად მოხდება. ასოციაცია ვალდებული არ არის იჩქაროს.

სიტყვასიტყვით კი პატრის ევრამ ფრანგულ ტელეკომპანია „კანალ პლუსს" ასე უთხრა:

*„ძალიან გულდასაწყვეტი რამ მოხდა. 2011 წელს ხალხი ასეთ სიტყვებს აღარ უნდა ამბობდეს. მან თავადაც ძალიან კარგად იცის, რა თქვა და მსაჯსაც ყველაფერი შესანიშნავად მოეხსენება. სიმართლე თავს არ დამალავს. ახლა გამეორებას არ შევუდგები, მაგრამ ის რასისტულ სიტყვას იმეორებდა. შეხვედრის განმავლობაში ათჯერ მაინც თქვა. ჩემს წყობიდან გამოყვანას ცდილობდა. მართალი გითხრათ, ამ ამბიდან დიდი აჟიოტაჟის ატეხას არ ვაპირებ, მაგრამ რაც იყო, მეტისმეტად გულსატკენი გახლდათ".*

● არსენალი

# არ ნახვიდე, რობინ!



რობინ ვან პერსი

„არსენალისა" და „სანდერლენდის" შეხვედრაში 28 წლის ჰოლანდიელი თავდამსხმელის, **რობინ ვან პერსის** თამაშითა და ორი გოლით აღფრთოვანებულმა მწვრთნელმა, **არსენ ვენგერმა** ვარსკვლავს კლუბთან ახალი ხელშეკრულების გაფორმება სთხოვა. საქმე ის გახლავთ, რომ ვან პერსი „მეთოფეთა" მიმართ ერთგულებას სიტყვიერად სულ ადასტურებს, მაგრამ მწვრთნელს მიაჩნია, რომ დროა ეს სიტყვები ხელშეკრულებაზე ბეჭდის დასმით გამყარდეს.

„სანდერლენდს" ჰოლანდიელმა პირველი გოლი 29-ე წამზე გაუტანა — მიმდინარე სეზონში ეს, ჯერჯერობით, ყველაზე „სწრაფი გოლია" — მეორე კი დაახლოებით 20 მეტრიდან, საჯარიმო დარტყმით შეაგდო. ვენგერმა თქვა:

*„ის „არსენალთან" კონტრაქტს თუ გააგრძელებს, იდეალური იქნება. რობინმა კარგად იცის, რომ ჩვენ ამისათვის მზად ვართ, მაგრამ თუ არ მოისურვებს, იძულებული ვიქნებით მის გადაწყვეტილებას პატივი ვცეთ. დღეს, ყველაფერზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ის შესანიშნავად თამაშობს. ჩვენ, ყველანი, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ფეხბურთელების სანახავად დავდივართ ფეხბურთზე, რობინი კი სწორედ ასეთია".*

მოგეხსენებათ, ვან პერსის კონტრაქტზე აქტიურად იმიტომ ალაპარაკდნენ, რომ თავდამსხმელს ძველი ხელშეკრულების ვადა ერთი წლის შემდეგ უმთავრდება და ფანები შიშობენ, რომ მომავალ ზაფხულს ის „ემირეიტ სთედიუმიდან" წავა. თუ ეს მოხდა, გუნდი, რომელმაც გასულ ზაფხულს **სესკ ფაბრეგასი** და **სამირ ნასრი** დაკარგა, შესაძლოა კიდევ უფრო რთულ დღეში ჩავარდეს.

თავად ვან პერსიმ თქვა: *„მე „არსენალის" ერთგული ვარ და მორჩა. მესმის, რომ ფანები ღელავენ, მაგრამ ვთხოვ, ჩემს ერთგულებაში ეჭვს ნუ შეიტანენ. უკვე მერვე წელიწადია „მეთოფე" ვარ და თუკი საქმე კლუბის ერთგული ფეხბურთელების ჩამოთვლაზე მიდგება, ჩემით უნდა დაიწყოთ".*

● მანჩესტერ სიტი

# მანჩინი ცხრილს ზემოდანაც იცნობს

„მანჩესტერ სიტის" თავკაცმა, **რობერტო მანჩინიმ** ძალიან კარგად იცის, რასაც ნიშნავს ცხრილის სათავეში მოქცევა და ისიც კარგად მოეხსენება, იქ დარჩენა როგორ უნდა. ახლა მას იმედი აქვს, რომ ისტლენდელებთან ერთად გააკეთებს იმავეს, რაც ადრე, იტალიაში, „ინტერთან" ერთად გაუკეთებია. მოგეხსენებათ, შაბათს, „ასტონ ვილას" შთამბეჭდავად, 4:1 დამარცხებამ „სიტი" პრემიერლიგის ცხრილის სათავეში გადაიყვანა. რვა ტურის შემდეგ „სიტი" თანაქალაქელ „იუნაიტედს" ორი ქულით უსწრებს, დანარჩენი კი მომდევნო კვირას, „ოლდ ტრეფორდზე", მათ უშუალო დაპირისპირებაში გაირკვევა. მანჩინიმ თქვა:

*„ჩემს გუნდში ყველამ უნდა გაიგოს, რომ თუ პირველ ადგილზე დარჩენა გვინდა, ერთ მარტივ წესს უნდა მივდიოთ: მეტოქეები უნდა დავამარცხოთ. თუ ასე არ მოვიქცევით, ყველაფერი შეიცვლება. „ინტერთან" ერთად სამჯერ გავხდი იტალიის ჩემპიონი და აქედან ორჯერ პირველ ადგილზე მეექვსე თუ მეშვიდე ტურის შემდეგ გადავედით, მერე კი ეს პოზიცია შევინარჩუნეთ. რასაკვირველია, ყველაფერს სჯობს, როდესაც მთელი სეზონის განმავლობაში პირველ ადგილზე მიდიხარ და თან მდევარს შვიდი-რვა ქულით უსწრებ, მაგრამ ამაზე ფიქრი არ შეიძლება. მთავარია ყოველი ტურის შემდეგ ინარჩუნებდე ლიდერობას. ფანებს უხარიათ, „მანჩესტერ სიტი" პირველ ადგილზე რომ გადავიდა და სრული უფლება აქვთ, გუნდისგან სწორედ ამას ითხოვდნენ. ჩვენც ამისათვის ვმუშაობთ და ყველა ღონეს ვიხმართ, ლიდერობა რაც შეიძლება დიდხანს რომ შევინარჩუნოთ".*



რობერტო მანჩინი

ფაქტია: „სიტის" ასე კარგად სეზონი არასდროს დაუწყია. ისტლენდელებმა რვა ტურიდან შვიდში გაიმარჯვეს, ერთში კი ფრედ ითამაშეს. მიმომხილველები წერენ, რომ შაბათის გამარჯვება ყველაფერთან ერთად კიდევ ერთი მესიჯი იყო 27 წლის არგენტინელი თავდამსხმელისთვის, **კარლოს ტევესისთვის**, რომ გუნდი მის გარეშეც შესანიშნავად გრძნობს თავს. თუმცა, მანჩინიმ ტევესის თემაზე ლაპარაკს თავი აარიდა. მან თქვა, რომ „სიტიმ" ჩემპიონატი ღონივრად დაიწყო და ეს ყველაფერზე მნიშვნელოვანია.

● ლივერპული

# ჩარლი ადამი: მე არ ვყვინთავ

ვინცბოლო ტურში, „ენფილდ როუდზე" გამართულ „ლივერპულისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" 1:1 დამთავრებულ შეხვედრაში, მერსისაიდელთა გოლი ნახა, ეცოდინება, რომ ჯარიმა, რომლიდანაც **სტივენ ჯერარდმა** გაიტანა, **ჩარლი ადამმა** მოიპოვა. მას „იუნაიტედის" ვეტერანმა მცველმა, **რიო ფერდინანდმა** გამოსდო ფეხი, თუმცა ეპიზოდს კამათიც მოჰყვა. ფერდინანდი და მანჩესტერული მხარე ამტკიცებენ, რომ 25 წლის შოტლანდიელმა მომენტი გააფორმა ანუ - ინგლისურ საფეხბურთო ჟარგონზე რომ ვთქვათ, „ჩაყვინთა". ადამს ასეთი ბრალდებები არ ესიამოვნა და განაცხადა:

*„ყველა თავისი სიმართლის დამტკიცებას ცდილობს, მე კი გეტყვით, რომ ფერდინანდმა წონასწორობა დამარღვევინა. თავად განსაჯეთ, რომ არ წავქცეულიყავი ხელსაყრელ პოზიციაში გავდიოდი. რად მჭირდებოდა ძალად წაქცევა? რიოს რომ ჩავურბინე, კონტაქტი ვიგრძენი. აი, რა მოხდა და რამ წამაქცია სინამდვილეში. მე არ ვარ იმ ტიპის ფეხბურთელი, იოლად რომ ეცემა. ეს იყო ნამდვილი ჯარიმა, რომელიც მსაჯმა დაინახა და დანიშნა. ამას მოჰყვა მაღალი დონის გოლი. სტივი მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად იმიტომ ითვლება, რომ ასეთი გოლების გატანა შეუძლია".*

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „მანჩესტერ იუნაიტედში" ამტკიცებენ, რომ ადამსმა ეპიზოდი გააფორმა. ინგლისის ჩემპიონთა საკლუბო ტელევიზიამ ამ შეხვედრის მონაწილე, 19 წლის **ფილ ჯონსთან** მატჩისშემდგომი ინტერვიუც აილო, სადაც ნახევარმცველმა ადამსი გააკრიტიკა, თუმცა, როგორც გაირკვა, არხის შეფებმა ჯონსის ნალაპარაკები „გაკრიჭეს". როგორც ჩანს, გამეორებებმა აჩვენა, რომ თუნდაც მსუბუქი, მაგრამ კონტაქტი ფერდინანდსა და ადამს შორის, მაინც იყო. სხვათა შორის, ეს არც თავად ფერდინანდმა უარყო; უბრალოდ დასძინა: ისეთი არაფერი მომხდარა, ადამი მოწყვეტილივით რომ დავარდნილიყოო.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



● ტოტენჰემი

# კაპელო დეფოს უნდა დაეყრდნოს



„ტოტენჰემ ჰოთსპურის" მწვრთნელმა, **ჰარი რედნაპმა** თავისი ფეხბურთელი, **ჯერმაინ დეფო** აქო და ადიდა. რედნაპის აზრით, დეფომ ინგლისის ნაკრების თავკაც **ფაბიო კაპელოს** გვარიანი საფიქრალი და ალტერნატივა გაუჩინა. კვირას, 29 წლის თავდამსხმელი, ნიუკასლის „სენტ ჯეიმს პარკზე" მოედანზე მეორე ტაიმში შევიდა და გოლიც შეაგდო. ახლა, როდესაც უეფამ ინგლისელთა მთავარ ვარსკვლავ **უეინ რუნის** სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა და ევრო 2012-ის ჯგუფურ ეტაპს მთლიანად ატოვებინებს, დეფოს თამაში კაპელოსთვის შესაძლოა გამოსავალიც გახდეს.

*„ჯერმაინმა დიდებულად დაარტყა. სწორედ ეს გახლავთ ის, რაც მას ასე კარგად ეხერხება. ვფიქრობ, ხსენებული გოლი და ზოგადად ჩინებული თამაში მას ინგლისის ნაკრების ძირითადში მოხვედრის დიდებულ შანსს აძლევს. თუმცა, ნაკრები გვერდით იყოს და სანამ მას „ტოტენჰემისთვის" გოლები გააქვს, მე ძალიან კმაყოფილი ვიქნები. ხალხი იმ დარტყმაზე და საგოლე ალლოზე ლაპარაკობს, მე კი ვფიქრობ, რომ ვინ იცის, იქნებ მისი მოედანზე თავიდანვე გამოყვანა უფრო სწორი ყოფილიყო".*

მოგეხსენებათ, „ნიუკასლ იუნაიტედისა" და „ტოტენჰემის" შეხვედრა 2:2 დასრულდა. „სფურზი" ორჯერ იგებდა, მაგრამ უპირატესობა ერთხელაც ვერ შეინარჩუნა. თამაშის მინურულს ანგარიში „კაჭკაჭმა" **შოლა ამეობიმ** გაათანაბრა, მაგრამ „სენტ ჯეიმს პარკზე" ფრე „დეზებისთვის" მაინც არ გახლდათ ცუდი შედეგი. რედნაპის გუნდი ცხრილში მეექვსე ადგილს ინარჩუნებს და „ლივერპულს" მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება. „ტოტენჰემის" თავკაცმა დასძინა:

*„როდესაც 2:1-ს იგებ, ბუნებრივია, იმედი გაქვს, რომ სამ ქულას მოიპოვებ. სამწუხაროდ, ჩვენ ეს ვერ მოვახერხეთ. ნიუკასლიდან ქულების წაღება ყოველთვის ძალიან ძნელია. ეს გუნდი მიმდინარე სეზონში დაუმარცხებელია, რაც თავისთავად ბევრზე მეტყველებს. ვფიქრობ, ჩვენ მაინც შეგვეძლო კიდევ ერთი გოლის გატანა და გამარჯვება..."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჰოლანდიური ამბები

# აზრთა უცნაური ჭიდილი



4:0-ის მიუხედავად რონალდ კუმანი უკმაყოფილო დარჩა

**"აიაქსმა" მოიგო – ფრანკ დე ბური კმაყოფილი დარჩა. "ფეიენოორდმა" მეტოქე გაანადგურა – რონალდ კუმანი აღშფოთდა, ეს რა საშინელება იყოო. ჰოლანდიაში გამართული აზრთა უცნაური ჭიდილისა და ერედივიზიეს სხვა სიახლეების შესახებ მკითხველს ქვემოთ მოვუთხრობთ.**

შაბათს "ალკმაართან" შინ ნათამაშები ფრის შემდეგ ამსტერდამელთა მთავარი მწვრთნელი **ფრანკ დე ბური** გუნდის გარჯით მთლად უკმაყოფილო არ დარჩენილა. ზოგიერთის თამაში კი პირიქით, ძალიანაც მოიწონა. მათ შორის იყო ჰოლანდიის ჩემპიონთა ახალწვეული **თეო იანსენი**. აღნიშნულის შესახებ დე ბურმა პრესას თამაშის დამთავრებისთანავე განუცხადა. ფეხბურთელი აქამდე საყრდენი ნახევარმცველის ადგილას თამაშობდა, რაც მისთვის ცოტა უცხო იყო. მას შემდეგ კი, რაც მას უფრო მეტად შეტევებში თამაში დაევალა, იანსენმა გაილაღა და დე ბური სწორედ ამით დარჩა კმაყოფილი. *"რა თქმა უნდა, აქამდეც ვიცოდით, რომ მას შეეძლო შემტევი ნახევარმცველის პოზიციაზე თამაში. დავტოვებ თუ არა მას ამ ადგილას მომავალ შეხვედრებშიც? ის რომ ჩემი ნებით გავაფუჭო, რაც ძალიან კარგად მუშაობს, განა ნორმალური იქნება?"* – განაცხადა ფრანკ დე ბურმა. ჟურნალისტებმა კომენტარისთვის თავად ფეხბურთელს მიმართეს. იანსენი მოკრძალებულად შეხვდა მწვრთნელის მხრიდან წამოსულ ქება-დიდებას: *"თავს საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზეც მშვენივრად ვგრძნობდი, თუმცა აშკარაა, რომ ასე თავდაჯერებული არ ვყოფილვარ. კარგი იქნება, თუკი ორივე ადგილზე ერთნაირად შევძლებ თამაშს"*.

კარგი ამბებია "აიაქსის" თავს იმ მხრივაც, რომ "ალკმაართან" მსუბუქად ტრავმირებული **კენეტ ვერმეერი** ჩემპიონთა ლიგაში ზაგრების "დინამოსთან" თამაშს შეძლებს. „აიაქსის" გულშემატკივარმა ალბათ ნახა, რომ მეტოქესთან შეჯახების შემდეგ მეკარეს სუნთქვა შეეკრა, თავი ცუდად იგრძნო და იძულებული გახდა მოედანი დაეტოვებინა. სამედიცინო ჩარევამ შედეგი მალე გამოიღო. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, რამე ტრავმაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ შეჯახების შედეგად მიღებული მცირე შოკი. *"მე არ დამინახავს მეტოქე, რადგან მთლიანად თამაშზე ვიყავი კონცენტრირებული. ისიც კი ვერ გავიგე, რა მოხდა. მიწაზე რომ დავეცი, აღმოჩნდა, რომ ვერ ვსუნთქავდი. ვცადე სუნთქვა აღმედგინა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ცოტა თავბრუ მეხვეოდა და გულის რევის შეგრძნება მქონდა. გასახდელში თავი უკეთ მალევე ვიგრძენი. წნევაც ნორმაში ჩადგა და აშკარა იყო, რომ საშიში არაფერი იყო. შემიძლია ვთქვა, ეს ინციდენტი "დინამოსთან" მატჩისთვის სამზადისში ხელს ვერ შემიშლის,"* თქვა ვერმეერმა.

აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა "ფეიენოორდის" ბანაკში. მიუხედავად "ვენლოსთან" 4:0-ისა, კუმანი შეგირდების თამაშით უკმაყოფილო დარჩა. *"გვაკლდა კონცენტრაცია, პოზიციურად სუსტად ვთამაშობდით, თამაშის ტემპსაც ცუდად ვაკონტროლებდით და უამრავ შეცდომას ვუშვებდით. შეიძლება ცოტა ალოგიკურად ჟღერს, მაგრამ ანგარიშის მიუხედავად უკმაყოფილო ვარ,"* – განუცხადა კუმანმა ჰოლანდიურ გამოცემა volkskrant.nl-ს. აღნიშნული შეხვედრის მიმოხილვისას განსხვავებული შეფასებები ისმის უშუალოდ ჟურნალისტების მხრიდან. ჟურნალისტები წერენ, რომ "ფეიეს" წინა შეხვედრებში დაშვებული შეცდომები აღარ გაუმეორებია, ბურთსაც კარგად აკონტროლებდა და საბოლოო ანგარიში ლოგიკურად ასახავს იმ მოვლენებს, რაც "დე კუიპის" მინდორზე ხდებოდა. პრესა წერს, რომ განსაკუთრებით მძლავრად ჩაატარა გუნდმა მეორე ტაიმის სადებიუტო წუთები, როცა "ვენლო" მთლიანად მიჯაჭვული იყო საკუთარ კარს. ერთი კი აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ფავორიტები ამ დროს მინდორზე უკვე ერთით მეტნი იყვნენ.

● ლიონი



იოან გურკუფი ან მაქსიმ გონალონი

# გურკუფის გეგმები

"ლიონის" ნახევარმცველმა **იოან გურკუფმა** უარყო პრესით გავრცელებული ხმები თითქოს სეზონის ბოლოს "ლიონიდან" წასვლას აპირებდეს. *"არასოდეს მდომებია აქაურობის მიტოვება, რადგან აქ წარუმატებელი პირველი სეზონი მქონდა. "ლიონის" გულშემატკივრები კი ისე შემხვდნენ, როგორც გმირს. როგორც ჩანს, ამისთვის მზად არ აღმოვჩნდი. ადაპტაცია გამიძნელდა და ცოტა ჩაკეტილი ადამიანი გავხდი. მას შემდეგ კი, რაც ტრავმას მოვირჩენ, მზად ვიქნები, ყველაფერი საუკეთესო ვაჩვენო, რაც შემიძლია. ტრავმამდე ფეხბურთს ყურადღებით ვაკვირდებოდი. სწორედ ამან გამიადვილა წარსულში მომხდარი გარკვეული მოვლენების გადაფასება,"* – უთხრა იოანმა "ლე მონდს". როდის დაუბრუნდება გურკუფი მოედანს, ჯერჯერობით, უცნობია.

მეორე ფრანგული გამოცემა "ეკიპი" "ინტერის" მხრიდან "ლიონის" საყრდენი ნახევარმცველით **მაქსიმ გონალონით** დაინტერესებაზე წერს. 22 წლის ფეხბურთელი გუნდის ძირითადი შემადგენლობის წევრად გუნდიდან **ჟერემი ტულალანის** წასვლის შემდეგ იქცა. ის იმდენად კარგად თამაშობს, რომ "ეკიპი" ვარაუდობს, მალე მისი სამსახურით **ლორან ბლანიც** დაინტერესდებაო. გონალონის კონტრაქტს ვადა 2014 წელს გასდის, თუმცა მაქსიმი სწორედ იმ ფეხბურთელთა სიაშია, რომელთაც პრეზიდენტმა **ჟან-მიშელ ოლამ** ახალი ხელშეკრულებები შესთავაზა.

● ამბები

## ექსმეთოფე ლორიანში დარჩა

"ლორიანის" 28 წლის თავდამსხმელმა **ჟერემი ალიადიემ** კლუბთან ხელშეკრულება 2015 წლამდე გააგრძელა. მისით რამდენიმე ფრანგული კლუბი იყო დაინტერესებული, მათ შორის სახელდებოდნენ "ტულუზი" და "ლილი". ამით კლუბის დირექტორატმა მსურველებს მკაფიოდ განუცხადა, რომ ჟერემი არ იყიდება. შეგახსენებთ, რომ 2001/07 წლებში ის "არსენალის" რიგებში ირიცხებოდა. ალიადიე იმ იშვიათ ფეხბურთელთა რიცხვში აღმოჩნდა, ვიზეც **არსენ ვენგერი** დიდ იმედებს ამყარებდა, მაგრამ იმედი გაუცრუა. რას ვიზამთ? ხანდახან ყველაზე მაგარი მეთოფეც კი აცდენს მიზანს.

## გუტი და ცირკი

"ბეშიქთაშის" ესპანელი ვარსკვლავი **გუტი**, როგორც ჩანს, საკუთარ კლუბზე მეტისმეტად „აღრენილია". "რეალის" ყოფილ ფეხბურთელს სტამბოლურ კლუბში სათამაშო პრაქტიკა არ აქვს, რის მიზეზსაც ვერაფრით ხვდება. *"ბეშიქთაში" უფრო მეტად ჰგავს ცირკს, ვიდრე კლუბს. თუკი ყველაფერი ასე გაგრძელდება, სეზონის ბოლოს კარიერის დასრულება მომიწევს. მით უფრო, რომ ძალიან მომენატრა ოჯახთან ერთად ყოფნა. უკვე ვხედავ, რომ სამომავლოდ ფეხბურთში ჩემი ადგილი აღარ არის,"* – განუცხადა ფეხბურთელმა "ტრიბალფუტბოლს".

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

● ლიგა 1. X ტურის შეჯამება

# ისევ მწვერვალზე

## ოღონდ თავბრუსხვევის შეგრძნების გარეშე

"აიაჩო" დაეცა. დიახ, კორსიკელთა ამაყი გუნდი ისტორიაში შინ პირველად დანებდა დედაქალაქურ გრანდს. ამაში ყველაზე დიდი წვლილი სტუმართა შეტევების ლიდერ **კევინ გამეიროს** მიუძღვის, ვინც ანგარიში უკვე მეორე წუთზე კარიდან დაახლოებით 2 მეტრში მდგომმა გახსნა. კუთხურის შემდეგ თავური პასი მას **სილვენ არმანმა** მიაწოდა. გოლმა მასპინძელთა სული ვერ გატეხა. სხვანაირად ვერც იქნებოდა, რადგან 9-ათასიან "სტად ფრანსუა კოტი" ლამის პირთამდე იყო შევსებული. პირველი ხიფათი **სალვატორე სირიგუს** კართან **მამადუ სახოს** უხეშობასა და **ფრედერიც სამარიტანოს** საჯარიმოს მოჰყვა. თუმცა იტალიელ მეკარეს გაუმართლა, რომ ამ უკანასკნელს მიზანმა უმტყუნა. 24-ე წუთზე ანგარიშში წონასწორობა აღდგა. პარიზელთა დაცვამ სამი მარტივი შეცდომა დაუშვა. ჯერ ერთმა მცველმა ვერ მოიგერია ბურთი სათანადოდ, მეორემ მოგერიების ნაცვლად მეტოქეს ჩააბარა. "აიაჩოს" შემტევმა ბურთი აკრობატულ ნახტომში კარში დაარტყა, დაცვამ ისევ ვერ შეძლო ბურთის ვერც დაბლოკვა, ვერც საჯარიმოდან გამოტანა და საბოლოოდ ის **კარლ მეჯანის** ჩაუვარდა ხელთ... არა ხელთ, არამედ ფეხთ - დანარჩენი ტექნიკის საკითხი იყო. სირიგუ აქ თავის გუნდს ვერაფრით უშველიდა. 50-ე წუთზე შეცდომითვე უპასუხა პსჟ-ს შეტევას "აიაჩოს" დაცვამ. **ჟალეს** პასი სისოკომ გამეიროს კარიდან ისევ 2-3 მეტრში მდგომს დაუგდო - 1:2. ორიოდე წუთში კი იმავე ჟალემ **კლემან შანტომი** მეკარესთან პირისპირ დატოვა, ვინც **გილერმე ოჩოას** იოლად გაუსწორდა და პირით ხაზთან მდგარმა გამეიროს უკან დაუგორა. თავდამსხმელმა ტრადიციას არ უღალატა – კარის ხაზთან ჩასაფრებულმა გაიტანა. შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელს მატჩის შემდგომ კომენტარებში სახეზე ღიმილი დასდევდა. აი, რა



კევინ გამეიროს გოლს ულოცავენ

უთხრა მან "კანალ პლუსის" ჟურნალისტს: *"სამივე გოლი ფილიპო ინძაგის სტილში გავიტანე – ძალიან ახლოდან. მოხარული ვარ, რომ კარიერაში მეორე, პსჟ-ში კი პირველი ჰეთთრიკი შევასრულე. იმის იმედიც მაქვს, რომ ეს არ იქნება უკანასკნელი. ზედიზედ ორი წელიწადი ვერაფრით ვახერხებდი ლიგა 1-ის საუკეთესო ბომბარდირის ტიტულის მოპოვებას. მინდა ვისურვო, რომ მესამე ცდაზე უკვე გამომივა. რაც შეეხება ზოგადად შეხვედრას, კარგად ვითამაშეთ. მით უფრო, რომ მეტოქე მატჩის ბოლომდე თავგამოდებით იბრძოდა. ცხრილში პირველი ადგილი შევინარჩუნეთ, მაგრამ ლიდერობით ტკბობა და მერე თავბრუსხვევა არ ღირს. ჯერ კიდევ ძალიან გრძელი სეზონი გვაქვს წინ"*.

"მარსელი", პრობლემები, მოუგებელი მატჩები, საკუთარი ძალების რწმენის დაკარგვა, კლუბის გაყიდვის საფრთხე – ეს ყველაფერი **დიდიე დეშამის** გუნდის ლამის ყოველდღიური ცხოვრებაა. პროვანსელებმა ლიგა 1-ში 9 ტურის შემდეგ მე-4 ადგილზე მოკალათებულ "ტულუზთან" ისევ ვერ ივარგეს და ქულები დაკარგეს. თუმცა ამჯერად ამ შედეგისთვის "ოლიმპიკის" გაკიცხვა თავში აზრად არავის მოსვლია. კმაყოფილი იყო შედეგით თავად დეშამიც. ერთადერთი, რაზეც შეიძლება ლეგენდარულ ფეხბურთელს გული დასწყვეტოდა, მისი გუნდის შემტევების უკბილო გარჯა იყო. ისინი მეტოქის კართან ხიფათს იშვითად ქმნიდნენ და როცა ქმნიდნენ, დამაჯერებლად თამაშობდა მასპინძელთა მეკარე **ალი აამადა**. 58-ე წუთზე ევლოდრომელები მინდორზე კაცით ნაკლებნი დარჩნენ. არბიტრმა **შარლ კაბორეს** უჩვენა წითელი ბარათი. ფეხბურთელების რაოდენობა მინდორზე კი გათანაბრდა, მაგრამ ზედ მატჩის საფინალო სასტვენის წინ, ასე რომ, "ტულუზს" ცოტა ფხა რომ გამოეჩინა, შეეძლო უპირატესობის გამოყენება. *"ჩვენც და მეტოქესაც რამდენჯერმე გვქონდა კარის აღების შანსი. სანახაობრივი თვალსაზრისით დიდი ვერაფერი მატჩი გამოდგა. უნდა ვთქვა, რომ საკმაოდ თავდაჯერებულები ვიყავით. ყველაზე მეტად დღეს ფანტაზია გვაკლდა შეტევაში. იმის გათვალისწინებით, რომ კარგა ხანს კაცნაკლულნი ვთამაშობდით, ფრე მისაღები შედეგია,"* – განაცხადა დეშამმა.

Made in GERMANY
REHAU
Unlimited Polymer Solutions
ენერგოდამზოგავი ფანჯრები
დაიცავს სითბოს. დაგიზოგავთ ფულს.


შეიძინეთ ფანჯრები „ენერგოკრედიტით" და დაიბრუნეთ ღირებულების 15% უკან
ა-3ე ლუქსი რეჰაუს ლიცენზირებული მწარმოებელი
კაკალიძის 2 245 02 05 www. fanjara.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანია. ბუნდესლიგა. IX ტურის გამოხმაურება

# ესეც შენ, მარკუს მერკ!

## გელზენკირხენმა საძულველ მსაჯზე შური 10 წლის შემდეგღა იძია

„ბაიერნმა" შთამბეჭდავი სერია არ შეწყვიტა - რეკორდმაისტერმა ექსმიუნხენელი **მარკუს ბაბელის** გუნდს ზედმეტად იოლად გადაურბინა. ამასობაში, „ბაიერნის" შესაძლო კონკურენტების სიაში დორტმუნდის „ბორუსია" დააწინაურა - მოქმედმა ჩემპიონმა მიუნხენური გრანდის ექსმდევარ „ვერდერს" მოუგო. მართალია, „დორტმუნდსა" და „ბაიერნს" შორის მიონხენგლადბახის „ბორუსიაა", რომელსაც დიდი სიამოვნებით მივიჩნევდით რეკორდმაისტერის რეალურ კონკურენტად, მაგრამ „გლადბახი" სათვალავში ჩასაგდები ალბათ მაინც არ არის. „გლადბახთან" ერთად მოწინავეებში დაბრუნების შანსი „ჰანოვერსაც" ჰქონდა და „წითლებმა" ეს რომ ვერ შეძლეს, მსაჯისა და კიოლნელი **ლუკას პოდოლსკის** დამსახურებაა, რომელიც გასულ უქმეებზე ბრწყინვალე გოლით გამოირჩა. შაბათს საღამოს გაგვახსენდა, რომ ერთ დროს „ბაიერნის" მთავარი კონკურენტი „შალკე" იყო: გელზენკირხენულმა პუბლიკამ პერსონა ნონ გრატად გამოცხადებულ **მარკუს მერკს** პირველიდან ბოლო წუთამდე აგინა, რაც „შალკეს" სიმპათიებს ნამდვილად არ მოუტანს.

მაშ ასე: გერმანიის ჩემპიონატის მე-9 ტურის გამოხმაურება.

### ტურის სკანდალი: მერკი გელზენკირხენში

ემოციები ფეხბურთის ერთ-ერთი ულამაზესი ნაწილია, რის გარეშეც სპორტის ნომერ პირველი სახეობა წარმოუდგენელია. „შალკეს" მთელი მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე ემოციური ფანები ჰყავს – ზედმეტად ემოციურიც კი, რაც შაბათს გამოჩნდა.

ცნობილი გერმანელი მსაჯი **მარკუს მერკი**, რომელსაც სამსაჯო კარიერა დამთავრებული აქვს და დღეს ტელეექსპერტია, გელზენკირხენში პირველად ჩავიდა მას მერე, რაც 2001 წელს სწორედ მისი გადაწყვეტილების გამო დაკარგა „შალკემ" გერმანიის ჩემპიონობა ბოლო ტურის ბოლო წუთებზე. მიუხედავად იმისა, რომ მას მერე ათი წელია გასული, „შალკეს" ქომაგებმა 49 წლის მერკი არ დაინდეს და პირველიდან ბოლო წუთამდე უკიდურესად უხამსი სიტყვებით ლანძღავდნენ. ალარაფერს ვამბობთ მისი მისამართით ნასროლ სხვადასხვა საგნებზე. შესვენებაზე მერკი მატჩს პირდაპირ ეთერში აანალიზებდა, როცა „აუფ შალკეს" ტრიბუნები განსაკუთრებით მწარე სიტყვებს სკანდირებდნენ.

პრინციპში, „შალკეს" ქომაგების გაგება შეიძლება: ნახევარ საუკუნეზე მეტია, გელზენკირხენულ კლუბს გერმანიის ჩემპიონობა არ უზეიმია და ამ ხნის მანძილზე „შალკე" „ვერცხლის სინთან" ყველაზე ახლოს სწორედ 2001 წელს იყო და მაშინაც მერკის გამო ვერ გახდა ჩემპიონი...

### როგორც დასაკლავად განწირული ლორები...

პარასკევის შემდეგ გერმანიაში დორტმუნდის „ბორუსიას" კრიზისზე ალარავინ საუბრობს, რადგან გერმანიის ჩემპიონმა ზედიზედ მესამე თამაში მოიგო და 9 ტურის შემდეგ ისევ „ბაიერნის" ნომერ პირველი კანდიდატია (თუ „გლადბახს" არ ჩავთვლით). დორტმუნდელებმა ბრემენში მედგრად იბრძოლეს და მიუხედავად იმისა, რომ თითქმის 45 წუთის მანძილზე კაცნაკლულები იყვნენ, „ვერდერის" იერიშებსაც გაუძლეს და „მუსიკოსებს" მეორე გოლიც გაუტანეს. **ნევენ სუბოტიჩმა** სწორად აღნიშნა, ამ გამარჯვებას წლების მერეც გავიხსენებთ, რადგან ათი კაცით ვიყავით და მაინც ისე ვიბრძოლეთ, როგორც დასაკლავად განწირული ლორები იბრძვიან ხოლმეო.

ეს გამარჯვება „ბორუსიასთვის" მნიშვნელოვანი იყო თვითრწმენის ასამაღლებლად: ხვალ **იურგენ კლოპის** გუნდს ჩემპიონთა ლიგაში ხომ გადამწყვეტი ბრძოლა ელის – ბერძნულ „ოლიმპიაკოსთან". სუბოტიჩი ამბობს, დარწმუნებული ვარ, რომ საბერძნეთიდან ხელცარიელები არ დავბრუნდებითო.




მარკუს მერკი „აუფ შალკეს" მოედნიდან ასე გაიყვანეს - ტრიბუნებიდან მისი მისამართით ნასროლი სხვადასხვა საგნიდან რომელიმე თავში რომ არ მოხვედროდა...



...ამის მიზეზი 10 წლისაა: ასე ტიროდნენ „შალკეს" ფანები 2001 წელს

**საუკეთესო ფეხბურთელები**

9 ტურის შემდეგ, „კიკერის" შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | ს/ შ. |
|---|---|---|
| 1. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 2.28 |
| 2. დანიელ ვან ბუიტენი | ბაიერნი | 2.30 |
| 3. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 2.36 |
| 4. კლაუდიო პისარო | ვერდერი | 2.36 |
| 5. ჰოლგერ ბადშტუბერი | ბაიერნი | 2.39 |
| 6. მარკო როისი | ბორუსია (მ) | 2.44 |
| 7. ბასტიან შვაინშტაიგერი | ბაიერნი | 2.50 |
| 8. ანდრე ტერ შტეგენი | ბორუსია (მ) | 2.61 |
| 9. მატს ჰუმელსი | ბორუსია (დ) | 2.67 |
| 10. ანატოლი ტიმოშჩუკი | ბაიერნი | 2.67 |

**გოლს პლუს პასის რეიტინგი**

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 9 | 4 | 8 | 12 |
| 2. მარიო გომესი | ბაიერნი | 8 | 10 | 1 | 11 |
| 3. პაპის დემბა სისე | ფრაიბურგი | 9 | 7 | 3 | 10 |
| 4. ლუკას პოდოლსკი | კიოლნი | 8 | 6 | 4 | 10 |
| 5. კლაას-იან ჰუნტელაარი | შალკე | 9 | 8 | 1 | 9 |
| 6. რობერტ ლევანდოვსკი | ბორუსია (დ) | 9 | 5 | 4 | 9 |
| 7. კლაუდიო პისარო | ვერდერი | 8 | 6 | 3 | 9 |
| 8. მარიო მანჯუკიჩი | ვოლფსბურგი | 9 | 5 | 3 | 8 |
| 9. მოჰამედ აბდელაუე | ჰანოვერი | 6 | 6 | 1 | 7 |
| 10. რაული | შალკე | 9 | 4 | 3 | 7 |

### მარკო როისის უსიამო ვნებანი

ტურის საცოდაობა ნამდვილად ის იყო, რომ მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" ამ ტურში ვერ მოიგო. ამ სეზონში „გლადბახი" რომ არ გესიმპატიურებოდეს, მაინცდამაინც „კიოლნის" ფანი უნდა იყო... თუკი შარშან გადარჩენისთვის იბრძოდნენ და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებამდე ძალიან ცოტა დააკლდათ, წელს, **ლუსიენ ფავრის** ხელში „გლადბახი" მართლა დაფრინავს. ფავრის ბიჭებმა „ლევერკუზენთანაც" (2:2) იფრინეს და გუნდის ლიდერ **მარკო როისს** რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი რომ არ გაეფუჭებინა, შეხვედრას აუცილებლად მოიგებდნენ და თანაც, დიდი ანგარიშით. თუმცა ეგ არაფერი: როისი ჯერ მხოლოდ 22 წლისაა...

### განადგურებული ბაბელი

*„იმედი მაქვს, რომ ბიჭები უკანასკნელ ძალებს მოიკრებენ და შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოავლენენ. „ბაიერნთან" წარმატების მიღწევის მცირე შანსი მხოლოდ ამ შემთხვევაში გაგვიჩნდება,"* - ამბობდა ტურის წინ მარკუს ბაბელი, მაგრამ მის გუნდს მაინც არაფერი ეშველა: „ჰერტა" მიუნხენში უბრძოლველად და ძალიან სწრაფად ჩაიძირა – სამი წუთის შემდეგ „ბაიერნი" უკვე 3:0-ს იგებდა. მეორე ტაიმში ბავარიელებს ძალები რომ არ დაეზოგათ, **ლევან კობიაშვილი** და კომპანია უფრო მეტად შერცხვებოდნენ, ასე კი „მხოლოდ" 4:0 დაფიქსირდა.

შესაძლოა, ბავარიელებმა „ჰერტა" სწორედ ბაბელის გამოც დაინდეს: მარკუსი „ბაიერნში" ხომ 17 წლის მანძილზე თამაშობდა.

### ასიანი არნესენი

კვირას დღეს ორი გმირი ჰყავდა: ერთი მხრივ „ჰამბურგის" სპორტული დირექტორი და დროებითი მწვრთნელი **ფრანკ არნესენი** და მეორე მხრივ „კიოლნის" ლიდერი ლუკას პოდოლსკი. ამ შემთხვევაში არნესენზე გვსურს თქვენი ყურადღების გამახვილება, რადგან ამ უკანასკნელს სამწვრთნელო კარიერაში ასპროცენტიანი შედეგი აქვს.

ფრანკი ადრე „ეინდჰოვენსაც" წვრთნიდა დროებით. მის ხელში პსვ-მ ექვსი თამაში ჩაატარა და ექვსივე მოიგო! ახლა კი, „ჰამბურგის" დროებითი მწვრთნელის რანგში „ფრაიბურგი" დაამარცხა (2:1). დროა, წარმატებულმა მენეჯერმა მწვრთნელობაზეც იფიქროს...

### პრინცის ლამაზი გოლები

...რაც შეეხება პოდოლსკის: მის „კიოლნს" გაუმართლა, რადგან მსაჯმა **იოხენ დრეესმა** „ჰანოვერს" წესებიც დაცვით გატანილი გოლი არ ჩაუთვალა. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ ვიტყვით, რომ „კიოლნმა" გამარჯვება არ დაიმსახურა, რაც თავის მხრივ სწორედ პოდოლსკის დამსახურებაა. პოლდის ორივე გოლი ულამაზესი გამოუვიდა: ჯერ ჯარიმა შეაგდო 25 მეტრიდან, მერე კი კიდევ უფრო თვალსასეირო გოლი გაიტანა.

**მე-9 ტურის სიმბოლური ნაკრები (3-4-3)**

**ბერნდ ლენო** (ლევერკუზენი, 2) – **ჟერომ ბოატენგი** (ბაიერნი, 2), **მატს ჰუმელსი** (ბორუსია დ, 2), **ამარ ჯემალი** (კიოლნი, 1) – **მარკო როისი** (ბორუსია მ, 3), **სვენ ბენდერი** (ბორუსია დ, 1), **ბასტიან შვაინშტაიგერი** (ბაიერნი, 1), **ფრანკ რიბერი** (ბაიერნი, 5) – **მარიო მანჯუკიჩი** (ვოლფსბურგი, 2), **მარიო გომესი** (ბაიერნი, 3), **ლუკას პოდოლსკი** (კიოლნი, 3)

თუ ასე გაგრძელდა, ამ სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი ულაპარაკოდ **ფრანკ რიბერი** გახდება. თავად განსაჯეთ: მიუნხენის „ბაიერნის" ფრანგი გარემარბი 9 ტურიდან 5-ჯერ სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა, რაც, დაგვეთანხმებით, ფენომენური შედეგია. ცოტათი გასაკვირია ის, რომ შესანიშნავ ფორმაში მყოფი „ბაიერნიდან" სიმბოლურში მხოლოდ და მხოლოდ პირველად ვხედავთ **ბასტიან შვაინშტაიგერს**.

**ტურის გმირი**

**ფრანკ რიბერი (ბაიერნი)**

პრინციპში, იოლი მისახვედრი იყო, რომ ამ ტურის გმირიც რიბერი გახდებოდა, რადგან ისედაც იდეალურ ფორმაში მყოფს, „ჰერტასთან" გართობა ლოგიკურად უნდა გაადვილებოდა და ასეც მოხდა. ფაქტებით ვილაპარაკოთ: მატჩის 90-ე წამზე უკვე ანგარიშის გახსნა შეეძლო, მე-5 წუთზე **მარიო გომესს** გოლი გაატანინა, მე-7 წუთზე თავად გაიტანა, ხოლო მე-13 წუთზე კი **ნიმაიერს** ბურთი ფეხებ შუა გაუტარა, რის შემდეგაც უკვე შვაინშტაიგერს მისცა საგოლე პასი. მეტსაც გეტყვით: „ბაიერნის" მეოთხე გოლიც რიბერის დამსახურება გახლდათ – პენალტი სწორედ მან მოიპოვა...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. სამშაბათის მატჩების წინ



ლიონის კაპიტან კრისს (მარცხნივ) მესუთ იოზილთან დღესაც ბევრი ასეთი ორთაბრძოლა ელის

# კლასიკად ქცეული დუელი მადრიდში

## ნოიერი ნულს ნეაპოლშიც შეინარჩუნებს?

### A ჯგუფი

#### ნაპოლი-ბაიერნი

შესანიშნავ ფორმაში მყოფ „ბაიერნს“ ნეაპოლში მორიგი, ამჯერად კიდევ უფრო სერიოზული გამოცდა ელის. რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** „ნაპოლის“ დღესდღეობით ყველაზე ძლიერ იტალიურ კლუბს უწოდებს, თუმცა **ვალტერ მაძარის** გუნდმა „კალეს“ ეს მოსაზრება ვერ დაამტკიცა – ნეაპოლელები „პარმასთან“ 1:2 დამარცხდნენ. მიუხედავად ამისა, რუმენიგე იხტიბარს არ იტეხს: *„ჩემი აზრით, „პარმასთან“ მატჩის დროს ნეაპოლელები უკვე ჩვენთან შეხვედრაზე ფიქრობდნენ, კონცენტრაცია აკლდათ და ამიტომაც დამარცხდნენ. ასეთი რამ „ბაიერნსაც“ არაერთხელ დამართნია. ერთი სიტყვით, „ნაპოლის“ „პარმასთან“ წაგება არაფერს ნიშნავს.“*

მიუნხენური გრანდი ბრწყინვალე ფორმაშია: თორმეტმატჩიანი წაუგებელი სერია და არც ერთი გაშვებული გოლი – ასეთია **იუპ ჰაინკესის** ბიჭების მონაგარი. შესაბამისად, ცხადია, „ბაიერნი“ ნეაპოლში სამი ქულისთვის ჩავიდა, თუმცა ფაქტია ისიც, რომ მიუნხენელები არც ფრეზე იტყვიან უარს. ჰაინკესს **არიენ რობენის** გარდა ყველა წამყვანი ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს და თუ ჰოლანდიელს არ ჩავთვლით, რეკორდმაისტერი „სან პაოლოზე“ საუკეთესო შემადგენლობით იასპარეზებს.

მიუნხენური გრანდის ბოლოდროინდელი შედეგები მაძარის არ აშინებს: *„ბაიერნი“ შესანიშნავი გუნდია, მაგრამ ეს სიახლეს არავისთვის წარმოადგენს. თუ ჩვენ სწორად ვითამაშებთ, მართლაც იდეალურ ფორმაში მყოფი გერმანული გრანდის დამარცხების შანსი მოგვეცემა,“* - აცხადებს ნეაპოლელთა 50 წლის თავკაცი. აღსანიშნავია, რომ მან „პარმასთან“ მატჩში არც ერთი წამყვანი მოთამაშე არ დაასვენა.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ნაპოლი (3-4-3):** დე სანქტისი – კამპანიარო, კანავარო, არონიკა – მაჯო, ინლერი, გარგანო, ძუნიგა – ჰამშიკი, კავანი, ლავეცი

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი – ბოატენგი, ვან ბუიტენი, ბადშტუბერი, ლამი – ლუის გუსტავო, შვაინშტაიგერი – თ. მიულერი, კროოსი, რიბერი – გომესი.

**არბიტრი:** ოლეგარიო ბენკერენშა (პორტუგალია)

#### მანჩესტერ სიტი-ვილიარეალი

ჯგუფის პარალელურ მატჩში „მანჩესტერ სიტი“ პირველი სამი ქულის მოპოვებას „ვილიარეალთან“ საშინაო შეხვედრაში შეეცდება. **რობერტო მანჩინის** გუნდი ფავორიტია, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ვილიარეალს“ დასაკარგი არაფერი აქვს: ესპანელებმა ეს თამაშიც თუ წააგეს, ჯგუფიდან გასვლას ვინ ჩივის, მესამე ადგილს და შესაბამისად, ევროპის ლიგაზე გადასვლის პერსპექტივასაც თითქმის დაემშვიდობებიან. გასულ უქმეებზე მანჩესტერელებმა „ასტონ ვილას“ 4:1 გადაუსრბინეს, „ვილიარეალმა“ კი „ხეტაფესთან“ მხოლოდ უგოლო ფრე გაახერხა. ისე, **ხუან კარლოს გარიდოს** გუნდი ჩემპიონთა ლიგაში არა მარტო პირველ გამარჯვებას, არამედ პირველ გოლსაც ელოდება.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**მანჩესტერ სიტი (4-2-3-1):** ჰარტი – რიჩარდსი, კომპანი, ლესკოტი, კოლაროვი – დე იონგი, იაია ტურე – ნასრი, სილვა, ბალოტელი – ჯეკო.

**ვილიარეალი (4-4-2):** დიეგო ლოპესი – საპატა, მარჩენა, გონსალო, კატალა – დე გუზმანი, ბრუნო, სენა, კანი – ვალერო, როსი.

**არბიტრი:** პაველ კრალოვეცი (ჩეხეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. ნაპოლი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3. მანჩესტერ სიტი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 4. ვილიარეალი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |

### B ჯგუფი

#### ცსკა-ტრაბზონი

ამ ჯგუფის პირველი მატჩი საღამოს რვა საათზე დაიწყება: ბოლო ადგილზე მყოფი ცსკა მოსკოვში სენსაციურ ლიდერს, „ტრაბზონსპორს“ ეთამაშება. თურქეთის ვიცე-ჩემპიონი, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ ჩემპიონი „ფენერბაჰჩე“ ყველასათვის კარგად ცნობილი მიზეზის გამო დაისაჯა, მილანში „ინტერის“ დამარცხებისა და „ლილთან“ ფრის შემდეგ ცხრილს 4 ქულით სათავეში უდგას. მოსკოველებს კი მხოლოდ ერთი ქულა აქვთ და თუ ჯგუფიდან გასვლისთვის ბრძოლა სურთ, ეს მატჩი აუცილებლად უნდა მოიგონ. არმიელების თავკაცი **ლეონიდ სლუცკი** წამყვან ნახევარმცველ **ოლისეს** (ტრავმა) ვერ გამოიყენებს, თურქთა მწვრთნელ **შენოლ გიუნეშს** კი საკადრო პრობლემები თავდასხმაში აქვს: **ენრიკე** და **ვიტეკი** ლაზარეთში არიან.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ცსკა (4-3-1-2):** გაბულოვი – ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ნაბაბკინი, ა. ბერეზუცკი – ალდონინი, მამაევი, ტოშიჩი – ძაგოევი – დუმბია, ვაგნერ ლავი.

**ტრაბზონი (4-2-3-1):** ზენგინი – ჩელუსტკა, კაჩარი, გლოვასკი, ჩეხი – კოლმანი, ზოკორა – ვოლქან შენი, ალანზინიო, ჰალილ ალთინთოფი – ბროძეკი.

**არბიტრი:** მარკ კლატენბურგი (ინგლისი)

#### ლილი-ინტერი

ჩემპიონთა ლიგის 2010 წლის გამარჯვებულმა „ინტერმა“ ხეირი ვერც მწვრთნელის შეცვლის შემდეგ ნახა: „ნერაძურიმ“ გასულ უქმეებზე „კატანიასთან“ წააგო და იტალიის ჩემპიონატში სამარცხვინოდ გამოიყურება, ჩემპიონთა ლიგაში კი „ინტერს“ კიდევ არა უშავს – ან უკვე **რანიერის** შეგირდებს სამი ქულა აქვთ და მეორე ადგილზე არიან. მილანური გრანდის ბოსმა **მასიმო მორატიმ** მწვრთნელსა და ფეხბურთელებს „ლილთან“ აუცილებლად სამი ქულის მოპოვება უბრძანა. „ინტერს“ **სამუელი** ჰყავს ტრავმირებული, სამაგიეროდ, **კივუ** გამოჯანმრთელდა. თუმცა „ლილს“ აგვისტოს მერე (0:1 მონპელიესთან) აღარ წაუგია...

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ლილი (4-3-3):** ლანდრო – დებუში, როზენალი, ბასა, ბერია – ბალმონი, მავუბა, პედრეტი – კოული, პაიე, ჰაზარი.

**ინტერი (4-3-1-2):** ჟულიო სეზარი – მაიკონი, ლუსიო, კივუ, ძანეტი – სტანკოვიჩი, კამბიასო, ობი – სნეიდერი – პაცინი, მილიტო.

**არბიტრი:** ჰოვარდ ვები (ინგლისი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტრაბზონი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 2. ინტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 3. ლილი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 4. ცსკა | 2 | 0 | 1 | 1 | 4-5 | 1 |

### C ჯგუფი

#### ოცელული-მანჩესტერი

მორჩა, „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ საჩუქრების დარიგება უკვე აკრძალულია – **სერ ალექს ფერგიუსონის** გუნდმა „ბენფიკაც“ გაახარა (1:1), „ბაზელიც“ (3:3) და ახლა „ოცელულს“ აუცილებლად უნდა მოუგოს. რუმინელები ხელცარიელები, ბოლო ადგილზე არიან და მათთვის კარგი მხოლოდ ის არის, რომ „იუნაიტედს“ დაცვის ბურჯი **ფერდინანდი** არ ეყოლება.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ოცელული (4-5-1):** გრაჰოვაცი – სკუბიჩი, პერენდიია, კოსტინი, სალაგეანუ – ანტალი, ფილიპი, იბე, გიურგიუ, ბუსი – პენა.

**მანჩესტერ იუნაიტედი ():** დე ხეა – ფაბიო, ჯოუნსი, ვიდიჩი, ევრა – ვალენსია, ქერიკი, ანდერსონი, იანგი – რუნი, ერნანდესი.

**არბიტრი:** ფელიქს ბრიხი (გერმანია)

#### ბაზელი-ბენფიკა

„ბაზელისა“ და „ბენფიკას“ დაპირისპირებას კი ორივე გუნდისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან მოგებული მერვედფინალისკენ უდიდეს ნაბიჯს გადადგამს. შვეიცარიულ კლუბში სერიოზული ცვლილება მოხდა: მთავარი მწვრთნელი **ტორსტენ ფინკი** გერმანიაში წავიდა და „ჰამბურგს“ ჩაუდგა სათავეში. საინტერესოა, როგორ იმოქმედებს ეს „ბაზელზე“ - ამ ეტაპზე ფინკს მისი ასისტენტი **ჰაიკო ფოგელი** ცვლის.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ბაზელი (4-4-2):** ზომერი – შტაინჰიოფერი, კოვაჩი, დრაგოვიჩი, იოო – ფ. ფრაი, ჰუგელი, კაბრალი, შაქირი – ა. ფრაი, შტრელერი.

**ბენფიკა (4-1-4-1):** არტური – მაქსი პერეირა, ლუიზაო, გარაი, ემერსონი – ხავი გარსია – გაიტანი, ვიტსელი, აიმარი, ნოლიტო – კარდოსო.

**არბიტრი:** ვიქტორ კაშაი (უნგრეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაზელი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-4 | 4 |
| 2. ბენფიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 3. მანჩესტერ იუნ. | 2 | 0 | 2 | 0 | 4-4 | 2 |
| 4. ოცელული | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

### D ჯგუფი

#### რეალი-ლიონი

„რეალისა“ და „ლიონის“ დაპირისპირებები ჩემპიონთა ლიგის კლასიკად იქცა – ბოლო შვიდ სეზონში ესპანური და ფრანგული გრანდები ერთმანეთს რვაჯერ დაუპირისპირდნენ და მაინც შეგახსენებთ, რომ „ლიონი“ „სამეფო გუნდს“ ძალიან ხშირად ამწარებდა ხოლმე. თუმცა გასულ სეზონში „რეალმა“ „ლიონის“ წყევლა მოიხსნა და მერვედფინალიდან გააგდო (1:1, 3:0). „ლიონს“ გოლეადორი **ლისანდრო ლოპესი** აკლია, სამაგიეროდ, **გურკუფი** გამოუჯანმრთელდა.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი – არბელოა, რამოსი, პეპე, მარსელო – ხედირა, ჩაბი ალონსო – რონალდო, იოზილი, კაკა – იგუაინი.

**ლიონი (4-2-3-1):** ლორისი – რევეილერი, კრისი, ლოვრენი, სისოხო – კალსტრიომი, გონალონსი – ბრიანი, გურკუფი, ბასტოსი – გომისი.

**არბიტრი:** ჩიუნეით ჩაქირი (თურქეთი)

#### დინამო (ზ)-აიაქსი

„დინამო“ მედგრად კი იბრძვის, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ ჰყოფნის. „აიაქსი“ ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ზაგრებიდან სამი ქულა წაიღოს – ამსტერდამელებს არაფრით არ სურთ, რომ აუტსაიდერთან ქულები დაკარგონ.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**დინამო ზ. (4-4-2):** კელავა – ვიდა, ტომეჩაკი, ტონელი, კუფრე – კალელო, ბადელი, ლეკო, სამირი – ბექირაი, კრსტანოვიჩი.

**აიაქსი (4-3-3):** ვერმეერი – ვან დერ ვილი, ალდერვეირელდი, ვერტონგენი, ანიტა – ენო, ერიკსენი, იანსენი – სულეიმანი, ს. დე იონგი, ბოერიგტერი.

**არბიტრი:** მანუელ გრეფე (გერმანია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. ლიონი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| 3. აიაქსი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| 4. დინამო (ზ) | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

**გოტფრიდ ლენცი**

● ესპანეთი

# ლევანტე: აღმოსავლური სასწაული

## მოხუცთა თავშესაფარი, რომელიც ესპანეთს თავში მოექცა

ალმოსავლური სასწაული, რომელიც სამხრეთულს ჩაენაცვლა, გრძელდება - განვმარტოთ: სეზონი სამხრეთულმა (ანდალუსიის) „ბეტისმა“ დაიწყო ზედიზედ 4 მოგებით, მაგრამ შემდეგ გააჩერეს. სევილიელთა ესტაფეტა კი აღმოსავლურმა (ვალენსიის) „ლევანტემ“ (რაც ისედაც აღმოსავლეთს ნიშნავს) გააგრძელა. კვირას 47 წლის და აქამდე უცნობ სპეციალისტ **ხუან იგნასიო მარტინესს** სერიოზული გამოცდა ელოდა, **მანუელ პელეგრინის** ვარსკვლავური და ამბიციური „მალაგა“ სტუმრობდა „სიუტატ დე ვალენსიას“, მაგრამ ანდალუსიაში შინ განბილებული წავიდა, 0:3 წააგო.

მგონი, დადგა დრო ახლოს გავიცნოთ მწვრთნელიცა და გუნდიც - მათ ეს დაიმსახურეს: 7 თამაშიდან 17 ქულით „ლევანტე“ „ბარსელონასთან“ ლიდერობას იყოფს (მხოლოდ ბურთების უარესი სხვაობით ჩამორჩება). ვალენსიელებმა 5 მოიგეს და 2 ფრედ დაასრულეს, გაიტანეს 11 და გაუშვეს 3 (ყველაზე ცოტა ლა ლიგაში) გოლი. „ლევანტემ“ „სიუტატ დე ვალენსიაზე“ სამივე თამაში მოიგო, ხოლო სტუმრად 2 მოიგო და ამდენივე ფრედ დაასრულა. გუნდი ზედიზედ ხუთი თამაშია მხოლოდ იმარჯვებს (მოუგო თვით „რეალს“). მოკლედ, მუდამ „ღამურების“ („ვალენსიას“ მეტსახელი) ჩრდილში მყოფი „ბაყაყები“, სადაც კარიერა **შოთა არველაძემ** დაასრულა, მზის სინათლეზე გამოდიან.

ადრეც გვითქვამს, რომ ხუან იგნასიო მარტინესი აქამდე სეგუნდა და უფრო დაბალი ლიგების გუნდებს წვრთნიდა. მას შემდეგ, რაც უცხოელი ინვესტორების წყალობით გამდიდრებულმა „ხეტაფემ“ „ლევანტეს“ წარმატებული მწვრთნელი **ლუის გარსია** წაჰგვარა, მცირებიუჯეტიანმა აღმოსავლურმა კლუბმა ხუან იგნასიოს დაუძახა. მართალია, „ბაყაყები“ 1909 წელს დააარსეს, მაგრამ ვალენსიურ კლუბს მდიდარი ტრადიციების მეზობლისგან განსხვავებით, არაფრისთვის მიუღწევია - ლა ლიგაში სულ 7 სეზონი გაატარა (2 60-იან წლებში და 5 ბოლო ათწლეულში). კლუბის ისტორიაში ყველაზე დიდი მიღწევა 1964 წელს ჩემპიონატის მე-10 ადგილზე დასრულებაა.

ბუნებრივია, რაც ხუან იგნასიომ პირველივე პრესკონფერენციაზე განაცხადა - „ლევანტეს“ მიზანი პრიმერაში ადგილის შენარჩუნება იქნებაო. ამის გამო მწვრთნელის გაკრიტიკება თავში არავის მოსვლია. მით უფრო, რომ „ლევანტემ“ სეზონის წინ ლიდერი დაკარგა - „მანჩესტერ სიტიმ“, რომელიც ეკვადორელი **ფელიპე კაისედოს** მფლობელი იყო („ლევანტეში“ იჯარით თამაშობდა და 13 გოლი გაიტანა), ის მოსკოვის „ლოკომოტივში“ 7,5 მილიონ ევროდ გაყიდა (თანხის ნაწილი „ლევანტესაც“ ერგო). დანარჩენი დანაკარგი უმნიშვნელო იყო, მათ შორის თბილისის „დინამოში“ წამოსული **ჩისკო მუნიოსი**. ვალენსიურ კლუბში რამდენიმე საინტერესო ფეხბურთელი მივიდა, მაგრამ ბევრიც არაფერი: **კეილორ ნავასი, ასიერ დელ ორნო, ხავიერ ფარინოსი, მიგელ პალიარდო, ხოსე ბარკერო** და სხვები.

ხუან იგნასიო გუნდს ესპანეთში კარგად აპრობირებული 4-2-3-1 ტაქტიკით ათამაშებს. კარში 33 წლის გამოცდილი ურუგვაელი გოლკიპერი **გუსტავო მუნუა** დგას, ასე რომ, ჯერ კოსტარიკელი კეილორ ნავასის საქმეში ნახვის შანსი არ მოგვცემია. დაცვის მარჯვენა ფლანგზე 35 წლის **ხავი ვენტა** თამაშობს (ეს ფეხბურთელი „ვილიარეალიდან“ უნდა გახსოვდეთ), მარცხენა ფრთაზე მისი თანატოლი **ხუანფრანი**, რომელმაც ესპანეთის თითქმის ყველა გუნდი მოიარა და არა მარტო ესპანეთის, ეროვნულ ნაკრებში კი 11 მატჩი ჩაატარა, სანამ შემადგენლობიდან **ხოან კაპდევილამ** არ ამოაგდო. დაცვის ცენტრში მუდმივ წყვილს კაპიტან **სერხიო ბალესტეროსის** (36 წლის) და **ნანოს** (31 წლის) დუეტი შეადგენს. დაცვისა და მეკარის ხუთეული ჯამში 170 წლისაა (!!!). შეცვლაზე შემოდის ხოლმე 30 წლის ბასკი **ასიერ დელ ორნო**.

საყრდენის პოზიციაზე სამი კაცია, ადგილი კი ორი. ძირითადში ადგილს ერთმანეთს 33 წლის **ხავიერ ფარინოსი** (დიახ, „ის“ ფარინოსი - „ვალენსიას“ და „ინტერის“ ყოფილი ფეხბურთელი) და ორი ახალგაზრდა **ხავი ტორესი** (24 წლის, რომელმაც 2009 წელს „ბარსაში“ 2 თამაში ჩაატარა) და **ვისენტე იბორა** (23 წლის) ეცილებიან. შემტევი ტრიო ნახევარმცველებისა ხშირად ასეთია: 33 წლის **ხოსე ბარკერო** (ბასკი, რომელიც ოდესღაც ესპანური ფეხბურთის ერთ-ერთი მთავარი იმედი იყო), 31 წლის **ხუანლუ** და 30 წლის კაბო-ვერდელი **ვალდო**. შეტევაში ან 32 წლის **რუბენ სუარესია**, ან 27 წლის კოტ-დივუარელი **არუნა კონე**. ხანდახან ამ პოზიციაზე 31 წლის **კარლოს არანდაც** თამაშობს ხოლმე. მოკლედ, თავიდან ბოლომდე ვეტერანთა გუნდია და სეზონის წინ მიმომხილველები იმასაც წერდნენ, რომ „ბებრები“ მომქანცველ სეზონს ვერ გაუძლებდნენ და აუცილებლად გავარდებოდნენ ლა ლიგიდან.



ლევანტეს სასწაულის ავტორი ხუან იგნასიო მარტინესი

„ლევანტემ“ უკვე იმაზე მეტი ქულა დააგროვა, ვიდრე შარშან სეზონის პირველ ნახევარში. „მალაგასთან“ მატჩში ხუან იგნასიომ რეკორდი დაამყარა - მან პრიმერას ისტორიაში ყველაზე ხანდაზმული თერთმეტეული დააყენა - ფეხბურთელთა საშუალო ასაკი 32 წელს შეადგენდა! და აი, ამ „ბებრებმა“ ბრდღვნად ვერ იმყოფინეს „მალაგა“ თავისი **კასორლებით, მატეისენებით, ტულალანებით** და **ვან ნისტელროოებით**... ეს იყო ტურის ერთადერთი ნაღდი სენსაცია.

როცა კვირას ხუან იგნასიომ ჟურნალისტებს უთხრა, ამას ნამდვილად არ ველოდიო. მედიელებმა სთხოვეს დაეკონკრეტებინა, რას გულისხმობდა, „მალაგას“ 3:0 განადგურებას თუ საოცარ სტარტს პრიმერაში. მწვრთნელის პასუხი ლაკონური იყო - ორივეს... წინ ვალენსიური დერბია, „წყალქვეშა ნავ“ „ვილიარეალთან“.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ლა ლიგა

#### ბილბაო-ოსასუნა 3:1

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - ირაოლა, ეკიზა, ამორებიეტა, დე მარკოსი - იტურასპე, ხ. მარტინესი - სუსაეტა (83. ერერა), მუნიაინი (76. ტოკერო), გაბილონდო (46. აურტენეჩე) - ლორენტე.

**ოსასუნა (4-3-3):** ა. ფერნანდესი - ბერტრანი, სერხიო, როვერსიო (41. ლოლო), დამია - პუნიალი, რ. გარსია, ნეკუნამი - სეხუდო (62. იბრაჰიმა), ნინო (75. ხავი), ლამა.

**გოლები:** 1:0 მუნიაინი (30), 2:0 გაბილონდო (38), 3:0 ხ. მარტინესი (45), 3:1 ნეკუნამი (90-პენ)

**გაფრთხილება:** ირაოლა, მარტინესი - ნეკუნამი, ლამა

**გაძევება:** ლამა (71)

**კუთხური:** 11-3; **ჯარიმა:** 14-14; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 9-9 (7-6); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 39 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 7 | 5 | 2 | 0 | 26-4 | 17 |
| 2. ლევანტე | 7 | 5 | 2 | 0 | 11-3 | 17 |
| 3. რეალი | 7 | 5 | 1 | 1 | 24-6 | 16 |
| 4. სევილია | 7 | 4 | 3 | 0 | 8-4 | 15 |
| 5. ვალენსია | 7 | 4 | 2 | 1 | 10-7 | 14 |
| 6. მალაგა | 7 | 4 | 1 | 2 | 10-7 | 13 |
| 7. ბეტისი | 7 | 4 | 0 | 3 | 10-11 | 12 |
| 8. ატლეტიკო | 7 | 2 | 3 | 2 | 8-6 | 9 |
| 9. სარაგოსა | 7 | 2 | 3 | 2 | 9-13 | 9 |
| 10. ესპანიოლი | 7 | 3 | 0 | 4 | 6-11 | 9 |
| 11. ბილბაო | 7 | 2 | 2 | 3 | 10-10 | 8 |
| 12. მალიორკა | 7 | 2 | 2 | 3 | 6-8 | 8 |
| 13. სოსიედადი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-10 | 7 |
| 14. ვილიარეალი | 7 | 1 | 4 | 2 | 7-11 | 7 |
| 15. ოსასუნა | 7 | 1 | 4 | 2 | 6-15 | 7 |
| 16. ვალეკანო | 7 | 1 | 3 | 3 | 6-11 | 6 |
| 17. ხეტაფე | 7 | 1 | 2 | 4 | 6-10 | 5 |
| 18. გრანადა | 7 | 1 | 2 | 4 | 2-8 | 5 |
| 19. რასინგი | 7 | 0 | 4 | 3 | 4-12 | 4 |
| 20. სპორტინგი | 7 | 0 | 1 | 6 | 3-12 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

# უმედლო დღე აბუ დაბიში




აბუ დაბის „დიდ პრიზზე" გუშინ ჩვენგან მხოლოდ **ამირან ტატალაშვილი** ჭიდაობდა, რადგან 81 კილოგრამში მონაწილე არ გვყავდა. ტატალაშვილმა მხოლოდ ერთი შეხვედრა მოიგო და ამდენად, ტურნირის მეორე დღე უმედლოდ დავამთავრეთ.

ჩვენებური პირველ წრეში ავსტრიელ **პეტერ შარინგერს** ხვდებოდა და ორი იუკო აართვა. სამწუხაროდ, ეს მისი მაქსიმუმი აღმოჩნდა - გერმანელ **კრისტოფერ ვოლკთან** ძალა აღარ ეყო და უშანსოდ დამარცხდა. გერმანელმა ვაზარიც მოიპოვა და ორჯერაც გააფრთხილებინა ჩვენებური - ვფიქრობთ, ამხელა უპირატესობა ცხადად გვიჩვენებს შეხვედრის ხასიათს. წაგების მიუხედავად, ტატალაშვილს 1/16-ფინალში გასვლისთვის 24 სალიცენზიო ქულა მაინც დაერიცხა. ახლა 248 ქულა გაუხდა, თუმცა მალე შარშან მოპოვებული ქულების ნაწილი გაუნახევრდება. ამის მიუხედავად, ის მაინც ინარჩუნებს ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვების შანსს - 22-კაციან საერთო რეიტინგში ვერ ხვდება, მაგრამ შედის 14-კაციან ევროპის რეგიონულ კვოტაში.

ამ წონაში - 73 კილოგრამში კორეელმა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა და ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანმა **კი-ჩუნ ვანმა** გაიმარჯვა - მას მხოლოდ პოლონელ **ტომაშ ადამიეცთან** და ფინალში იაპონელ მსოფლიოს პრიზიორ **იასუჰირო ავანოსთან** გაუჭირდა მოგება, სხვებს კი ვაზარ-იპონით აჯობა. ამავე წონაში გამოვარჩევთ იაპონური წარმომავლობის ესპანელის, ევროპის ჩემპიონისა და მსოფლიოს პრიზიორ **კიოში უემაცუს** გამოჩენას მედალოსანთა შორის - დიდი ხანია მას არათუ ამხელა წარმატება არ მოუპოვებია, შეჯიბრებებშიც არ გამოდიოდა.

81 კილოგრამში 21 წლის შედარებით უცნობმა იაპონელმა **ტაკაჰირო ნაკაიმ** გაიმარჯვა, რომელმაც ფინალში ჰოლანდიელი მსოფლიოს ჩემპიონი **ხიიომ ელმონტი** ვაზარ-იუკოთი დაამარცხა.

ქალთა ტურნირიდან მხოლოდ ერთ მედალოსანს გამოვარჩევთ - ხორვატ **მარიანა მისკოვიცს**. ეს ის გოგოა, 2009 წელს თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ხუთი თვის ორსულმა რომ მოიპოვა ბრინჯაოს მედალი. აღსანიშნავია, რომ ის ჯილდო პირველი, ისტორიული და ჯერჯერობით ერთადერთია ხორვატული ძიუდოს ისტორიაში.

აბუ დაბის ტურნირი დღეს დამთავრდება დარჩენილი სამი წონის ფალავანთა შეხვედრებით. იმ სამიდან არც 100-ში გვეყოლება მონაწილე, თუმცა ტატამზე მაინც სამი ქართველი გავა. ვალერი ლიპარტელიანი (90) პირველ შეხვედრას მაროკოელ **მოჰამად ელ ასრისთან** გამართავს. სავარაუდოდ, მას უპრობლემოდ უნდა მოუგოს. აი, მომდევნო მეტოქე კი ვინ იქნება, ძნელი სათქმელია. მისი ვინაობა იაპონელ **რიოჰეი ანაის**, მასპინძელ **მუფტაჰ ალ ზაბისა** და ლიტველ **კაროლის ბაუზას** სამეულში გაირკვევა. უფრო ზუსტად, ალბათ, ბაუზასა და ანაის შორის, რადგან არაბი არ გვგონია იაპონელის მომგები. ამ ტრიოში ყველაზე ცნობილი ბაუზაა, მაგრამ ანაი ჯერ საერთოდ უცნობია და მის შანსებზე ვერაფერს გეტყვით. მეოთხედფინალში გასვლამდე ჩვენებურის სავარაუდო მეტოქეთა შორის უზბეკი **ხურშიდ ნაბიევი**, უკრაინელი მსოფლიოს პრიზიორი, ოლიმპიადის ვერცხლ-ბრინჯაოს მფლობელი **რომან გონტიუკი**, შვეიცარიელი **დომინიკ ჰიშირი** და სლოვაკი **მილან რანდლი** არიან, ნახევარფინალის ზონაში კი სხვათაგან აზერბაიჯანელ ევროპის ვიცე-ჩემპიონს, მსოფლიოს მედალოსან **ელხან მამადოვსა** და ალჟირელ ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონ **ამარ ბენიკლეფს** გამოვარჩევთ.

მძიმე წონაში **ადამ ოქრუაშვილი** ძლიერ ჰოლანდიელ **ლუუკ ვერბიხს** ხვდება, **ზვიად ხანჯალიაშვილი** - ფრანგ **მეთიუ ტორელს**. ოქრუაშვილის ქვეჯგუფში უნგრელი ევროპის ორგზის ვერცხლის მედალოსანი **ბარნა ბორი** და ესტონელი ევროპის ჩემპიონი **მარტინ პადარიც** მოხვდნენ, ხანჯალიაშვილ-ტორელის მომდევნო მეტოქე კი მაროკოელ **ელ მეჰდი მალკისა** და ლიტველ **მარიუს პასკევიჩიუსს** შორის გაირკვევა.

### კვარცხლბეკი

#### კაცები

**73 კგ.** 1 კი-ჩუნ ვანგი (კორეა), 2. იასუჰირო ავანო (იაპონია), 3. კიოში უემაცუ (ესპანეთი), რინატ იბრაგიმოვი (ყაზახეთი).

**81 კგ.** 1. ტაკაჰირო ნაკაი (იაპონია), 2. ხიიომ ელმონტი (ჰოლანდია), 3. ივან ვორობიოვი (რუსეთი), ტრევის სტევენსი (აშშ).

#### ქალები

**63 კგ.** 1. კლარის აგბეგნენოუ (საფრანგეთი), 2. რამილა იუსუბოვა (აზერბაიჯანი), 3. კლაუდია მალზანი (გერმანია), მარიანა მისკოვიცი (ხორვატია).

**70 კგ.** 1. ჰარუკა ტაჩიმოტო (იაპონია), 2. მარი პასქო (საფრანგეთი), 3. ლინდა ბოლდერი (ჰოლანდია), ფეი ჩენი (ჩინეთი).

**ირაკლი თავაძე**



# ერთმა სოფელმა რეგიონი შეკრიბა

55 წელია ქიზიყელი **ანზორ მარტყოფლიშვილი** ფალავნური ცხოვრებით ცხოვრობს. ევროპის ჩემპიონი ბოლო 20 წელიწადი ძიუდოს ფედერაციაშია. არის მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი, მერე კი ვიცე-პრეზიდენტი, გენერალური და აღმასრულებელი მდივანი. მისი ღვაწლი დიდია სამბოშიც, სუმოშიც და, რაღა თქმა უნდა, ქართულ ჭიდაობაშიც.

### კვარცხლბეკი

**42 კგ.** 1. ნიკა ჭიკაიძე (ახმეტა), 2. ნიკა ყურმიტაშვილი (საგარეჯო), 3. გეგა ტუშულაშვილი (ახმეტა), 3. გიორგი მესხიშვილი (თელავი).

**46 კგ.** 1. ზაზა ბუქური (დედოფლისწყარო), 2. გიორგი ჩაჩქანიშვილი, 3. გიორგი ნახუცრიშვილი (ორივე-ახმეტა), 3. გაგა მახნიაშვილი (თელავი).

**50 კგ.** 1. ბექა ნათათრალაშვილი (დედოფლისწყარო), 2. ირაკლი კუპატაძე (საგარეჯო), 3. ტატო მოსახლიშვილი (თელავი), 3. ნიკა ლაბაძე (ლაგოდეხი).

**55 კგ.** 1. შალვა ბუნტური (დედოფლისწყარო), 2. კობა მჭედლიშვილი (საგარეჯო), 3. ნიკა ბენაშვილი, 3. ლაშა ბუნტური (ორივე-დედოფლისწყარო).

**60 კგ.** 1. ილია ლეკიაშვილი (დედოფლისწყარო), 2. ნოდარ აივაზაშვილი (ყვარელი), 3. ბაჩო ჭიკაიძე (დედოფლისწყარო), 3. ლევან დარძული (ახმეტა).

**66 კგ.** 1. ზვიად მრელაშვილი, 2. ქეთიმე ბულკაშვილი (ორივე-ახმეტა), 3. გიორგი გულიაშვილი (ყვარელი), 3. გივი ოზაშვილი (დედოფლისწყარო).

**73 კგ.** 1. ვანო ჩურჩხელაშვილი (ახმეტა), 2. დიმა ნადირაშვილი (დედოფლისწყარო), 3. ზურაბ ტატიშვილი (გურჯაანი), 3. ამირან ბახსოლიანი (თელავი).

**+73 კგ.** 1. ჯაბა მუმლაძე, 2. დავით რამაზანაშვილი (ორივე-ახმეტა), 3. ბექა შერგზადაშვილი, 3. ლევან მერაბიშვილი (ორივე-თბილისი).

ანზორის მშობლიურ ზემო მაჩხაანში მეთერთმეტედ ჩატარდა სოფლის რჩეულის, დამსახურებული მწვრთნელის, საერთაშორისო ოსტატისა და მსაჯის, ანზორ (ფირუზ) მარტყოფლიშვილის ტურნირი ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის. ასპარეზობაში კახეთის ყველა რეგიონის და თბილისის გუნდები, აგრეთვე ცალკეული მოჭიდავეები მონაწილეობდნენ. ეს იყო ერთგვარი შესარჩევი შეჯიბრება, რომელიც მარნეულში 22 ოქტომბერს გასამართი **თენგიზ ნავერიანის** მემორიალური ტურნირის წინ გაიმართა.

მარტყოფლიშვილის ტურნირი წლეულს ერთობლივი ძალისხმევით ჩაატარეს დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარემ **ლევან ბალაშვილმა**, ზემომაჩხაანელმა მწვრთნელმა **ვაჟა მოსულიშვილმა** და ზემომაჩხაანის გამგებელმა **ლევან იაკობიშვილმა**.

ტურნირზე ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის პრიზი დაიმსახურა **ბექა ნათათრალაშვილმა** (50 კგ).

**გაბრიელ ბარჯაძე**




თავისუფალი ჭიდაობა

# ქართველების სომხური მედლები

თავისუფალი სტილით მოჭიდავე ქართველმა ჭაბუკებმა ამ უქმეებზე წარმატებით იჭიდავეს სომხურ იჯევანში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონ გლენ მეჯლუმიანის მემორიალში - 3 ოქრო, 1 ვერცხლი და 5 ბრინჯაო მოიპოვეს. ჩემპიონები **გიორგი პასიკაშვილი** (46), **ლევან მურადხანაშვილი** (69) და **ირაკლი მწითური** (76) გახდნენ, **ტარიელ გაფრინდაშვილმა** (63) მხოლოდ ფინალური შეხვედრა წააგო, **ბექა წიკლაური** (58), **ტარზან მაისურაძე** (63), **გიორგი ბეჟაშვილი** (69), **დავით ლილუაშვილი** (85) და **ნიკა მელიქიშვილი** (100) კი მესამეზე გავიდნენ.

ხაშურისა და ონის ტურნირების შემდეგ ეს შეჯიბრება ერთ-ერთი შესარჩევი ეტაპი იყო საგაისოდ დასაკომპლექტებელი გუნდის გზაზე. სომხეთში წასაყვანი შემადგენლობაც იმ ორი ტურნირის შედეგების მიხედვით შეირჩა, თუმცა მწვრთნელმა **თამაზ ბენდიანიშვილმა** იქ ორ-ორი კაცი მხოლოდ ორ წონაში - 63-69-ში გააგზავნა (თვითონ ამჯერად არ გაჰყოლია გუნდს). ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ამბავიც 69-ში მოხდა, სადაც ნახევარფინალში ქართველები შეხვდნენ ერთმანეთს - ხაშურის ტურნირის გამარჯვებულმა მურადხანაშვილმა ონში გამარჯვებულ ბეჟიაშვილს სძლია. მართალია, მომავალ წლამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და ბევრი რამეც შეიცვლება. ამდენად, ნაკრებში მოხვედრაზე ლაპარაკიც ჯერ ადრეა, თუმცა შიდა რეიტინგისთვის ასეთი დეტალები მაინც მნიშვნელოვანია. ხაშურის ტურნირის ჩემპიონები არიან გაფრინდაშვილი და წიკლაური, რომლებმაც წონაში საკუთარი პოზიციები კიდევ უფრო გაიმყარეს. აღსანიშნავია პასიკაშვილის წარმატებაც, თუმცა ორივე შიდა ტურნირში ამ წონაში ბათუმელმა **რამაზ ზოიძემ** გაიმარჯვა (ონში მან ფინალიც მოუგო პასიკაშვილს). მელიქიშვილი ონში მეორეზე გავიდა, ლოლაშვილი - მესამეზე, თუმცა ის ამჯერად 85-ში გამოვიდა.

თვის ბოლოს ქართველი ჭაბუკები მორიგ გამოცდას ამბროლაურში ჩააბარებენ, სადაც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **გურამ სალარაძის** სახელობის ტურნირში იჭიდავებენ.

ჭაბუკთა ნაკრებამდე სომხეთში (ქალაქ არტაშატში) ასევე თავისუფალი სტილით მოჭიდავეები იმყოფებოდნენ, ოღონდ - ახალგაზრდები, რომლებიც იქ რაზმიკ გოლეტიანის სახელობის ტურნირში გამოვიდნენ. შეჯიბრებაში ჩვენგან სპორტკლუბ „მართვეს" გუნდი მონაწილეობდა, რომლებმაც 3 ოქრო, 1 ვერცხლი და 4 ბრინჯაო მოიპოვეს. ქართული ფინალი იქაც გაიმართა - 74 კილოგრამში **ალექსანდრე ჯაჭვაძემ დიმიტრი ბასილაშვილი** დაამარცხა. ჯაჭვაძის გარდა, ჩემპიონები **გიორგი კაკაურიძე** (96) და **დავით გობეჯიშვილიც** (120) გახდნენ, ბრინჯაოს მედლები კი **გიორგი კაპანაძემ** (50), **ლევან ცალქალამანიძემ** (55), **იაკობ პეტრიაშვილმა** (84) და **გიორგი გონაშვილმა** (120) მოიპოვეს.

„მართვეს" ახალგაზრდა მოჭიდავეები ამ დღეებშიც ესტუმრებიან სომხეთს, ამჯერად ქალაქ ვანაძორს, სადაც იქაურთა სახელოვანი მწვრთნელის, ვეტერანებში 9-გზის მსოფლიოს ჩემპიონ **ჟორა ოგანესიანის** სახელობის ტურნირში გამოვლენ (სხვათა შორის, ოგანესიანი ამ უქმეებზეც ჭიდაობდა ვეტერანთა მსოფლიოს პირველობაზე ტირანაში, თუმცა ამჯერად ხელი მოეცარა და ტიტული მეათედ ვერ მოიპოვა). იქ ჩვენები შემცირებული გუნდით წავლენ: ზემოხსენებული ტარიელ გაფრინდაშვილი (63), **გიორგი გელაშვილი** (50), **ფერდინანდ გონაშვილი** (55) და **გიორგი ბოხუა** (69), თუმცა არაა გამორიცხული, ერთი მონაწილე კიდევ დაიმატონ.

**ირაკლი თავაძე**

სიახლე



კლდეზე ცოცვაში „ჯეოსტარი" შარშანდელი გამარჯვებული ოთო ნემსაძე

# სპორტი ანტიკურ ნაქალაქარში

ანტიკურ ნაქალაქარ უფლისციხის ტერიტორიაზე სპორტული შეჯიბრება გაიმართა. გუნდებად დაკომპლექტებული ადგილობრივი და დედაქალაქელი ახალგაზრდები ერთმანეთს კლდეზე ცოცვაში, რბენაში, დაბრკოლებათა გადალახვაში, აგრეთვე სპორტულ და ინტელექტუალურ თამაშებში გაეჯიბრნენ.

*„ასეთი თამაშების გამართვაზე სამი წელიწადი ვფიქრობდი. უფლისციხე იძლევა იმის საშუალებას, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმდევრებმა, სხვადასხვა ინტერპრეტაციით მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა. თანაც ყველაფერთან ერთად აქ ხომ უბრალოდ მოსანახულებელიც ბევრია და ჩვენი ქვეყნის ისტორიის უძველესი პერიოდი ცოცხლდება"* - გვითხრა უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორმა **ზურაბ სადალაშვილმა**. მის იდეას ხორცი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით შეესხა. სააგენტოს ხელმძღვანელმა **ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა** თბილისიდან შიდა ქართლში ხუთი გუნდი იახლა, ადგილობრივთაგან დაკომპლექტებული ერთი გუნდიც სადალაშვილმა შეკრიბა, მთამსვლელთათვის საჭირო ინვენტარით მონაწილენი კი სააგენტოს თანამშრომელმა, ალპინისტმა **ვანო ვაშაყმაძემ** მოამარაგა და პაექრობაც გაჩაღდა. საუკეთესო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს გუნდი გახდა, მათ მცირედით ჩამორჩნენ თბილისის მერიისა და უფლისციხის გუნდები. გამარჯვებული და პრიზიორები თავად ნიკა ვაჩეიშვილმა დააჯილდოვა. სასიამოვნოა, რომ ასეთი ღონისძიების სამომავლოდ გამართვით დაინტერესდნენ საჯარო სკოლებიც. როგორც ორგანიზატორებმა აღნიშნეს, მომავალში შეჯიბრება უფრო მრავალფეროვანი შეიძლება გახდეს, დაემატოს ნაქალაქარის ქვემოთ, მტკვარგაღმა მცირე კუნძულებზე გადაცურვა ან ნავებით გადალახვა. *„მხარდაჭერით ასპარეზობა უფრო საინტერესო და სანახობრივი გახდება და შეიძლება პოპულარული ტელე-თამაშის „ბოიარის ციხესიმაგრესაც" დაემსგავსოს"* - ამბობს მუზეუმის დირექტორი.

**ვასილ ბალახაძე**

ჭადრაკი

# 2,5 ქულით 51-ეზე

ინდონეზიისლია ჩემპიონატზე მოჭადრაკეებმა გუშინ მე-6 ტურის პარტიები გაითამაშეს. თბილისელმა **სოფიკო გურამიშვილმა** ამჯერადაც ვერ გამოიყენა თეთრი ფიგურების უპირატესობა და ჩინელ დიდოსტატ **ძუნ ჩჟაოსთან** დამარცხდა. წააგო მისმა ინდონეზიელმა მეგობარმა **ირენე კარიშმა სუკანდარმაც**. იგი სომეხ **კარენ გრიგორიანს** დანებდა. ლიდერთა ჯგუფში მხოლოდ ერთი პარტია დასრულდა შედეგიანად - ჩინელმა **ვან იუემ** ფრანგ **ვლადისლავ ტკაჩიევს** სძლია. დაზავდნენ: **ოლივერ ბარბოსა** (ფილიპინები)-**ლი ჩაო** (ჩინეთი), ტიგრან კოტანჯიანი (სომხეთი)-**სოუ ვესლი** (ფილიპინები), **სუსანტო მეგარანტო** (ინდონეზია)-**სანდრო მარეკო** (არგენტინა), **ნგუენ ვან ჰუი** (ვიეტნამი)-**ალექსანდერ ფიერი** (ბრაზილია).

ექვსი ტურის შემდეგ 5-5 ქულით ვან იუე და ბარბოსა მეწინავეობენ. 10 მოჭადრაკეს ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები აქვს. გურამიშვილი 2,5 ქულით 51-ეა. დღეს იგი ჰენი მარენტეკს დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

**განცხადება**

2011 წლის 10 ნოემბერს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზში გაიმართება საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის რიგგარეშე, საგანგებო ყრილობა.

დღის წესრიგშია:- ფედერაციის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტებისა და პრეზიდიუმის ვაკანტურ ადგილებზე წევრების არჩევა; - ფედერაციის წესდებაში ცვლილებების შეტანა; - სხვადასხვა.

ფედერაციის პრეზიდენტის კანდიდატურის წარდგენის ბოლო ვადაა 2011 წლის 26 ოქტომბრის 17 საათამდე ფედერაციის ოფისში (ტელ: 224. 48. 76; ელფოსტა: geocht@access.sanet.ge).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიჩბოსნობა

# ლონდონის კონტურები სეგედიდან გამოჩნდა


ზაზა ნადირაძე

სამათეულ წელიწადზე მეტია, ნიჩბოსნობაში საქართველოს წარმომადგენლებს ოლიმპიურ თამაშებში არ უასპარეზიათ. და აი, სპეციალისტთა აზრით, შესაძლოა, ჩვენს ოცნებას ფრთები შეესხას. მართალია, ჯერ თეორიული, მაგრამ შანსი არის, რაშიც კანოისტთა წლევანდელმა მსოფლიოს ჩემპიონატმაც დაგვარწმუნა - მცხეთელ **ზაზა ნადირაძეს** წამის მეასედები არ ეყო ლონდონის საგზურის დასაბევებლად.

გასულ უქმეებზე ქართველმა ნიჩბოსანმა მშობლიურ ქალაქთან მდინარე მტკვარზე შემოდგომის ღია ჩემპიონატში იასპარეზა, 200 და 500 მეტრზე უკონკურენციოდ გაიმარჯვა და ორი ოქრო მოიხვეჭა, მაგრამ ზაზა შედეგებით უკმაყოფილო იყო.

- ჩემთვის ახლა საპრიზო ადგილებს მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია დრო, რომლითაც, უპირველესად, ევროპელ კონკურენტებს უნდა გავუსწრო. ეტყობა, სეზონის მიწურული რომ არის, ძალების სრული მობილიზება ვერ მოვახერხე.

**- სეგედში თუ შეგეძლო მთავარ ფინალში მოხვედრა?**

- უნგრეთში გამგზავრებამდე ბრანდენბურგში (გერმანია) 20-წლამდელთა მსოფლიოს პირველობაზე ვიასპარეზე. 50 მონაწილეს შორის მე-13 ადგილი დავიკავე, რაც ჩემთვის დიდი წარმატება იყო და მომდევნო შეჯიბრებებისთვის სტიმული მომცა. ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პროგრამით, რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენლები ბუდაპეშტში წაგვიყვანეს 14-დღიან საწვრთნელ შეკრებაზე. იქიდან კი სეგედში გავემგზავრეთ სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატზე. 200 მეტრზე მე-2 გაცურვის სტარტზევე დავუშვი ტექნიკური შეცდომა და B ფინალში ვერ მოვხვდი. 200 მეტრი სპრინტერული დისტანციაა და ოდნავ გადაცდომასაც არ გაპატიებს. იმავე დღეს 500 მეტრზეც მომიწია გამოსვლამ. იქ B ფინალში კი მოვხვდი, მაგრამ ოცნების ასრულება ვერ შევძელი. ოთხმა ნავმა, ფაქტობრივად, ერთდროულად გადაკვეთა ფინიშის ხაზი. ფოტოფინიშმა გამოავლინა, რომ წამის მეასედებით ჩამოვრჩი მეტოქეებს და საბოლოოდ მე-15 ადგილი დავიკავე. არადა, A ფინალში მოხვედრა და 2012 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურის მოპოვება შეიძლებოდა. სამწუხაროდ, ისეთმა სპორტსმენებმა გამისწრეს, რომლებსაც შესარჩევებსა და ვარჯიშებზე ვუგებდი. დისტანციის ბოლო 100 მეტრზე დაღლა ვიგრძენი და ფინალში მოხვედრის ბედიც ამან გადაწყვიტა.

**- და ამით ლონდონზე ოცნებას დაემშვიდობე?**

- არა, შანსი კიდევ მაქვს. კანოეში ხუთი წელიწადია, ვალიკო გირდას ხელმძღვანელობით ვვარჯიშობ. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ვარ, საერთაშორისო ტურნირებშიც ბევრჯერ გამიმარჯვია. სპორტულ ფორმასაც არ ვუჩივი. ყოველივე ეს კი რწმენას მმატებს, რომ ოცნება რეალობად ვაქციო და ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში ვიასპარეზო. თუ ოდნავი ხელშეწყობა იქნება, უკრაინელები მიწვევენ ექვსთვიან საწვრთნელ შეკრებაზე. მერე ორ სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირზე გამოვალ: გაისად 15-16 მაისს - პოზნანში (პოლონეთი), მაისის მიწურულს კი - მოსკოვში. ნორმალურად თუ მოვემზადები, მიზანს აუცილებლად მივაღწევ.

**- სამ დისტანციაზე გიწევს ასპარეზობა. უფრო რომელს ამჯობინებ?**

- ორას მეტრზე შეჯიბრებას, მაგრამ, როგორც გითხარით, სპრინტერული დისტანციაა და უდიდეს ენერგიას მოითხოვს, ფიზიკურად ძალიან ძლიერი უნდა იყო. მეტი წარმატებები 500 მეტრზე მაქვს.

**- კერპი თუ გყავს?**

- ბევრი მსმენია ფოთელ ოლიმპიურ ჩემპიონ ვიქტორ კრატასიუკზე, ასევე, მცხეთელ ჯიმშერ ხოშიბაევზე. მათი გამოსვლების მხოლოდ ფრაგმენტები მაქვს ნანახი ეკრანზე. ამჟამინდელ სპორტსმენთაგან ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ ვალენტინ დემიანენკოს ქომაგი ვარ. უკრაინელი სპორტსმენი ახლა აზერბაიჯანის სახელით ასპარეზობს. სეგედში მან 200 მეტრზე ოქროს მედალი მოიპოვა.

**- ნიჩბოსნობის გარდა, რა გიტაცებს?**

- რაგბი, ავტოსპორტი. წლეულს მორაგბეთა მსოფლიოს თასის ფინალური ეტაპის რამდენიმე მატჩს ვუყურე, მათ შორის საქართველო-რუმინეთის დაპირისპირებას. ძალიან გავიხარე ბორჯღალოსანთა გამარჯვებით. გული მწყდება ძიუდოისტთა და მოჭიდავეთა ბოლოდროინდელ წარუმატებლობაზე. ამ სახეობებში ისეთი სასახელო ტრადიციები გვაქვს, რომ მათი დაკარგვა არ შეიძლება.

**- კიდევ რა გიყვარს?**

- მუსიკა, ქართული სიმღერები, სათავგადასავლო თხზულებების კითხვა და... ნიჩბოსნობა. ყველაზე მეტ დროს სწორედ ვარჯიშებს ვუთმობ, სანამ სათანადო ჯანი და წარმატების შანსი მაქვს, დროულად და ბოლომდე უნდა გამოვიყენო.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

მოგონებები

# რაც დავიწყებას არ მიეცემა

## შეხვედრები დიდ სპორტსმენებთან

1960 წლიდან „ლელოს“ აქტიური მკითხველი ვარ და აქედან მოყოლებული, ალბათ, არც ერთი ნომერი არ დამრჩენია წაუკითხავი. მით უმეტეს, რომ ვეტერან თუ მოქმედ სპორტსმენებთან ურთიერთობა მქონდა და მაქვს. ახლოს ვიცნობდი ვლადიმერ უგრეხელიძეს, ვიცნობ მანუჩარ მაჩაიძეს, ვლადიმერ გუცაევსა და რევაზ ჩელებაძეს (ჩემი სტუდენტი იყო); ჩემი სტუდენტები იყვნენ მიხეილ სალაძე, ლევან ებანოიძე და მამუკა აბუსერიძე. შეიძლება ითქვას, რომ ახლო ურთიერთობა მაქვს ნანა ალექსანდრიასთან, ზურაბ აზმაიფარაშვილთან (ახლახან თავისი შესანიშნავი ავტობიოგრაფიული წიგნი მისახსოვრა) და გია გიორგაძესთან. ვმეგობრობ ბათუმელ მოჭადრაკე სალომე მელიასთან, რომელიც ახლახან გათხოვდა და ვულოცავ გაბედნიერებას.

„ლელოს“ მრავალფეროვანი რუბრიკებიდან ბოლო ხანებში სიამოვნებით ვეცნობი „ქართული სპორტის ქრონიკებს“ და „თავგადასავლებს,“ სადაც, ძირითადად, ჩვენი გამოჩენილი სპორტსმენები უცნაურ, ზოგჯერ კურიოზულ და, რაც მთავარია, საინტერესო თავგადასავლებზე მოგვითხრობენ. ახლახან ჩვენი სახელოვანი და საამაყო სპორტსმენის ნინო სალუქვაძის მონათხრობს გავეცანი და დიდ სპორტსმენებთან შეხვედრების შორეული და შედარებით ახალი - სასიამოვნო ამბები ამომიტივტივდა მეხსიერებიდან.

ნინო სალუქვაძით დავიწყოთ.


მიხეილ მახარაძე და სალომე მელია

### დიდი სპორტსმენი და დიდი ადამიანი!

**ნინო სალუქვაძე** რომ ჩვენი სიამაყეა, ამის აღნიშვნით თითქმის არაფერს ვამბობთ. დღეს, როცა ხშირად გვესმის ნამდვილი თუ არანამდვილი ლეგენდების შესახებ, ამ ფონზე ლეგენდარული სწორედ ნინო სალუქვაძეა - 6 ოლიმპიადის მონაწილე და მეშვიდეზე უკვე ლიცენზია მიღებული, ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი, მსოფლიოს თასის მრავალგზის მფლობელი, ევროპისა და საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი და ა. შ.

რამდენიმე წლის წინათ, უცხოეთში სრულიად შემთხვევით შევხვდი ნინო სალუქვაძეს.

2006 წლის მარტის მიწურულია, გერმანიაში მაინის ფრანკფურტში ჩავფრინდით, იქიდან მიუნხენში მივემგზავრები. ძალიან ვღელავ, რადგანაც რამდენიმე დღეში მეუღლეს თბილისში რთულ ოპერაციას უკეთებენ. ამასთან, ერთი წლის წინათ მიუნხენის აეროპორტში საკონტროლო პუნქტში პრობლემები შემექმნა და, როგორც ჩანს, ქვეცნობიერად ეს ფაქტიც მუშაობს.

როგორც კი თვითმფრინავიდან გამოვედით, ჩემს გვერდით სიმპათიური, თანაც ნაცნობი სახის ქალბატონი დავინახე, გვერდით მოდის. ვიდრე საბოლოოდ გავიცნობიერებდი თუ ვინ იყო, მომესალმა. ეს ხომ ნინო სალუქვაძეა - გავიფიქრე და თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვიყავით, საუბარი გავაბით. ქალბატონმა ნინომ მიცნო თუ როგორც ქართველს, გამომემცნაურა. ვერაფერს ვიტყვი. ერთი კი ცხადია. როცა შემატყო რომ დაძაბული ვიყავი, წინ მიმავალი ნაცნობი გააჩერა და უთხრა, ვიდრე კონტროლს არ გაივლის, არ მოშორდეო (თვითონ ტრანზიტით მიდიოდა სხვა ქვეყანაში).

როცა ნინო სალუქვაძეს მოვკრავ თვალს ტელევიზიასა თუ გაზეთში, მის გვარს წავიკითხავ ან გავიგონებ, მაშინვე ეს ეპიზოდი მახსენდება და თანაც ფიქრი გამივლის.

### ბურთი - ხმალიც და ფარიც

80-იან წლებში შვებულების რამდენიმე დღეს ბათუმში ვატარებდი. ახლობელმა პედაგოგმა ზურაბ მახარაძემ მწვანე კონცხზე ერთ ოჯახში დამპატიჟა.

აღმოჩნდა, რომ სუფრა ჩვენი (და არა მხოლოდ ჩვენი) კალათბურთის ლეგენდის, ოთარ ქორქიას პატივსაცემად იყო გაშლილი. ასე ოცამდე პერსონა შეიკრიბა. ბატონი ოთარი მოწყენილი გამოიყურებოდა, თითქოსდა შეუძლოდაც იყო. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ უმრავლესობამ ბოლომდე არ იცოდა თუ ვინ იყო მათი სტუმარი. მე კი მონუსხულივით ვუყურებდი ლეგენდას. სპორტი ბავშვობიდან მიყვარდა, განსაკუთრებით კალათბურთი და მოწინავე გუნდების წევრთა შესახებ ბევრი რამ ზეპირად ვიცოდი. სუფრასთან მომენტს ვუცდიდი ამ სფეროში ჩემი ცოდნის გამოსამჟღავნებლად. ამის შესაძლებლობაც მომეცა.

- საქართველოში იმ დარგებში მიაღწიეს დიდ წარმატებას, რომელთაც სათავე დაუდეს დიდმა პიროვნებებმა (მათი გვარები და ღვაწლი ჩამოვთვალე). ასე იყო სპორტშიც: ბორის პაიჭაძე - ფეხბურთში, თქვენ, ბატონო ოთარ, კალათბურთში - ვთქვი და რამდენიმე ნიუანსიც გავიხსენე მისი საკალათბურთო წარსულიდან. სამადლობელო სიტყვაში ბატონმა ოთარმა დასძინა: „იმ გიგანტებთან, ვინც თქვენ ჩამოთვალეთ, ჩემი სახელი რა მოსატანია; ის კი არა, არც ბორიას (ბორის პაიჭაძე) გვერდით შეიძლება ჩემი მოხსენიება. მაგრამ ერთი კი იყო: როცა მოედანზე გავდიოდი, მწამდა, რომ ბურთი ჩემთვის ხმალიც იყო და ფარიც, ჩემი ქვეყნის ღირსების დასაცავად“.

რამდენიმე წლის შემდეგ ეს ამბავი უფრო ვრცლად აღვწერე და სათაურით - „ბურთით, ვითარცა ფარითა და ხმლით“, „ლელოს რედაქციაში მივიტანე. რედაქტორმა წერილი მეორე დღესვე გამოაქვეყნა (24.01.1991). გადმომცეს, როცა ბატონ ოთარს ეს წერილი აჩვენეს, თვალზე სიხარულის კურცხალი ჩამოუგორდაო.

### არ იყო იმედი, გამოჩნდა იმედო!

1994 წლის პირქუში შემოდგომაა. ყველაფრის გაჭირვებაა, მათ შორის საზოგადოებრივი ტრანსპორტის, მით უმეტეს, სალამოთი. ჟინჟღლავს. ტელევიზიის მოპირდაპირე მხარეს გაჩერებაზე ვარ, დიდი ხანია ველოდები, მაგრამ არც ტრანსპორტი ჩანს და არც გამოჩენის იმედია.

ამ დროს „მოსკვიჩი“ გაჩერდა და იქ მდგომთ მოგვმართა: თუკი ვინმე საბურთალოზე მოდის, წაგიყვანთო. ჩემ გარდა იქით არავინ მიდიოდა.

ჩავუჯექი მანქანაში და მძღოლის სახე მეცნო. მაშინვე ვკითხე - საიდან უნდა მეცნობოდე? ალბათ სპორტული მოედნიდანო, მიპასუხა. ჩვენი სახელოვანი ხელბურთელი იმედო ფხაკაძე აღმოჩნდა. მოკლე დროში მისი საუკეთესო თამაშები გავიხსენე, როგორც ჩვენს „ბურევესტნიკში“, ისე საბჭოთა კავშირის ნაკრებში. ის კი არა, იურიდიული ფაკულტეტის გუნდის შემადგენლობაში უნივერსიტეტის პირველობის თამაშებიც გავახსენე. გვარიანად წვიმდა და დიდმა სპორტსმენმა ლამის სადარბაზოში შემიყვანა.

აქვე ერთ ფაქტსაც გავიხსენებ. უნივერსიტეტის ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც მე ვსწავლობდი, სპორტსმენების ნაკლებობა იყო. თუმცა ჩვენს ფაკულტეტზე მაშინ ფსიქოლოგიის სპეციალობით სწავლობდა ცნობილი მორაგბე, საოცრად კეთილშობილი პიროვნება, დავით დავითაია (1943-1976) და ასევე ხელბურთელი, შემდგომში ცნობილი მეცნიერი, სოციოლოგი გივი მერაბიშვილი. ეს ორი სახელოვანი სპორტსმენი გუნდს აკომპლექტებდა და მეშვიდე კაცი აკლდათ. ვერავინ ნახეს და ძალით შემათრიეს მოედანზე. ხელბურთის ბურთი საერთოდ არ მჭეროდა ხელში, თუმცა კალათბურთში ფაკულტეტის გუნდის კაპიტანი ვიყავი. ვეთამაშებით ფიზიკის ფაკულტეტს, რომელშიც „ბურევესტნიკის“ რამდენიმე განთქმული ხელბურთელი იყო. ერთ მომენტში შეტევის წინა ხაზზე აღმოვჩნდი და მეკარისგან მარჯვენა კუთხეში ვსტყორცნე ბურთი. მეკარეც მიმიხვდა ჩანაფიქრს და სწორი რეაქცია გააკეთა, მაგრამ ბურთი გამისხლტა ხელიდან და... მარცხენა კუთხეში ჩაეშვა. მოწინააღმდეგემ ეს ჩემს ოსტატობას მიაწერა და პერსონალური დარაჯი მომამაგრა, რომელიც მანამდე დამსდევდა (ბოლოს გაკვირვებული), ვიდრე დაღლილ-დაქანცული მოედნიდან არ გამიყვანეს...

**მიხეილ მახარაძე,**

*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი*

ჩოგბურთი

# მატება რეიტინგში


მაგდა ოქრუაშვილი

ორშაბათი ახალი რეიტინგების დღეა და ვნახოთ, გუშინ გამოქვეყნებულმა სიებმა როგორ იმოქმედეს ქართველ ჩოგბურთელთა საკლასიფიკაციო მდგომარეობაზე - ქალები: 89 (+2) **ანა ტატიშვილი** - 758 ქულა; 181 (+2) **მაკა ჩახნაშვილი** - 331; 256 (-2) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 214; 260 (+5) **სოფიო შაფათავა** - 213; 417 (+6) **ეკა გორგოძე** - 91; 440 (+8) **სოფიო ქვაცაბაია** - 84; 492 (+25) **თათია მიქაძე** - 70; 988. **ნათია გეგია** - 11; 1211. **მაგდა ოქრუაშვილი** - 3. ვაჟები: 1 239 (+4) **გიორგი ცივაძე** - 3 ქულა; 1344 (+7) **ლადო ჩიხლაძე** - 2; 1 864 (-11) **ალექსანდრე მეტრეველი** - 1. მთავარი სიახლე ისაა, რომ რეიტინგიანი უკვე 9 ქალი ჩოგბურთელი გვყავს, დაემატნენ 22 წლის ნათია გეგია და 21 წლის მაგდა ოქრუაშვილი. გეგია ბოლოს 2004 წელს იყო რეიტინგში, თუმცა ათასეულამდე მაშინ არ მიუღწევია, ოქრუაშვილი 2008-ში ათასეულშიც იყო.

მაკა ჩახნაშვილი ესპანეთის ქალაქ სევილიაშია, სადაც 25-ათასიან ტურნირზე მე-4 ნომრად განთესეს. მისი პირველი მეტოქე პორტუგალიელი **მარია ჟოაო კოელერია** (227). შარშან ქართველმა აჯობა მეტოქეს, წლეულს კი ორჯერ პორტუგალიელმა იმარჯვა. ვნახოთ, რა იქნება მათ მეოთხე დაპირისპირებაში. ანთალიაში, 10-ათასიან ტურნირში ეკა გორგოძე მე-3 ნომრად არის განთესილი (მეტოქე **ესენ კოკჩე**), ხოლო სოფიო ქვაცაბაია - მეხუთედ (მეტოქე **კამელია-ელენა ჰრისტეა**).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი

# არასრულწლოვანთა დაწესებულებაში

პროექტი - „რაგბი არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის - გზა საზოგადოებაში რეინტეგრაციისკენ“ ხორციელდება საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, რაგბის კავშირის და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით.

2011 წლის აპრილიდან ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში მიმდინარეობს რაგბის გაკვეთილები, რომელშიც მონაწილეობა 60-მა ახალგაზრდამ მიიღო. რაგბის სწავლება ამ დაწესებულების არასრულწლოვანთათვის ნოემბრის ბოლომდე გაგრძელდება.

გუშინ სასტუმრო „თბილისი მერიოტში“, პროექტის პრეზენტაცია-გამოფენა მოეწყო და ორგანიზატორებმა ჟურნალისტების შეკითხვებსაც უპასუხეს.

პროექტზე სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა - **ხათუნა კალმახელიძემ,** გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლებმა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე - **დავით ნამგალაურმა,** რაგბის კავშირის საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერმა - **ლაშა ხურციძემ** ილაპარაკეს.

თამუნა ყულუმბეგაშვილი ფოტო



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ლეგიონი

# კავკასიელთა აპენინური დუელი

იტალიაში ქართული დერბი შედგა: **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუმ“ **ნიკა მეტრეველის** „დინამო სისარის“ უმასპინძლა. მანუ მატჩის სასტარტო ხუთეულში იყო, ხოლო მეტრეველი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო. პირველ ტაიმში ვერც სათადარიგოებმა და ვერც სასტარტოებმა „კანტუს“ უპირატესობა ვერ დაუზევეს - 20 წუთის შემდეგ ტაბლოზე მრგვალი ანგარიში ციმციმებდა - 30:30. პირველ ნახევარში „სისარი“ ევროლიგის წარმომადგენელ „კანტუს“ რომ გაუძალიანდა, გარკვეულწილად ნიკა მეტრეველის კარგი თამაშის შედეგიც იყო, რომელმაც 3-დან 3 ორქულიანი გამოიყენა. მეორე ტაიმში მან მონაგარს 2 ქულა შემატა და მატჩი 8 (4-დან 4 ორქულიანი) ქულითა და 1 მოხსნით დაასრულა. ნიკამ მოედანზე 18 წუთი გაატარა.

*- მესამე პერიოდში ვერ მოვნახეთ გზა კანტუელთა იერიშების შესაჩერებლად. ასეთი დონის გუნდის წინააღმდეგ მცირე ჩავარდნაც, შესაძლოა, ნაგებად დაგიჯდეს,* - თქვა ნამატჩევს „სისარის“ მთავარმა მწვრთნელმა **რომეო საკეტიმ**. მართლაც, მესამე ათწუთეული „კანტუმ“ 22:9 მოიგო და სეზონის მეორე გამარჯვება ჩაიწერა. საფინალო ანგარიშია 71:58.

მანუჩარ მარკოიშვილის მონაგარი ასე გამოიყურებოდა: 12 წუთში 4 ქულა, 1 მოხსნა, 2 პასი.

„კანტუში“ ქულები მეტ-ნაკლებად თანაბრად გადანაწილდა, ყველაზე მეტი, 14 **მაარტენ ლეუნენმა** ჩააგდო, ხოლო „დინამო სისრის“ ლიდერობა **დრეიკ დიენერმა** იკისრა - 22 ქულას მოუყარა თავი.

„კანტუში“ ჩარიცხული **გიორგი შერმადინი** მატჩის განაცხადშიც არ იყო. ამას წინასწარ ველოდით, რადგან 216 სმ სიმაღლის ქართველმა ცენტრმა გასულ კვირას იტალიის ვიზა ვერ მიიღო და „სისარისთან“ მატჩის დროს იტალიაში არ იმყოფებოდა.

■ ■ ■

სტუმრად „აველინოსთან“ ითამაშა **ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსმა“. ბოლონიელები მეორე ტურია თვითონაც სცდებიან 90-ქულიან ნიშნულს და მეტოქესაც აძლევენ ამის უფლებას. წინა ტურში მათ „რომა“ 93:91 დაამარცხეს, თუმცა იგივეს გამეორება კვირას ღამით ვერ შეძლეს და „აველინოსთან“ 90:96 დათმეს. არადა, გამარჯვებასთან ამჯერადაც ახლოს იყვნენ - საფინალო სირენამდე 5 წუთით ადრე 8:0 გაქცევის წყალობით 88:83 დაწინაურდნენ, მაგრამ ორ რვიანზე გაიყინნენ და „აველინომ“ გაქცევითვე უპასუხა - 94:88. ვირტუსელებს თამაშის შემოსაბრუნებლად აღარც დრო ეყოთ და აღარც ძალა.

ვიქტორ სანიკიძე სასტარტო ხუთეულში იყო, 26 წუთში 8-8 ქულა-მოხსნა და 4 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. ვიქტორმა 3-დან 1 ორქულიანი და 4-დან 2 სამიანი გამოიყენა.

■ ■ ■

ორი ტურის შემდეგ ორ-ორი მოგებით სატურნირო ცხრილს „კანტუ“ და „მონტეპასკი“ ლიდერობენ. „ვირტუსი“ და „სისარი“ თითო გამარჯვებით ცხრილის შუაში არიან.

მომდევნო ტურში, 23 ოქტომბერს „კანტუ“ „ვენეციას“ ეწვევა, „დინამო სისარი“ - „კრემონას“, ხოლო „ვირტუსი“ - „მილანს“.



ჩვენიანი უცხოურ პრესაში

# მეტრეველი, სანტიმეტრები და ხარისხი

იტალიელ ჟურნალისტებს არ გამოპარვიათ ჩემპიონატის საწყის ორ ტურში **ნიკა მეტრეველის** კარგი თამაში. მართალია, იგი სარდინიული „დინამო სისარის“ ლიდერი არ არის, მაგრამ შეხვედრებში სათადარიგოთა სკამიდან ერთვება და თამაშსაც ამწვავებს.

აქამდე ნიკას „მონტეპასკის“ მაისურით სერია A-ში ხუთი მატჩში აქვს ჩატარებული (ჯამში 16 წუთი) და პრაქტიკულად, დებიუტი წლეულს აქვს. სწორედ მეტრეველის სადებიუტო მატჩით დაიწყო სტატია გაზეთ „ლა ნუოვა სარდინიას“ ჟურნალისტმა **ანდრეა სინიმ**. პუბლიკაციას ასე ჰქვია: „მეტრეველი, სანტიმეტრები და ხარისხი“.

„თბილისიდან სარდინიისკენ, რიმინისა და სიენას გავლით... ნიკა მეტრეველის გვარი ამ ქალაქების კლუბების განაცხადების გარდა NBA-ს სკაუტთა წიგნაკებშიც არაერთხელ მოხვედრილა. იგი 2011 წელს „დინამო სისარიში“ გაჩერდა. გუნდი გამოცდილებას სთავაზობს, სანაცვლოდ კი მოხსნებს, სწრაფ შეტევასა და ქულებს ითხოვს. 211 სმ სიმაღლის მეტრეველს კარგი მონაცემები აქვს, რაშიც იტალიის ჩემპიონატის სადებიუტო ტურში „მონფერატოსთან“ მატჩშიც დავრწმუნდით: 19 წუთში 4-დან 4 ორქულიანი ჩააგდო და 9 ქულას 5 მოხსნა მიამატა, რაც სარდინიელი გულშემატკივრისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა. დებიუტანტებისთვის ნერვიულობა დამახასიათებელია...

*- საწყის წუთებზე მართლაც ვღელავდი. ეს არც იყო მოულოდნელი, რადგან ახალ გუნდთან ერთად პირველ ოფიციალურ მატჩს ვატარებდი. თუმცა მალევე დავმშვიდდი, რის შემდეგაც ყველაფერი კარგად აეწყო,* - ამბობს 20 წლის ნიკა და განაგრძობს: *- დებიუტით კმაყოფილი ვარ, მატჩში მეორე პერიოდიდან ჩავერთე. თავიდან ორი სწრაფი ფოლი მივიღე, რაც კარგი ნამდვილად არ იყო, მაგრამ საბოლოოდ გუნდის გამარჯვებაში ჩემი წვლილი შევიტანე. ვცდილობდი დაცვაში აგრესიულად მეთამაშა და მზად ვყოფილიყავი მოხსნებისთვის როგორც საკუთარი, ასევე მეტოქის ფარიდან.*

მეტრეველს ორ მატჩში 7-დან 7 ორქულიანი აქვს ჩაგდებული. ამ ფაქტს იგი ლოგიკურად აღიქვამს:

*- ეს ჩვეულებრივი ამბავია, რადგან „სისარიში“ თამაშობს ტრევის დიენერი, რომელიც თანაგუნდელებს ბოლომდე გახსნაში ყოველმხრივ ეხმარება. იგი ისეთ პასებს არიგებს, წარმოუდგენელია ბურთის აცილება. სხვა თანაგუნდელებიც გვერდში მიდგანან და თამაშს მიადვილებენ.*

მიუხედავად იმისა, რომ წლეულს იტალიური კლუბები განსაკუთრებულად გაძლიერდნენ, მეტრეველს „სისარის“ წარმატების მაინც სჯერა:

*- დარწმუნებული ვარ, ჩვენი გუნდი იტალიის ჩემპიონატში გამარჯვებით ივლის, რადგან ძლიერი შემადგენლობაა შეკრებილი და ვიცით რას ვაკეთებთ. მთავარია, ასევე განვაგრძოთ - მივყვეთ მწვრთნელის მითითებებს, რომელმაც კარგად იცის გუნდს გამარჯვება როგორ მოაპოვებინოს.“*



ესპანური ამბები



# ჰეინსის ათი

ესპანეთის ჩემპიონატში ბოლო წლებში არაერთი ქართველი თამაშობდა, **ნიკა ცქიტიშვილი, ვლადიმერ ბოისა, თორნიკე შენგელია**... ამჯერად უმაღლესი ლიგის გუნდში ქართული წარმოშობის მხოლოდ ერთი კალათბურთელი ირიცხება - **ბექა ბურჯანაძე**, რომელიც წინასასეზონო მზადებისას „კახასოლის“ ამხანაგურ მატჩებში რეგულარულად თამაშობდა, თუმცა მესამე ტურია, რაც ესპანელებმა ლიგა დაიწყეს, მაგრამ ბექა განაცხადში ჯერ ვერ მოხვდა. ეს არც უნდა გაგვიკვირდეს, ბურჯანაძე ხომ 1994 წელსაა დაბადებული.

ბოლო ტურში ბექას „კახასოლმა“ საკუთარი გულშემატკივარი „ბარსელონას“ ძლევით გაახარა. სევილიელებმა მეორე პერიოდში მოპოვებული უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნეს და 81:75 გაიმარჯვეს.

■ ■ ■

არის კიდევ ორი კალათბურთელი, რომლებიც ქართველთა ყურადღებას იმსახურებენ - **ტორინ გრინი** და **მარკიზ ჰეინსი**. პირველი ჩვენი ნაკრების ღირსებას 2010 წელს იცავდა, მეორე - ევრობასკეტი 2011-ზე. სადღეისოდ ტორინი და მარკიზი თანაგუნდელები არიან, „გრან კანარიას“ ღირსებას იცავენ. მათი დახმარებით კუნძულელებმა შინ „მურსიას“ სძლიეს - 66:54.

ჰეინსი სასტარტო იყო: 19 წუთში 10 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი. გრინმა მატჩი სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო: 17 წუთში 3 ქულა, 4 პასი, 1 მოხსნა.

ჰეინსის გარდა ქულათა ორნიშნა მაჩვენებელი კანარელთაგან მხოლოდ **ხავიერ ბეირანს** ჰქონდა - 16 ქულა.

■ ■ ■

„გრან კანარიას“ სამი ტურის შემდეგ 1 მოგება აქვს, ხოლო „კახასოლი“ 2 გამარჯვებით ლიდერთა შორისაა.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

სუპერლიგა. I წრე. კალენდარი

**I ტური**

თბილისის სპორტის სასახლე. 15.10.11 (შაბათი)

| | |
|---|---|
| 1. შსს-ბათუმი | 101:77 |
| 2. სამედიცინო-სტუ | 75:104 |
| 3. სოხუმი-რუსთავი | 108:62 |
| 4. თსუ-ოლიმპი | 68:69 |

ქუთაისი სპორტის სასახლე 16.10.11 (კვირა)

| | |
|---|---|
| 5. ქუთაისი-დინამო | 108:73 |

არმიამ დაისვენა

**II ტური**

რუსთავი. 21.10.11 (პარასკევი)

| | |
|---|---|
| 6. რუსთავი-ქუთაისი | 15:00 |

ბათუმი

| | |
|---|---|
| 7. ბათუმი-თსუ | 17:00 |

თბილისი. 22.10.11 (შაბათი)

| | |
|---|---|
| 8. სოხუმი-სამედიცინო | 14:00 |
| 9. არმია-დინამო | 16:00 |
| 10. შსს-სტუ | 18:00 |

ოლიმპი ისვენებს

**III ტური**

ქუთაისი. 28.10.11 (პარასკევი)

| | |
|---|---|
| 11. ქუთაისი-არმია | 18:00 |

თბილისი. 29.10.11 (შაბათი)

| | |
|---|---|
| 12. სამედიცინო-ბათუმი | 12:00 |
| 13. სტუ-რუსთავი | 14:00 |
| 14. სოხუმი-დინამო | 16:00 |
| 15. შსს-ოლიმპი | 18:00 |

თსუ ისვენებს

**IV ტური**

ბათუმი. 4.11.11 (პარასკევი)

| | |
|---|---|
| 16. ბათუმი-სტუ | 17:00 |

თბილისი. 5.11.11 (შაბათი)

| | |
|---|---|
| 17. ოლიმპი-სოხუმი | 12:00 |
| 18. არმია-შსს | 14:00 |
| 19. თსუ-ქუთაისი | 16:00 |
| 20. დინამო-სამედიცინო | 18:00 |

რუსთავი ისვენებს

**V ტური**

რუსთავი. 11.11.11 (პარასკევი)

| | |
|---|---|
| 21. რუსთავი-სამედიცინო | 15:00 |

ბათუმი

| | |
|---|---|
| 22. ბათუმი-სოხუმი | 17:00 |

თბილისი. 12.11.11 (შაბათი)

| | |
|---|---|
| 23. ოლიმპი-ქუთაისი | 14:00 |
| 24. დინამო-შსს | 16:00 |
| 25. არმია-თსუ | 18:00 |

სტუ ისვენებს

**VI ტური**

ქუთაისი. 18.11.11 (პარასკევი)

| | |
|---|---|
| 26. ქუთაისი-შსს | 18:00 |

თბილისი. 19.11.11 (შაბათი)

| | |
|---|---|
| 27. ოლიმპი-სტუ | 12:00 |
| 28. არმია-სამედიცინო | 14.00 |
| 29. დინამო-რუსთავი | 16:00 |
| 30. თსუ-სოხუმი | 18:00 |

ბათუმი ისვენებს

**VII ტური**

რუსთავი. 25.11.11 (პარასკევი)

| | |
|---|---|
| 31. რუსთავი-ოლიმპი | 15:00 |

ბათუმი

| | |
|---|---|
| 32. ბათუმი-დინამო | 17:00 |

თბილისი. 26.11.11 (შაბათი)

| | |
|---|---|
| 33. სოხუმი-ქუთაისი | 14:00 |
| 34. სტუ-არმია | 16:00 |
| 35. სამედიცინო-თსუ | 18:00 |

შსს ისვენებს

**VIII ტური**

ქუთაისი. 2.12.11 (პარასკევი)

| | |
|---|---|
| 36. ქუთაისი-სამედიცინო | 18:00 |

თბილისი. 3.12.11 (შაბათი)

| | |
|---|---|
| 37. ოლიმპი-ბათუმი | 12:00 |
| 38. შსს-სოხუმი | 14:00 |
| 39. არმია-რუსთავი | 16:00 |
| 40. თსუ-სტუ | 18:00 |

დინამო ისვენებს

**IX ტური**

რუსთავი. 9.12.11 (პარასკევი)

| | |
|---|---|
| 41. რუსთავი-თსუ | 15:00 |

ბათუმი

| | |
|---|---|
| 42. ბათუმი-არმია | 17:00 |

თბილისი. 10.12.11 (შაბათი)

| | |
|---|---|
| 43. სამედიცინო-შსს | 14.00 |
| 44. სტუ-ქუთაისი | 16:00 |
| 45. დინამო-ოლიმპი | 18:00 |

სოხუმი ისვენებს

**X ტური**

რუსთავი. 16.12.11 (პარასკევი)

| | |
|---|---|
| 46. რუსთავი-ბათუმი | 15:00 |

თბილისი. 17.12.11 (შაბათი)

| | |
|---|---|
| 47. სტუ-დინამო | 12.00 |
| 48. სოხუმი-არმია | 14.00 |
| 49. შსს-თსუ | 16:00 |
| 50. სამედიცინო-ოლიმპი | 18:00 |

ქუთაისი ისვენებს

**XI ტური**

რუსთავი. 23.12.11 (პარასკევი)

| | |
|---|---|
| 51. რუსთავი-შსს | 15:00 |

ბათუმი

| | |
|---|---|
| 52. ბათუმი-ქუთაისი | 17:00 |

თბილისი. 24.12.11 (შაბათი)

| | |
|---|---|
| 53. დინამო-თსუ | 14:00 |
| 54. სტუ-სოხუმი | 16:00 |
| 55. ოლიმპი-არმია | 18:00 |

სამედიცინო ისვენებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# პირველში ლიდერობენ, მეორეში ვერა



მარცხნივ მამუკა გორგოძე

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის გათამაშებაში ახალი ზელანდიიდან დაბრუნებული ქართველი მორაგბეები ჩაერთნენ. მე-7 ტურის შემდეგ ელიტურ, პირველ დივიზიონში ჩვენებურთა ორი გუნდი „კასტრი“ და „კლერმონი“ ლიდერობს. საკმაოდ ცუდი სტარტი აიღეს „მონპელიემ“ და „ლიონმა“, რომლებიც ამჟამად აუტსაიდერთა შორის არიან.

ალსანიშნავია, რომ მე-7 ტურში შედგა კიდევ ერთი ქართველი მორაგბის, ქუთაისის „აიას“ აღზრდილის, შერკინების ბურჯ **მიხეილ ნარიაშვილის** დებიუტი. მან „მონპელიეს“ რიგებში სტუმრად ითამაშა „ბაიონთან“. მონპელიელებმა საკმაოდ ძლიერ მეტოქესთან უმძიმესი მატჩი 26:17 მოიგეს.

**მამუკა გორგოძემ**, რომელმაც წლეულს „მონპელიეში“ პირველად იასპარეზა, თავიდან ბოლომდე ითამაშა, ნარიაშვილი მოედანზე 75-ე წუთზე გამოჩნდა, **გიორგი ჟღენტი** კი ერთი წუთის შემდეგ შეცვალეს, **გოდერძი შველიძე** განაცხადში არ იყო.

**ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრმა“, რომელიც 26 ქულით სატურნირო ცხრილს სათავეში უდგას, შინ დამაჯერებლად სძლია ფრანგული რაგბის გრანდ „ტულუზს“ - 24:3. ნატრიაშვილმა კასტრელთა რიგებში ახალ სეზონში პირველად ითამაშა მას შემდეგ, რაც ტრავმა მოიშუშა. ის თამაშში 63-ე წუთიდან ჩაერთო.

„კასტრს“ ერთი ქულით ჩამორჩება **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი“, რომელმაც მე-7 ტურში შინ დაამარცხა **ბექა შეყლაშვილის** „აჟენი“ - 29:13. „ვულკანების“ შემადგენლობაში ზირაქაშვილს არ უთამაშია. მან ჯერ კიდევ ახალ ზელანდიაში საქართველოს ნაკრებში თამაშისას წელი იტკინა და, როგორც ჩანს, „კლერმონის“ ხელმძღვანელებმა მისი დასვენება გადაწყვიტეს.

შეყლაშვილი სათადარიგოთა შორის იყო და მოედანზე 49-ე წუთიდან შევიდა. მის „აჟენს“, შარშანდელისგან განსხვავებით, წლეულს კარგი სტარტი ჰქონდა და ამჟამად 15 ქულით მე-8 ადგილზეა.

20 ქულა დაუგროვდა და მეოთხე ადგილზეა **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონი“, რომელმაც შინ მშრალი ანგარიშით 38:0 დაამარცხა „პერპინიანი“. ტულონელებს მსოფლიოს თასზე წარგზავნილი თითქმის ყველა წამყვანი მორაგბე დაუბრუნდა. მათ შორის ინგლისელი მგეზავი **ჯონი ვილკინსონი**. შედეგად „ტულონი“ ისევ მრისხანე ძალად იქცა.

ქუბრიაშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 59-ე წუთიდან ჩაერთო.

**ვასილ კაკოვინის, დავით ხინჩაგიშვილისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივმა“ შინ დიდი ანგარიშით დაამარცხა ბასკური „ბიარიცი“ - 32:7. ბიარიცელებმა, რომლის წამყვანი მოთამაშეები, **დიმიტრი იაშვილი** და **იმანოლ არინორდოკი** ამჟამად მსოფლიოს თასის გათამაშებაზე იმყოფებიან, აქამდე მხოლოდ ერთხელ მოიგეს და სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე არიან.

კაკოვინი და ნატრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყვნენ. ირაკლი 51-ე წუთზე შეცვალეს. ორ წუთში მოედანი ვასომაც დატოვა, მის ნაცვლად თამაშში დავით ხინჩაგიშვილი ჩაერთო.

**გურამ კავთიძის** „ლიონმა“ შინ მოუგო პარიზულ „სტად ფრანსეს“ - 18:6 და სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილს დააღწია თავი. კავთიძე განაცხადში არ იყო.

**I დივიზიონი**

**VII ტური**

ბაიონი-მონპელიე 17:26, ბორდო-მეტრო რასინგი 22:18, ბრივი-ბიარიცი 32:7, კლერმონი-აჟენი 29:13, კასტრი-ტულუზი 24:3, ტულონი-პერპინიანი 38:0, ლიონი-სტად ფრანსე 18:6.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. კასტრი - 26 ქულა, 2. კლერმონი - 25, 3. ტულუზი - 23, 4. ტულონი - 20, 5. პერპინიანი - 17, 6. მეტრო რასინგი - 16, 7. სტად ფრანსე - 15, 8. აჟენი - 15, 9. ბრივი - 13, 10. ბორდო - 13, 11. მონპელიე - 12, 12. ბაიონი - 11, 13. ლიონი - 10, 14. ბიარიცი - 8.

**VIII ტური**

პერპინიანი-კლერმონი, აჟენი-სტად ფრანსე, ბიარიცი-ლიონი, ბრივი-ბაიონი, მონპელიე-კასტრი, ტულუზი-ბორდო, მეტრო რასინგი-ტულონი.

პირველი დივიზიონისგან განსხვავებით, მეორე დივიზიონში ქართველ მორაგბეთა გუნდების მდგომარეობა საგანგაშოა. აქ ექვსი ტურის შემდეგ ჩვენებურთა გუნდები „ტარბი“, „ორიაკი“ და „პერიგო“ აუტსაიდერები არიან.

თედო ზიბზიბაძის, **ალექსანდრე მარგველაშვილისა** და **დავით დადუნაშვილის** „პერიგომ“ სტუმრად ითამაშა **კახაბერ კობერიძის** „ალბისთან“ და 9:27 დამარცხდა. ზიბზიბაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 33-ე წუთზე შეცვალეს, მარგველაშვილი მოედანზე შესვენების შემდეგ აღარ გამოჩენილა, დადუნაშვილი და კობერიძე განაცხადში არ იყვნენ.

„პერიგოს“ 7 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა ადგილზეა. ამდენივე ქულა აქვს **ლევან დათუნაშვილის, გიორგი ნაცარაშვილისა** და **კარლენ ასეიშვილის** „ორიაკს“, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ სტუმრად „ოშთან“ მთელი მატჩის განმავლობაში იგებდა, მინიმალური სხვაობით 19:20 წააგო.

დათუნაშვილმა სრულად ითამაშა, ასეიშვილი და ნაცარაშვილი კი ერთდროულად, მე-40 წუთზე შეცვალეს.

„ორიაკს“ ორი ქულით უსწრებს **მამუკა მაგრაქველიძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბი“, რომელმაც მე-6 ტურში სტუმრად წააგო გათამაშების ლიდერ „დაქსთან“ - 13:22. მაგრაქველიძე 49-ე წუთზე შეცვალეს, მირცხულავას არ უთამაშია.

**დავით ლოსაბერიძისა** და **ზერო პეტრიაშვილის** „პომ“ შინ მოუგო „ნარბონს“ - 32:3. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ. „პოს“ 16 ქულა აქვს და მე-6 ადგილზეა. მას ერთი ქულით უსწრებს და მე-4 ადგილზეა **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლი“, რომელმაც სტუმრად წააგო უშუალო კონკურენტ „ექსთან“ - 15:17. მენაბდიშვილი განაცხადში არ იყო.

**II დივიზიონი**

**VI ტური**

ექსი-გრენობლი 17:15, ალბი-პერიგო 27:9, ოში-ორიაკი 20:19, დაქსი-ტარბი 22:13, ოიონაქსი-ბურგუენი 25:12, პო-ნარბონი 32:3, კარკასონი-მონ დე მარსანი 25:30, ლა როშელი-ბეზიე 22:3.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. დაქსი - 22 ქულა, 2. ოიონაქსი - 21, 3. ექსი - 21, 4. გრენობლი - 17, 5. მონ დე მარსანი - 17, 6. პო - 16, 7. ალბი - 16, 8. ბურგუენი - 14, 9. ოში - 14, 10. ლა როშელი - 13, 11. კარკასონი - 11, 12. ნარბონი - 10, 13. ტარბი - 9, 14. ორიაკი - 7, 15. პერიგო - 7, 16. ბეზიე - 5.

**VII ტური**

ორიაკი-ალბი, ბურგუენი-ოში, ნარბონი-ექსი, ოიონაქსი-მონ დე მარსანი, პერიგო-კარკასონი, დაქსი-ლა როშელი, გრენობლი-პო, ბეზიე-ტარბი.



დავით ქუბრიაშვილის შეტევა

აღიარება



მარცხნივ ბილ ბომონტი, მარჯვენივ ბერნარ ლაპასე

# საქართველო სამაგალითოდ მიაჩნიათ

გუშინ ოკლენდში IRB-ს გენერალური ასამბლეა გაიმართა, სადაც მსოფლიოს თასის გათამაშების შედეგები შეაჯამეს და მომავლის გეგმებზეც ვრცლად ილაპარაკეს. თუმცა რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიუღიათ. ხვალ, იქვე IRB-ს აღმასკომის წევრები შეიკრიბებიან და პრეზიდენტს აირჩევენ.

საპრეზიდენტო კანდიდატურა ორია, ამჟამად მოქმედი პრეზიდენტი, ფრანგი **ბერნარ ლაპასე** და IRB-ს ვიცე-პრეზიდენტი, ინგლისელი **ბილ ბომონტი.** სავარაუდოდ, კონკრეტული ღონისძიებები მას შემდეგ დაისახება, რაც მსოფლიოს რაგბის მმართველის ვინაობა გაირკვევა.

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტ **გიორგი ნიჟარაძეს** ოკლენდში დავუკავშირდით, რომელმაც IRB-ს გენერალური ასამბლეის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა:

*„გენერალური ასამბლეის შეკრებაში კარგი ის იყო, რომ საქართველოს რაგბის კავშირი მოიხსენიეს, როგორც ერთ-ერთი წარმატებული რაგბის მმართველი ორგანო მსოფლიოში. ჩვენს მაგალითზე მოეწყო ერთგვარი პრეზენტაცია, თუ როგორ შეიძლება შეთანხმებულად მუშაობდეს რაგბის განვითარებისთვის სახელმწიფო, კერძო სექტორი და რაგბის კავშირი. აჩვენეს ჩვენი ახლახან აშენებული სარაგბო ბაზების ფოტოები.*

*ყოველივე ამის შედეგი კი ის იყო, რომ საქართველოს ნაკრებმა ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე შესანიშნავად იასპარეზა. ამ ქვეყანაში რაგბის განვითარებაში მიღწეული პროგრესი თვალსაჩინოაო, - აღნიშნა მომხსენებელმა.*

*ერთი სიტყვით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს რაგბის თემი უკვე სხვა თვალით გვიყურებს და თავის სრულფასოვან წევრად მიგვიჩნევს. მას შემდეგ, რაც საქართველოში დავბრუნდები, უნდა დავსხდეთ და ვიმსჯელოთ, დავსახოთ გზა, რა მიმართულებით ვიაროთ, რა გავაკეთოთ საიმისოდ, რომ კიდევ უფრო განვვითარდეთ.“*

პირველი ლიგა

# ბათუმი უმაღლეს ლიგაში დაბრუნდა

დასრულდა საქართველოს ჩემპიონატის გათამაშება პირველ ლიგაში. შესანიშნავად იასპარეზა „ბათუმი XV“-მა, რომელმაც შეჯიბრება დაუმარცხებლად განვლო, 14 თამაშიდან ყველა მოიგო, პირველი ადგილი დაიკავა და უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შთამბეჭდავი შედეგის მიუხედავად, ბათუმური გუნდის „უმაღლესში ჩარიცხვის“ საკითხი ბოლო ტურამდე გაურკვეველი იყო, რადგან უახლოეს მდევარ თბილისის „ჯიქებს“ მხოლოდ ერთი მარცხი ჰქონდა განცდილი. ბოლო ტურში სწორედ ლიდერების ბრძოლა შედგა. თამაში ბათუმში გაიმართა და მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა - 11:6.

„ჯიქები“, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ყველაზე ახალგაზრდული გუნდია, საბოლოოდ მეორე ადგილს დასჯერდა, თუმცა უმაღლეს ლიგაში აღზევების შანსი ჯერაც არ დაუკარგავს - წინ გადათამაშების ორი მატჩი ელის, უმაღლეს ლიგაში ბოლოსწინა ადგილზე გასულ თბილისის „აკადემიასთან“ და წარმატების შემთხვევაში, უძლიერესთა შორის სწორედ მის ადგილს დაიკავებს.

**I ლიგა**

**XIV ტური**

ხულიგანა-დევები 24:6, არწივები-თბილისი 25:32, ბათუმი XV-ჯიქები 11:6, ბაგრატი-რაინდები 24:18.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბათუმი XV - 28 ქულა, 2. ჯიქები - 24, 3. თბილისი - 17, 4. ხულიგანა - 16, 5. ბაგრატი - 9, 6. დევები - 8, 7. რაინდები - 6, 8. არწივები - 2.

**გადასათამაშებელი**

**22 ოქტომბერი**

ჯიქები-აკადემია

**29 ოქტომბერი**

აკადემია-ჯიქები

მსოფლიოს თასი

# ვარსკვლავები მხარს უჭერენ

ჰოლივუდის ვარსკვლავების **ორლანდო ბლუმისა** და **მირანდა კერის** შემდეგ, რაგბიში მსოფლიოს თასის გათამაშებას მხარდაჭერა კიდევ ერთმა ვარსკვლავმა, **რასელ ქროუმ** გამოუცხადა. „მსოფლიოს საუკეთესო გლადიატორმა“, აღფრთოვანება ვერ დამალა ახალ ზელანდიაში მიმდინარე სარაგბო ბატალიების გამო და ავსტრალიელებს მოუწოდა, კიდევ უფრო აქტიურად დაუჭირონ მხარი „ვოლაბებს“.

შეგახსენებთ, რომ რასელ ქროუ ახალ ზელანდიაში დაიბადა, თუმცა ავსტრალიის მოქალაქეა და აქაური რაგბილიგის ერთ-ერთი გუნდის მფლობელია.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი


როჯერ ფედერერი

# როჯერი სამეულს ტოვებს

შვეიცარიელი ჩოგბურთელი **როჯერ ფედერერი** პირველად 2003 წლის ივნისის შემდეგ რეიტინგის ტოპ-სამეულის მიღმა აღმოჩნდა. გუშინ გამოქვეყნებული რეიტინგის თანახმად, როჯერს 600 ქულა დააკლდა, რადგან შარშან შანხაის მასტერსის ნახევარფინალში გასვლისთვის მიღებული ქულები ვერ დაიცვა. ამით ისარგებლა ბრიტანელმა **ენდი მიურეიმ**, რომელიც შანხაიში გამარჯვების შემდეგ მესამე პოზიციაზე გადავიდა.

ბრიტანელი ფედერერს მხოლოდ 45 ქულით უსწრებს. პირველ ადგილზე კვლავინდებურად სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩია**, თუმცა შანხაიში არჩასვლის გამო მანაც ბევრი ქულა დაკარგა. მეორე ადგილს ინარჩუნებს ესპანელი **რაფაელ ნადალი**.

ასევე ერთი საფეხურით წაიწია წინ ამერიკელმა **მერდი ფიშმა** - მან მერვე ადგილი წაართვა ფრანგ **ჟო-ვილფრიდ ცონგას**. გარკვეულ პროგრესს მიაღწია მეორე ამერიკელმა **ენდი როდიკმა** - მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი შანხაიში კარგი გამოსვლის წყალობით მე-15 ადგილიდან მე-13 პოზიციაზე გადავიდა.

| ATP | |
|---|---|
| 1(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 13 860 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 10 375 |
| 3(4). ენდი მიურეი (ბრიტ) | 7 825 |
| 4(3). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 7 780 |
| 5(5). დავიდ ფერერი (ესპ) | 4 710 |
| 6(6). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 3 500 |
| 7(7). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 3 230 |
| 8(9). მერდი ფიში (აშშ) | 2 965 |
| 9(8). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 2 880 |
| 10(10). გაელ მონფილსი (საფ) | 2 525 |
| 11(11). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 2 380 |
| 12(12). ჟილ სიმონი (საფ) | 2 335 |
| 13(15). ენდი როდიკი (აშშ) | 2 120 |
| 14(13). იანკო ტიპსარევიჩი (სერ) | 2 040 |
| 15(14). ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 2 030 |
| 16(16). ვიქტორ ტროიცკი (სერ) | 1 920 |
| 17(18). ა. დოლგოპოლოვი (უკრ) | 1 880 |
| 18(17). რიშარ გასკე (საფ) | 1 810 |
| 19(19). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 1 765 |
| 20(23). ფლორიან მაიერი (გერ) | 1 735 |

| WTA | |
|---|---|
| 1(1). კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 8 005 |
| 2(2). მარია შარაპოვა (რუს) | 6 370 |
| 3(3). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 6 190 |
| 4(4). პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 5 970 |
| 5(5). ვერა ზვონარევა (რუს) | 5 755 |
| 6(6). სამანტა სტოსური (ავსტრა) | 5 585 |
| 7(7). ნა ლი (ჩინ) | 5 425 |
| 8(8). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 4 940 |
| 9(11). მარიონ ბარტოლი (საფ) | 4 610 |
| 10(9). ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) | 4 580 |
| 11(10). კიმ კლაისტერსი (ბელ) | 4 501 |
| 12(12). ფრანჩესკა სკიავონე (იტა) | 4 210 |
| 13(13). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3 200 |
| 14(14). სერენა უილიამსი (აშშ) | 3 180 |
| 15(15). ა. პავლიუჩენკოვა (რუს) | 2 910 |
| 16(16). შუაი პენგი (ჩინ) | 2 825 |
| 17(17). საბინ ლისიცკი (გერ) | 2 724 |
| 18(18). ფლავია პენეტა (იტა) | 2 490 |
| 19(19). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 2 487 |
| 20(23). დ. ციბულკოვა (სლოვაკ) | 2 405 |

| ATP. ფულადი მოგებანი | |
|---|---|
| 1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 10 609 318 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპ) | 6 428 214 |
| 3. ენდი მიურეი (ბრიტ) | 4 527 716 |
| 4. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 3 047 362 |
| 5. დავიდ ფერერი (ესპ) | 2 257 450 |
| 6. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 1 782 289 |
| 7. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 1 643 706 |
| 8. მარდი ფიში (აშშ) | 1 480 742 |
| 9. რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 1 323 473 |
| 10. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 1 285 214 |
| 11. ჟილ სიმონი (საფ) | 1 182 152 |
| 12. ა. დოლგოპოლოვი (უკრ) | 1 118 715 |
| 13. იურგენ მელცერი (ავსტრია) | 1 063 973 |
| 14. მიკაელ ლოდრა (საფ) | 1 045 507 |
| 15. იანკო ტიპსარევიჩი (სერ) | 1 032 425 |
| 16. ჯონ ისნერი (აშშ) | 992 958 |
| 17. მარინ ჩილიჩი (ხორ) | 987 921 |
| 18. ენდი როდიკი (აშშ) | 972 400 |
| 19. ფლორიან მაიერი (გერ) | 958 976 |
| 20. ფელისიანო ლოპესი (ესპ) | 951 565 |

| WTA. ფულადი მოგებანი | |
|---|---|
| 1. პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 3 395 943 |
| 2. ნა ლი (ჩინ) | 3 259 139 |
| 3. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 2 840 581 |
| 4. მარია შარაპოვა (რუს) | 2 789 148 |
| 5. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 2 734 032 |
| 6. სამანტა სტოსური (ავსტრა) | 2 706 153 |
| 7. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 2 325 741 |
| 8. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 2 221 518 |
| 9. სერენა უილიამსი (აშშ) | 1 978 930 |
| 10. ვერა ზვონარევა (რუს) | 1 674 418 |
| 11. ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) | 1 602 271 |
| 12. ფრანჩესკა სკიავონე (იტა) | 1 547 301 |
| 13. მარიონ ბარტოლი (საფ) | 1 539 263 |
| 14. ფლავია პენეტა (იტა) | 1 206 321 |
| 15. მარია კირილენკო (რუს) | 998 467 |
| 16. საბინ ლისიცკი (გერ) | 917 634 |
| 17. ა. პავლიუჩენკოვა (რუს) | 912 964 |
| 18. შუაი პენგი (ჩინ) | 892 258 |
| 19. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 822 868 |
| 20. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 812 335 |

მძლეოსნობა

# 100 წლის მარათონელი

100 წლის ინდოელმა **სიქჰ ფაუჯა სინგხმა** ტორონტოს მარათონში მიიღო მონაწილეობა და „გინესის რეკორდების წიგნში" მოხვდა, როგორც მარათონის ყველაზე ასაკოვანი მონაწილე, რომელმაც 42-კილომეტრიანი დისტანცია სტარტიდან ფინიშამდე გაირბინა.

როგორც სააგენტო AP წერს, ინდოელ „მორბენალს" დისტანციის დასაფარად რვა საათი დასჭირდა. კენიელმა **კენეტ მუნგარემ**, რომელმაც ტორონტოში მთავარი პრიზი მოიპოვა, 42 კილომეტრი ორ საათზე ოდნავ მეტ დროში გაირბინა.

როცა სინგხმა ფინიშის ხაზი გადაკვეთა, მუშები უკვე სარეკლამო ბანერებსა და ბარიერებს იღებდნენ. სამაგიეროდ, 100 წლის რეკორდსმენს თბილად შეხვდნენ ნათესავები და მეგობრები, რომლებმაც მას ოვაციები გაუმართეს.

*„მან წინასწარ დაგეგმილ გრაფიკს გადააჭარბა, - განაცხადა სიქჰ ფაუჯას მწვრთნელმა და თარჯიმანმა* ***ჰარმენდერ სინგხმა****. - უფრო ადრე, ბოლო მოსახვევის წინ მან განაცხადა, რომ აქ ფინიში - მეორედ დაქორწინებასავითაა. ის უბედნიერესია, რომ მთელი თავისი ცხოვრების ოცნება აისრულა".*

100 წლის ათლეტმა განაცხადა, რომ მისი უახლოესი მიზანია 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ჩირაღდნის ესტაფეტაში მონაწილეობა. ის ანალოგიურ ესტაფეტაში 2004 წელს, ათენში დარბოდა.

# ბარტოლის ბოლო შანსი

საჩოგბურთო სეზონი თანდათან დასასრულს უახლოვდება. თუ მამაკაცთა ჩოგბურთში კიდევ ბევრი მოვლენაა დარჩენილი, WTA-ში ამ ორშაბათს დაიწყო რეგულარული სეზონის ბოლო კვირა. ერთ-ერთი ინტრიგა იმ მერვე ჩოგბურთელის გამოვლენაა, რომელიც სტამბოლში წლის შემაჯამებელ ტურნირზე ითამაშებს. პოლონელმა **აგნიეშკა რადვანსკამ** ტოკიოსა და პეკინის ტურნირების ზედიზედ მოგებით თითქმის გაინაღდა თურქეთში გამგზავრება. ერთადერთი, ვინც მას შეიძლება ხელი შეუშალოს - **მარიონ ბარტოლია**. ფრანგისთვის ორი აუცილებელი პირობა არსებობს - ტიტულების მოპოვება ოსაკასა და მოსკოვში.

ამ გეგმის პირველი ნაწილი მარიონმა წარმატებით შეასრულა. ბარტოლი ძალიან მოტივირებული ჩავიდა ოსაკაში და პირველი სამი მატჩი დამაჯერებლად მოიგო - 6:2, 6:2; 6:1, 6:2 და 6:2, 6:1. ფორმალურად ტურნირის მთავარი ფავორიტი პირველ ნომრად განთესილი **სამანტა სტოსური** იყო. ავსტრალიელს ამერიკის ღია პირველობის მოგების შემდეგ სერიოზული ჩავარდნა აქვს და ოსაკაში საწყისმა რაუნდმა გამოავლინა სამანტას პრობლემები - პირველ მატჩში **ნოპავან ლერტჩივაკარნს** ბოლო სეტი მხოლოდ 7:5 მოუგო.

სამანტამ ნახევარფინალამდე მეტნაკლებად დამაჯერებლად მიაღწია, იქ კი ჩინელ **ჟიე ჟენგს** შეხვდა. კვირის შუაში იაპონიაში წვიმები დაიწყო და არსებობდა იმის საშიშროება, რომ ტურნირი ორშაბათს დასრულდებოდა, მაგრამ ორგანიზატორები ვადებში ჩაჯდნენ. თუმცა ფინალისტებს კვირას ორ-ორი მატჩის ჩატარებამ მოუწიათ. სტოსურს ჟენგთან უმძიმესი ნახევარფინალის (7:6, 3:6, 6:3) შემდეგ ორსაათნახევარში მოუხდა ფინალის სათამაშოდ გასვლა.

მეორე ნახევარფინალში ბარტოლი **ანჟელიკ კერბერს** გაუსწორდა. მატჩი იოლი არ ყოფილა, მაგრამ იმაზე მარტივი იყო, ვიდრე სტოსურს ჰქონდა - 6:1, 7:6 ბარტოლის სასარგებლოდ. მცირეხნიანი შესვენების შემდეგ ნახევარფინალში გამარჯვებულები კორტზე დაბრუნდნენ. სტოსურისა და ბარტოლის პირად შეხვედრებში ანგარიში 2:2 იყო, მაგრამ ბოლო მატჩში ბარტოლიმ მოიგო დამაჯერებლად - 6:3, 6:1.

თითქოს ასეთი რამ ამჯერად არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ 3:2-ის შემდეგ სამანტას ძალები გამოელია და მატჩის ბოლომდე მხოლოდ ერთი გეიმი აიღო. ისევ 6:3, 6:1. ბარტოლის გამარჯვება მეტად სჭირდებოდა და მიაღწია კიდეც მიზანს. ახლა, სტამბოლის საგზურის მოსაპოვებლად ფრანგს მოსკოვში გამარჯვება სჭირდება, გარდა ამისა, რადვანსკამ უნდა წააგოს პირველივე წრე.

■ ■ ■

ოსაკას პარალელურად გაიმართა ტურნირი ლინცში. აქ მუხლის ტრავმის გამო გამოიტანა განაცხადი გერმანელმა **ანდრეა პეტკოვიჩმა**, რითაც სტამბოლში გამგზავრების ბოლო შანსი დაკარგა. სხვებს ასეთი ამბიციები არ ჰქონიათ და ამიტომაც ამ ტურნირმა ნაკლები ინტერესი გამოიწვია.

საბოლოოდ, ნახევარფინალში საუკეთესოები მოხვდნენ. ფინალში გასვლის კარგი შანსი ჰქონდა სერბ **ელენა იანკოვიჩს** - მან 6:4 მოუგო პირველი სეტი **პეტრა კვიტოვას** და მეორეში ბრეიკით იგებდა - 2:1, მაგრამ მაინც სამ სეტში დამარცხდა - 6:4, 4:6, 3:6. მეორე ნახევარფინალში **დომინიკა ციბულკოვამ ლუსი საფაროვა** დაამარცხა - 6:1, 6:4.

სლოვაკი ჩოგბურთელი ორჯერ თამაშობდა ფინალში და ორივეჯერ წააგო, კვიტოვასთან ურთიერთშეხვედრების სტატისტიკაც არასახარბიელო ჰქონდა - 0:3, თანაც ეს სამივე შეხვედრა წელს გაიმართა. ციბულკოვა ბევრს ცდილობდა, მაგრამ კვიტოვა უფრო ძლიერი აღმოჩნდა და მთლიანად აკონტროლებდა შეხვედრას - 6:4, 6:1.

**WTA**

**HP Open**

ოსაკა (იაპონია). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**ფინალი**

**მარიონ ბარტოლი (საფ, 2)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 1) 6:3, 6:1.

**Generali Ladies Linz**

ლინცი (ავსტრია). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**ფინალი**

**პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 1)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვენ, 7) 6:4, 6:1.


მარიონ ბარტოლი

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# მოგება ზეიმის ფონზე

გუშინ, რეგულარულ ჩემპიონატში ერთადერთი შეხვედრა გაიმართა, რომელშიც „ანაჰაიმი" „სენტ ლუისს" მასპინძლობდა. მატჩის წინ კალიფორნიული პუბლიკა სპეციალური ცერემონიით მიესალმა „დაქსის" ფორვარდს **კორი პერის**, რომელმაც შარშან 50 გოლი გაიტანა, 98 ქულა დააგროვა და რეგულარული სეზონის MVP-ის ტიტული მიიღო, რაც აქამდე „ანაჰაიმის" არც ერთ ჰოკეისტს არ ღირსებია.

სეზონის სტარტზე „დაქსის" პირველი სამეული არც ისე დამაჯერებლად გამოიყურება, თუმცა ამ მატჩში ძალიან ძლიერად ითამაშა. მასპინძლებმა სტარტზევე გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა - **ფრანსუა ბოშემენის** ძლიერი დარტყმა მეკარე **იაროსლავ ჰალაკმა** მოიგერია, მაგრამ დამატებაზე ყველას აჯობა **ბობი რაიანმა** - 1:0.

მეორე პერიოდის დასაწყისში „ანაჰაიმს" სამი გოლის გატანა შეეძლო. „სენტ ლუისმა" მთლიანად წააგო სივრცე თავის კართან, საიდანაც თავისუფლად ურტყამდნენ **კოლიანო, გეტცლაფი** და პერი. და სამივე შემთხვევაში ბრწყინვალედ ითამაშა ჰალაკმა. მეკარემ თავის გუნდს შანსი მისცა და „ბლუზმენებმა" პირველივე საპასუხო შეტევაში გაიტანეს - **პიეტრანჯელომ** ცისფერი ხაზიდან დაარტყა და **ბერგლუნდმა** შაიბას მიმართულება შეუცვალა.

ბოლო პერიოდის სტარტზე ჰალაკმა თავისი სეივების კოლექცია **სელიანეს** დარტყმის შემდეგ შეავსო, მაგრამ მარტო მეკარე მთელი 60 წუთი ვერ გაათრევდა ბოლომდე თავის გუნდს. კიდევ ერთი რიცხობრივი უპირატესობის გათამაშების შემდეგ მასპინძლებმა დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანეს ბოშემენი - ძლიერი დარტყმა, რიკოშეტი და 2:1 „ანაჰაიმის" სასარგებლოდ.

იქვე „ბლუზმენები" კიდევ ერთხელ დაჯარიმდნენ და კორი პერიმ პირველი გოლი გაიტანა სეზონში. „სენტ ლუისს" მატჩის გადარჩენის შანსი რაიანმა მოუსპო, რომელმაც ერთი ერთზე გასვლა გამოიყენა. საფინალო სირენამდე სტუმრებმა მხოლოდ **ალექს სტინის** შაიბით უპასუხეს მეტოქის სამ გოლს.

„ანაჰაიმმა" ოთხიდან მესამე შეხვედრა მოიგო, „სენტ ლუისს" კი ხუთიდან მხოლოდ ორი მოგება აქვს.

**ანაჰაიმი-სენტ ლუისი 4:2**

**1:0, 0:1, 3:1**

**გოლები:** 1:0 რაიანი-1 (ბოშემენი-1, სბისა-1), 1:1 ბერგლუნდი-2 (პიეტრნაჯელო-2, ჰასკინსი-2), 2:1 ბოშემენი-1 (რაიანი-1, სბისა-2), 3:1 პერი-1 (სელიანე-1, გეტცლაფი-1), 4:1 რაიანი-2 (გეტცლაფი-2, ბრუკბანკი-1), 4:2 სტინი-3 (არნოტი-3, ჯეკმენი-1).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


დაფასებული კორი პერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# რისკი ისევ მაღალია


კევინ დურანტი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარმა **დევიდ სტერნმა** მორიგი ინტერვიუ მისცა ამერიკულ პრესას, რომლის ფრაგმენტებსაც ახლა გთავაზობთ.

*„სამწუხაროა ამის აღიარება, მაგრამ არსებობს რისკი, რომ სეზონი არ ჩატარდება“*, - ამბობს სტერნი.

*„მთავარი პრობლემა, რომელიც მოლაპარაკებებისას უნდა გადავწყვიტოთ, არა ფული, არამედ ასოციაციის დანახარჯებისა და შემოსავლების განაწილებაა. ფულზე ლაპარაკი არ არის“.*

*„ნეგატიური ფონი შემოაქვთ მოთამაშეების აგენტებს, რომლებიც თავიანთი ზოგიერთი მოქმედებითა და სიტყვებით ხელს უშლიან მოლაპარაკებების პროცესს. მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად, არ ვკარგავ იმედს და მჯერა, რომ შევძლებთ შეთანხმების მიღწევას“.*

■ ■ ■

მიმდინარე ლოკაუტთან დაკავშირებით კომენტარებს აკეთებენ NBA-ის ვარსკვლავები. მაგალითად, „ოკლაჰომა-სიტის“ ლიდერი **კევინ დურანტი** კლუბების მფლობელებს ადანაშაულებენ იმაში, რომ მათ არ სურთ თანამშრომლობა.

*„რაღაც კომპრომისამდე უნდა მივიდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლოკაუტი არ დასრულდება,* - ამბობს დურანტი. - *მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მფლობელებს არ სურთ გაგვეხმარონ ამ პრობლემის მოგვარებაში“.*

კევინის სიტყვებით, მოთამაშეებმა უკვე ისედაც ბევრი მსხვერპლი გაიღეს“, მაგრამ ამან მფლობელებზე არ იმოქმედა.

*„მათ ძალიან ნელა მიჰყავთ მოლაპარაკებები, აშკარად ნელავენ ამ პროცესს. მოთამაშეებმა უკვე ისედაც დიდი ფული დაკარგეს, მაგრამ შეთანხმება დღემდე არ არის. რა თქმა უნდა, იმედი მაქვს, რომ მალე მივალთ შეთანხმებამდე. მაგრამ იმის იმედად ნუ იქნებიან, რომ მოთამაშეები რაღაცას დათმობენ - ჩვენ ერთად ვიქნებით“*, - ამბობს დურანტი.

საკუთარი აზრი გამოთქვა შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით „ჩიკაგოს“ ლიდერმა **დერიკ როუზმა**.

*„ის, რაც ამჟამად ხდება, ძალიან ნაღვლიანი საყურებელია. მაგრამ ეს ჩვენი ბრალი არ არის. ყველაფერი მოთამაშეებზე რომ იყოს დამოკიდებული, უკვე დიდი ხანია კალათბურთს ვითამაშებდით და არა კაბინეტებს შორის ვირბენდით“*, - ამბობს დერიკი.

*„მიმაჩნია, რომ მფლობელები ყველაფერს ხვდებიან და მათ რომ სურდეთ, ყველა საკითხი გადაწყვეტილი ექნებოდათ. მაგრამ ასეთი რამ არ ხდება. და ვინ არის ამაში დამნაშავე? ვფიქრობ, პასუხი ცხადია“.*

■ ■ ■

ამასობაში, მომავალ კვირას NBA-ის ვარსკვლავებმა მორიგი საჩვენებელი მატჩი დაგეგმეს. გადაწყვეტილია, რომ ამ შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს 2010-11 წლების სეზონის „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ 7 მონაწილე: **რასელ უესტბრუკი, ბლეიკ გრიფინი, ლებრონ ჯეიმსი, კევინ დურანტი, კარმელო ენტონი, ამარე სტაუდმაიერი** და **კრის პოლი**.

ვარაუდობენ, რომ ამ შვიდეულს შეუერთდებიან **ჯონ უოლი, რუდი გეი** და **ჯეფ გრინი**.

მატჩის ორგანიზატორია NBA-ის ყოფილი მოთამაშე **დესმონდ მეისონი**.

შეხვედრაზე დასასწრები ბილეთები 29-189 დოლარი ეღირება. თავად თამაშს კი ასეთი სახელი მოუძებნეს - „ბრძოლა ოკლაჰომაში მისტერ კალათბურთის ტიტულისთვის“. მისთვის კევინ დურანტი და ბლეიკ გრიფინი იბრძოლებენ.

# პარკერის დებიუტი

საფრანგეთის ნაკრების ლიდერმა, „სან ანტონიო სპურსის“ გამთამაშებელმა **ტონი პარკერმა** პირველი მატჩი ითამაშა საფრანგეთის ჩემპიონატში. როგორც იცით, ლოკაუტის პერიოდში ტონიმ „ვილერბანში“ თამაში გადაწყვიტა.

ლიონური კლუბი გასულ უქმეებზე „პარი-ლევალუას“ ხვდებოდა და 75:73 მოიგო. პარკერმა მოედანზე 28 წუთი დაყო და 21 ქულა დააგროვა. ტონიმ ცხრიდან ხუთი ორქულიანი, ოთხიდან ორი სამქულიანი და ხუთიდან ხუთი საჯარიმო ჩააგდო. ამას სამი მოხსნა და ექვსი შედეგიანი პასი დააგროვა.

აღვნიშნავთ, რომ ერთი კვირის წინ „ვილერბანმა“ პარკერის გარეშე წააგო საფრანგეთის ჩემპიონატის პირველი ტური „როანთან“ - 76:79.

სხვათა შორის, „ვილერბანთან“ დაკავშირებით ფრანგულმა პრესამ ერთი საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა. პარკერს თავის ახალ კლუბში, შესაძლოა, თანამემამულე **რონი ტურიაფი** შეუერთდეს. როგორც ვარაუდობენ, კონტრაქტი ხვალ გაფორმდება.

ადრე ტურიაფის გადაბირება სურდა „ნანსის“, რომელმაც ზაფხულში NBA-ის კიდევ ერთი ლეგიონერი - **ნიკოლა ბატუმი** გაიფორმა.


პარკერი ახალ ფორმაში

ამბები

**ჩოგბურთი**

## ვენუსი ავსტრიაში ითამაშებს

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, ამერიკელმა **ვენუს უილიამსმა** თავის „ტვიტერზე“ დაწერა, რომ 2012 წლის დასაწყისში ავსტრალიის ღია პირველობაზე თამაშს აპირებს. შეგახსენებთ, რომ უფროსი უილიამსი იძულებული იყო მიეტოვებინა ამერიკის ღია პირველობა აუტოიმუნური დაავადების გამო. მას შემდეგ ამერიკელი კორტზე აღარ გასულა.

*„აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ შევძლებ ავსტრალიაში თამაშს. ახლა სუნთქვასთან დაკავშირებული პრობლემები მაქვს, მაგრამ იანვარში ყველაფერი წესრიგში იქნება“*, - წერს ვენუსი.

**კრივი**

## დე ლა ჰოია არ დაბრუნდება

ლეგენდარულმა ამერიკელმა მოკრივემ **ოსკარ დე ლა ჰოიამ** უარყო ბოლო დროს გავრცელებული ჭორები. პრომოუტერული კომპანია Golden Boy Promotions-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ჟურნალისტებმა არასწორად გაავრცელეს მისი ნათქვამი იმის შესახებ, რომ ის აღფრთოვანებულია 52 წლის **დიუი ბოზელას** ბრძოლით. პრესამ ჩათვალა, რომ ოსკარმა დიდ სპორტში დაბრუნება გადაწყვიტა.

*„ეს იყო არაპროფესიონალი ჟურნალისტის ცუდი სვეტი. ბოზელას გამარჯვება მიუთითებს მთელ სამყაროს, რომ არასოდეს არ უნდა დანებდეს. მაგრამ პირადად მე არ ვაპირებ ხელთათმანების ჩაცმას. იმ ჟურნალისტებს, რომლებიც ასეთ რამეს წერენ, ხელთ ფაქტები და მათი წყარო უნდა ჰქონდეთ“*, - განაცხადა „ოქროს ბიჭმა“.

**ჰოკეი**

## მალკინი ორს გამოტოვებს

„პიტსბურგ პინგვინზს“ კვლავ თავისი ერთ-ერთი წამყვანი ფორვარდის **ევგენი მალკინის** გარეშე მოუწევს რეგულარულ ჩემპიონატში თამაში. მუხლთან დაკავშირებული პრობლემების გამო, რუსი თავდამსხმელი გუნდს არ გაჰყვა ორმატჩიან გასვლით ტურნეში. „პინგვინები“ უახლოეს ორ შეხვედრას „ვინიპეგთან“ და „მინესოტასთან“ ითამაშებენ.

მალკინთან ერთად პიტსბურგში დარჩნენ **სიდნი კროსბი** და **ბრუქს ორპიკი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ევრო 2012** | |
| **UNDER 17** | |
| შვეიცარია-საბერძნეთი | 0:0 |
| ისლანდია-ისრაელი | 1:0 |
| ავსტრია-იტალია | 2:3 |
| კვიპროსი-დანია | 1:5 |
| სერბეთი-ლიტვა | 2:0 |
| უელსი-სომხეთი | 2:3 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ბრეშა-პესკარა | 0:3 |
| **სერია C1/B** | |
| ტრიესტინა-ბარლეტა | 1:2 |
| **ესპანეთი** | |
| ბილბაო-ოსასუნა | 3:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| სტ. პაული-ფორტუნა | 1:3 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| გინგამი-მონაკო | 4:0 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ფორტუნა-ტელსტარი | 2:5 |
| **დანია** | |
| ჰორსენსი-კოპენჰაგენი | 2:0 |
| **ნორვეგია** | |
| სტარტი-ბრანი | 3:1 |
| **შვედეთი** | |
| გაის-გიოტებორგი | 1:0 |
| გეფლე-ჰელსინგბორგი | 2:0 |
| ჰალმსტადი-იურგორდენი | 1:3 |
| მალმიო-სირიანსკა | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ლანდსკრონა-ბრომაპიოკარნა | 0:2 |
| ჰამარბიუ-იონჩოპინგი | 5:2 |
| სუნდსვალი-ატვიდაბერგი | 0:1 |
| **ფინეთი** | |
| მარიეჰამნი-იარო | 5:2 |
| ინტერი-ჰაკა | 1:1 |
| მიუპა-კუოპიო | 1:0 |
| **თურქეთი** | |
| მერსინი-ფენერბაჰჩე | 1:2 |
| **ირლანდიის თასი** | |
| სტ. პატსი-შელბურნი | 1:3 |
| **კვიპროსი** | |
| ანორთოსისი-არისი | 2:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიქტორია-სლავია | 1:0 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლუჩ ენერგია-შინიკი | 2:1 |
| სკა ენერგია-დინამო (ბრ) | 0:2 |
| ენისეი-გაზოვიკი | 0:2 |
| სიბირი-ურალი | 0:0 |
| გაზპრომი-ბალტიკა | 2:2 |
| კამაზ-ხიმკი | 1:1 |
| მორდოვია-ფაკელი | 3:2 |
| ტორპედო (ვ)-ჩერნომორეცი | 0:2 |
| ალანია-ტორპედო (მ) | 1:3 |
| **პოლონეთი** | |
| ვიძევი-ლკს | 0:1 |
| **რუმინეთი** | |
| პანდური-გაზ მეთანი | 1:0 |
| ჩახლაული-დინამო (ბ) | 0:5 |
| **ბულგარეთი** | |
| კალიაკრა-ჩერნო მორე | გადაიდო |
| **ისრაელი** | |
| ბეითარი-ირონი (რ-ლ) | 1:1 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| ჟალგირისი-ცსკა | 74:87 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| სპარტაკი-დინამო (მ) | 1:7 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მოსკოვი** | |
| გაბაშვილი-კ. ბეკი | 6:2, 6:4 |
| ჰაიდერ მაურერი-**რიბა** | 2:6, 7:6, 3:6 |
| სეპი-ანდრეევი | 2:6, 6:3, 7:6 |
| კუკუშკინი-როსოლი | 7:6, 7:5 |
| კუნიცინი-კუზნეცოვი | 7:5, 4:6, 6:3 |
| **ATP. სტოკჰოლმი** | |
| პეტცშნერი-კუბოტი | 6:2, 7:5 |
| ჰაასი-დევარმანი | 7:6, 6:4 |
| **WTA. ლუქსემბურგი** | |
| პაშეკი-მაკაროვა | 6:2, 6:2 |
| კნაპი-დანილიდუ | 6:1, 7:5 |
| ბენეშოვა-პარმენტიე | 3:6, 6:3, 6:2 |
| კირილენკო-ს. ნავარო | 7:6, 3:6, 3:0 უარი |
| მედინა გარიგესი-კრემერი | 6:0, 6:0 |
| **WTA. მოსკოვი** | |
| კანეპი-ერანი | 6:0, 7:5 |
| ვინჩი-**დუშევინა** | 6:7, 4:6 |
| ა. ბონდარენკო-**იოვანოვსკი** | 3:6, 0:6 |
| პეტროვა-როდინა | 6:4, 7:6 |

TV პროგრამა

**18 ოქტომბერი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. IX ტურის მიმოხილვა.
**11:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. X ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. IX ტური. შალკე-კაიზერსლაუტერნი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. VI ტური. ნაპოლი-პარმა.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. X ტური. აიაჩო-პსჟ.
**18:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. VIII ტური. ნიუკასლი-ტოტენჰემი.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. VIII ტურის მიმოხილვა.
**22:00** ესპანეთის ჩემპიონატი. VII ტური. რეალი-ბეტისი.
**00:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. X ტურის მიმოხილვა.
**01:00** სუპერკოლაჟი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კატანია-ინტერი.
**12:00** ახალი ამბები
**12:15** კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. სან ანტონიო-პორტლენდი.
**14:10** სუპერკოლაჟი.
**14:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
**15:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ლევანტე-მალაგა.
**17:00** სუპერკოლაჟი.
**17:15** ცურვა. მსოფლიოს თასი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
**19:15** სუპერკოლაჟი.
**19:30** ახალი ამბები.
**20:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**21:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**21:45** კალათბურთი. ევროლიგა. 2010 – 2011. რეალი-მაკაბი.
**23:30** კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. სან ანტონიო-პორტლენდი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** გოლფი.
**10:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ბარსელონა. ესპანეთი.
**12:45** სუპერკოლაჟი.
**12:30** ახალი ამბები.
**13:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ლანუსი-ველესი.
**15:00** ახალი ამბები.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ბარსელონა. ესპანეთი.
**17:15** სუპერკოლაჟი.
**17:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-ლევერკუზენი.
**19:30** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. რასინგი-ტულუზა.
**21:30** სპორტის ვარსკვლავები - მაია აზარაშვილი.
**22:00** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**23:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ბარსელონა. ესპანეთი.

**I არხი**

**18:30** ძიუდო. გრანპრი. საემიროები (LIVE).
**22:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. რეალი-ლიონი (LIVE).

**რუსთავი 2**

**22:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ნაპოლი-ბაიერნი (LIVE).
**01:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**22:30** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ნაპოლი-ბაიერნი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**22:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ლილი-ინტერი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**17:00** ძიუდო. გრანპრი. საემიროები (LIVE).
**22:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ON-LINE-ტრანსლიაცია. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

**22:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ბაზელი-ბენფიკა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**10:30** WTA-ის ტური. III დღე. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).

**SPORT+**

**19:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ცსკა-ტრაბზონი (LIVE).
**22:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. რეალი-ლიონი (LIVE).

**EUROSPORT**

**13:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).

ელექტრონული ბიბლიოთეკა














# ტრაგედია ლას ვეგასში

გუშინ, ლას ვეგასის „მოტორ სპიდვეის“ ოვალზე ინდიკარის სერიის ბოლო ეტაპი გაიმართა, რომელიც საშინელი ავარიით დასრულდა.

მე-12 წრეზე ერთმანეთს შეეჯახნენ **სებასტიან საავედრა** და **ჯეიმს ჰინჩკლიფი**, რამაც გრანდიოზული ავარია გამოიწვია - სულ ჯამში 15 ავტომობილი დაზარალდა.

ყველაზე მეტად არ გაუმართლა ცნობილ ინგლისელ პილოტს **დონ უელდონს**, რომელმაც უმძიმესი ტრავმები მიიღო და ორი საათის შემდეგ საავადმყოფოში გონსმოუსვლელად გარდაიცვალა. კიდევ სამმა პილოტმა მიიღო ტრავმა, მათ შორის ჩემპიონობის პრეტენდენტმა **უილ პაუერმა.**

ბრიტანელის მანქანა პელოტონის შუაში იმყოფებოდა, წინ მიმავალ ბოლიდს შეეჯახა, ჰაერში რამდენიმე მეტრი იფრინა და ბეტონის ბარიერს შეასკდა. მანქანების ნამსხვრევები 2414-მეტრიანი ტრეკის ნახევარზე მიმოიფანტა. არ სახელდება სიჩქარე, რომლითაც პილოტები ინციდენტამდე მოძრაობდნენ, მაგრამ ცნობილია, რომ კვალიფიკაციის დროს ბოლიდები საათში 360 კილომეტრ სიჩქარეს ანვითარებენ.

*„მსგავსი არაფერი მინახავს,* - აცხადებს ავსტრალიელი პილოტი **რაიან ბრისკო**, რომელიც რბოლაში მონაწილეობდა. - *ეს ნამსხვრევები ფილმ „ტერმინატორიდან“ ბატალურ სცენებს მოგვაგონებდათ. ყველგან რკინის ნამსხვრევები და აალებული მანქანები იყო მიმოფანტული. უფრო სწორად, მანქანები აღარ იყო - მხოლოდ მათგან დარჩენილი ნაწილები. საშინელება იყო და პირველი ეს გავიფიქრე: ნეტავ ვინმე არ დაზარალებულიყო, მაგრამ...“.*

*„ეს ყველაფერი კინოს საშინელ სცენას ჰგავდა“,* - ამბობს ინდიკარის ქალი პილოტი **დანიკა პატრიკი.**

ავარიის შემდეგ რბოლა არ გაგრძელებულა. პილოტებმა კოლეგის გარდაცვალების შესახებ შეიტყვეს და მხოლოდ ხუთი სიმბოლური წრე დაარტყეს.

■ ■ ■

უელდონმა ინდიკარის სერია 2005 წელს მოიგო, გარდა ამისა, ის ორჯერ მივიდა პირველი ფინიშთან ლეგენდარულ „ინდი 500“-ზე - 2005 და 2011 წლებში. სულ კარიერაში ინდიკარის 15 რბოლა მოიგო.

ამ სერიის რბოლებში ტრაგედია უკვე ხუთი წელია არ მომხდარა. ბოლოს ინდიკარში **პოლ დანა** დაიღუპა - ის 2006 წელს პრაქტიკის დროს დაიმტვრა.

ტრაგედიამდე ერთი დღით ადრე უელდონმა USA Today-ის სვეტში დაწერა, რომ ლას ვეგასის რბოლა დიდი გართობა იქნება. *„წინ საოცარი შოუ გველის,* - დაწერა უელდონმა. - *ერთმანეთს შეეჯიბრებიან ტიტულის პრეტენდენტები დარიო ფრანკიტი და უილ პაუერი. სიმართლე გითხრათ, თუ კარგი სტარტი გამომივა, შევძლებ მათთან შებრძოლებას. დიდი მხიარულება გველის. რბოლა რთული იქნება, რადგან არასოდეს იცი, როგორ განვითარდება მოვლენები“.*

გამარჯვების შემთხვევაში უელდონი 5 მილიონ დოლარს მიიღებდა. სწორედ ამდენს დაჰპირდა ლას ვეგასის რბოლის ტრიუმფატორს ინდიკარის აღმასრულებელი დირექტორი რენდი ბერნარდი. საქმე ის გახლავთ, რომ ეს სერია დღეს არცთუ ისე წარმატებულია სატელევიზიო რეიტინგის მხრივ. ამიტომაც ბერნარდი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ სეზონის ფინალური რბოლა სპექტაკლს დამსგავსებოდა. ის აცხადებდა, რომ თანამდებობიდან გადადგებოდა, თუ ტელეარხ ABC-ზე რბოლის რეიტინგი სასურველ მაჩვენებელს არ მიაღწევდა. უფრო მეტიც, ბერნარდმა ეს რბოლა საკუთარი ჯიბიდან დააფინანსა: დაიქირავა ლას ვეგასის ავტოდრომი და დიდი სარეკლამო კამპანია გააჩაღა: მოაწყო ტურნირები პოკერსა და ბლეკჯეკში, ჩაატარა ძველი მანქანების ალლუმი და ა. შ.

რბოლის წინ უელდონი ამბობდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში ფულს ფანებს გაუნაწილებდა. 5-მილიონიანი პრიზი რომ არა, ბრიტანელი ლას ვეგასში არ ჩავიდოდა.

■ ■ ■

დენ უელდონის ტრაგედიას გამოეხმაურნენ ფორმულა 1-ის პილოტები. ზოგიერთთან დენს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა.

**ჯენსონ ბატონი:** *„საშინელი ამბავია. მასთან ბევრი სასიამოვნო მოგონება მაკავშირებს, რადგან 90-იანი წლების დასაწყისში რბოლებში ერთად ვმონაწილეობდით. ის ძალიან სერიოზული მეტოქე იყო, ნამდვილი მებრძოლი. ჩვენ სპორტის ლეგენდა და შესანიშნავი ადამიანი დავკარგეთ. წარმომიდგენია, რას განიცდის ახლა მისი ოჯახი. ვიზიარებ მათ გრძნობებს ამ რთულ წუთებში“.*

**ლუის ჰემილტონი:** *„დენი იყო პილოტი, რომლისგანაც მაგალითს ვიღებდი. ვცდილობდი მისი გზის გამეორებას. ის ძალიან ნიჭიერი პილოტი იყო, ორჯერ მოიგო ინდი 500-ის რბოლა. მას პატივისცემითა და აღფრთოვანებით ვახსენებდით. უდიდესი დანაკლისია. მთელი გულით მხარს ვუჭერ მის ოჯახსა და მეგობრებს“.*

**მარკ უებერი:** *„მახსოვს, როგორ ვეჯიბრებოდით ერთმანეთს ბრიტანეთში 1995 და 1996 წლებში. ძალიან დამაკლდები, დენი“.*

**რუბენს ბარიკელო:** *„თვითმფრინავიდან ახლახან ჩამოვედი და ეს საშინელი ამბავი შევიტყვე - დაიღუპა ჩვენი მეგობარი დენ უელდონი. ყოველთვის მემახსოვრება კარტინგში ჩვენი ერთობლივი რბოლები“.*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**